

КУТАКОСКА

ГОРОДСКАЯ  
БИБЛИОТЕКА

Отд. №

Библиотека № 137

638

# ЗАБЫТО

სოუიოლოგიური ეჭიუდი.

XII - 408.

ძალი დამთვარებული არი იმავე  
ტრიან ძალი აღმაშენებელი. •  
მ. ბაკუნინი.

თვილისი

საქამია რდეალი, (მ. ლ. კუნძონა) ნიუოლოზის № 6.

1906

347

---

3-24-

356360

118X

35. სუბ.

სოციოლოგიური ეჭიუდი.

300.

ძალა დამთრებულელი არის იმავე  
დროს ძალა იღმიშენებელი.

მ. ბაკუნინი.

1906 356360

ტფილისი

საქართველო, (მ. ლ. კუნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.

• 1906

მას შემდეგ, რაც მონობა აღმოჩენის შემთხვევაში და  
დად დააწვა გულზედ, ბევრი სისაძაგლე და სიბინძუ-  
რე ჩაუნერგა გულში, ტალახით აუცილ ტვინი. და იმ  
ცნებათათვის აცემინა თაყვანი, რომელთა ერთი უბრა-  
ლო გათვალისწინებაც კი ზიზლსა ჰგვრის და ბალლ-  
მით გულს უსივებს ცრუმორწმუნეობათაგან განთავი-  
სუფლებულ ადამიანს.

ღმერთი და ეშმაკი, სამოთხე და ჯოჯოხეთი, —  
საკუთრება, მთავრობა, „წესიერება“, სახელმწიფო და  
კანონი, — და მრავალი სხვა ამგვარი ცნებანი, ურომ-  
ლისოდაც საზოგადოება დაიღუპებოდა და „ანარხი-  
ოს“ ჯოჯოხეთში ჩაესვენებოდა საუკუნოდ, — ის რი-  
თი აქვთ შერყვნილი გონება და დაჩლუნგებული გუ-  
ლი არა თუ მათ, ვინც ამ ცნებათ განახორციელებენ,  
განამტკიცებენ, წარმოადგენენ და გამოჰატავენ კაც-  
თა შორის, არა თუ ადამიანთა იმ ძლიერ საინტერე-  
სო სერიის, რომელიც იწყება განსწავლულ იურისტე-  
ბითა და თავდება თვეში თუმნად მოსამსახურე ჯაშუ-  
შებით, — არამედ ბევრ, მრავლის უმრავლეს უბრა-  
ლო ადამიანთაც, რომელნიც გონებრივ მონობაში  
აღიზარდნენ, გონებრივი მონობის წრეში ავარჯიშებ-  
დნენ თავიანთ ტვინსა, და სამარადისოდ იკურთხეს  
იგი ამ ცნებათაგან დამდგარი წუმბის სქელიწყლით. ८

გაიარეთ ხალხში, მაგალითად, და ჰკითხეთ უველას: აღიარებთ თუ არა კანონს, — შესაძლებლად სტნობთ თუ არა უკანონოდ ცხოვრებას, სასურველია თუ არა უკანონობა, თაყვანსაცემია თუ არა კანონი? — რამდენს ნახავთ ოსეთს, რომ გიური და გარეუნილი, ავაზაკი და ურჯულო არ გიწოდოსთ, ბობოლა პროფესორიდან დაწყებული გულუბრყვილო გლეხამდე? შეიძლება კანტად სადმე ერთს ანარქისტს გადაეყაროთ, რომელიც ჯერ ერთი ლაზათიანად შეუკურთხებს თქვენცა და თქვენს კანონსაცა და შემდეგ გულდამშვიდებული, რომ პროფესორი არა ბრძანდებით, დაგიწყებსთ მტკიცებას კანონის ულოლიკობისას, სისასტიკისა და საზიზლრობისას, — სხვა კი უველა ერთ ხმათ მოგაყვირებს: კანონი! უკანონოდ საზოგადოების არსებობა არ შეიძლება, იგი საკიროა, უიმისოდ კაცები ერთმანეთს დასჭამენ, უკანონო მოქმედება დანშაულბაა, უკანონობა — უწესოებაა, — „ანარხია“: მეტალურგიურთებისაგან გაიგონებთ: „ჩვენ ვთხოულობთ კანონიერებას, ჩვენ მოქალაქენი, ვთხოულობთ ჩვენის ტანჯულ სამშობლოსათვის კანონიერ რეფიმის დაშყარებას“ და სხვ. შეიძლება სოციალ-დემოკრატიული გამოერიოს სადმე იქ ახლო-მახლო, და თუ ფრანგ კოლონიების სიტყვათა წყაროს დასწავლებია როდის, უსათუოდ წამოტორტლავს:

— კანონიერება! ჰმ! როგორ არა, გვინდა კანო-

ჰიერება, იგი ბურუუაზიასა: ჰკლავს, სადაც დემოკრატიული რეჟიმია გამეფებული!

მაგრამ ჩვენთვის, ურჯულო-უკანონო ინარხის-ტებისათვის რა არის კანონი? — ძალმომრეობის, ძალუა-გლეჯის, დამონებისა, კაცის კვლისა და ავაზაკობის ორგანიზაციის დადგენილება — უსა-თუოდ დაახრჩეთ, გაძარცვეთ და გაგლიჯეთ, დას-ჩაგრეთ, დაჭხოცეთ და აწამეთ მრავლის უმრავლე-ო-ადამიანი, თუ მათ ბეღნიერებად არ აღიარეს ეს დადგენილებანი და მუხლ-მუდრეებით მაღლობა არ ჰქმდვნეს მთარობასა და კანონმდებელს ყოველ დღე ჩემ დიდის გულ-შემატკივარობისათვის, რომელსაც იგინი მოწყალებით მოიღებენ საყვარელ ხალხზე. აი რა არის ჩვენთვის კანონი. მას სხვა შინაარსი არა აქვს, თვინიერ გაიძვერულ იკლიკანტურობისა, რომლითაც განიჩრევა მრავალი წვრილმანი კანონი. მაგრამ ეს უკანასკნელი კულებათ აქვთ გამობმუ-ლი იმ დიდ, საზოგადო, ძირითად კანონებს, რო-ელზედაც არის დამყარებული კაცის კვლისა, ძალ-უა-გლეჯისა და ავაზაკობის ორგანიზაცია.

განსწავლულ იურისტებს რომ ჰკითხოთ, — კა-ნონი არის გამოხატულება საზოგადოების საერთო სურვილისა, იგი არის შემუშავებული წესი, რომ-ლითაც უნდა იაროს ყოველმა წევრმა საზოგადო-ებისამ, რომ საზოგადოება არ დაინგრეს, არ დაი-შალოს, ადამიანი პირველ-ყოფილ, ველურ მდგო-მარეობას არ დაუბრუნდეს.

ეს კი . პირდაპირი სიცრუეა, თვით ქანონთა  
უემთხზველების მიერ გამოგონილი,— სიცრუე ურც-  
ევი, მურტალი ტყუილი! კანონი რომ მართლაც  
გამოხატულება, იყოს საზოგადო სურვილისა, მაშინ  
ხომ აღარ იქმნებოდა ის საშინელი, დაუდგრომელი,  
შეუწყვეტელი ბრძოლა კანონისა და მის შემთხვე-  
ველ- განმამტკიცებელთა და ხალხთა შორის: მა-  
შინ ხომ აღარ იქმნებოდა ის ანტაგონიზმი, რომ-  
ელიც მუდამ არსებობდა და არსებობს კანონ-მტე-  
ბელთა და საზოგადოების დიდი ნაწილის შორის,—  
ანტაგონიზმი, რომელიც ერთი უუთვალსაჩინოების  
დამახასიათებელ მხარეთაგანია მთელი კაცობრიობის ისტორიისა. ეს ბრძოლაა წყარო და საფუძვე-  
ლი ეგრედ-წოდებულ დანაშაულთა, რაიცა, „მეც-  
ნიერ“-იურისტა განსაზღვრით, ნიშნავს „კანონით  
დასჯილ ყოველგვარ მოქმედებას აღამიანისას“. სხვა  
განსაზღვრა დანაშაულისა ვერ მოუგონიათ ამ კა-  
ცობრიობის გამაბეჭნიერებელთ და ამ უწნო, აბ-  
სურდულსა და პირველყოფილ განსაზღვრებს. გვა-  
ლიან თავში, რაც პირდაპირი მაჩვენებელია კა-  
ნონის ძალ-მომრეობიდან წარმოშობისა.

ორში ერთია: ან კანონი მართლა გამომხატვე-  
ლია საზოგადო სურვილისა, საზოგადო ინტერესისა,  
და მაშინ რითი უნდა ავხსნათ ის საშინელი და  
სასტიკი ბრძოლა ხალხსა და კანონს შორის, რითი  
უნდა ავხსნათ დანაშაული, რომელიც საზოგადო  
მოვლენად გადაქცეულა? — ან კანონი განსაზღვ-

რულ ორგანიზაციის დადგენილებაა და, მაშასადა-  
მე, სრულიად წინააღმდეგი საზოგადო, სურვილისა,  
წინააღმდეგი ხალხის დიდი უმეტესობისა, გამომხატვე-  
ლი გაბატონებულ კლასთა დესპოტიზმისა, რომლის  
წინააღმდეგაც იბრძვის ხალხი, და სწორეთ ამ კლა-  
სთა ბრძოლის ნიადაგზედ არის აღმოცენებული უმ-  
ეტესი ნაწილი დანაშაულობისა, რადგანაც კანონი  
ერთი კლასის ბატონობასა და ავაზაკობას ნიშნავს,  
დარღვევა კი ამ კანონისა დამონებულთა მიერ ~~—~~  
დანაშაულს.

რასაკვირველია, კანონი მეორეა და არა პირველი.

საზოგადო სურვილი, საზოგადო **ნება** და საერ-  
თო ინტერესები შეუძლებელია იმ საზოგადოება-  
ში, რომელიც ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯგუფე-  
ბად არის დაყოფილი (და ნათელ ვყოთ ჩვენი აზრი:  
ეს თვით საზოგადოების შინაგან ცხოვრებაში, სა-  
დაც სწორედ მოქმედებს კანონი, და არა სხვა სა-  
ზოგადოებასთან დამოკიდებულებაში, რაიცა ხში-  
რად გამოიწვევს ხოლმე ერთი საზოგადოების მეო-  
რეზედ გალაშქრებას და იწვევს ამითი ამ უკანას-  
ქნელში თავის დაცვის ინტერესსა და გრძნობას,  
განურჩევლად დასთა, ჯგუფთა და კლასთა).

და მართლაც თვით წარმოშობა კანონისა იყო  
სულ სხვა წყაროდან, ვიდრე საზოგადოებრივობა,  
ვიდრე საზოგადო სურვილი და ნება საერთო ცხოვ-  
რებისა და თანასწორ იდამიანთა მიერ თავის საერ-  
თო ინტერესების დაცვისა.

ძველ ველურთა ტომებს, კლანებს, სოფლის თე-  
მებს, მრავალგვარ თავისუფალ ორგანიზაციებს კანო-  
ნი არა ჰქონიათ ამ სიტყვის რომაულ ან თანამედრო-  
ვე აზრით. მათ ჰქონდათ ხანგრძლივი საზოგადოებ-  
რივი ცხოვრებით შემუშავებული ჩვეულებანი, შინა-  
განი და გარეგანი, — და ამ ჩვეულებისამებრ სცხოვ-  
რობდნენ. ეს ჩვეულებანი დაწერილნი არ იყვნენ და მა-  
თი დარღვევისათვის სცხეციალურად მიჩნილი ჯამაგი-  
რიანი კაცი არა სცემდა კაცს კისერში და გულს არ  
უგმირავდა ისრით, არამედ იგინი პირდაპირ ცხოვრე-  
ბის პრაქტიკისაგან გამომდინარეობდნენ, შედეგნი  
იყვნენ თვით თანასწორ ინდივიდთა საზოგადოე-  
ბრივ ცხოვრებისა განსაზღვრულ პირობებში. „კი-  
ლი კბილისა წილ — თვალი თვალისა წილ“, სისხ-  
ლის აღება და შურის ძიება, სამედიატორო სამა-  
რთალი, საერთაშორისო უფლება (le droit des  
peuples) და სხ., — აი რა იყო ქმნილება ამგვარ საზო-  
გადოებრივ ცხოვრებისა, — და რომ განგრძობილიყო  
ისტორიაში ზემოხსენებულ საზოგადოებრივ ცხოვ-  
რების წესთა ბუნებრივი ეფოლიუცია, რომ საზო-  
გადოებრივ ცხოვრებას მათი უარმყოფელი ფორმა  
არ მიეღო ხოლმე და არა ჰქონდეს ეხლა, ეს ჩვეუ-  
ლებანიც მოისპობოდნენ და სხვა უფრო მაღალ-  
ზნებრივ და. საზოგადოებრივ ჩვეულებათ დაუ-  
თმობდნენ ადგილს, — საურთიერთო სოლიდარო-  
ბისა; საყოველთაო ძალთა თავისუფლად შეერთე-  
ბისა, სიყვარულისა და პატიების ჩვეულებათ, რომ-

ელთა კაცთა შორის დასამყარებლად იბრძვის ეხლა  
მიწასთან გასწორებული და დაჩაგრული კაცობ-  
რიობა // ქვე

ჩვეულებანი არ ყოფილან წყარო ძველ და თა-  
ნამედროვე კანონთა. წინააღმდეგ, — იგინი ისტო-  
რიაში ერთმანეთის მტრები იყვნენ, სასტიკი მე-  
ბრძოლნი ერთმანეთისა. თუ შემდეგ, სახელმწიფოს  
მიერ შეთხხულ კანონს რომელიმე ჩვეულება დაუ-  
ტოვებია, — ან ისეთი, რომელიც მისთვის სასარ-  
გებლო ყოფილა და ხალხის სატანჯავად ადვილ  
იარაღად გაიძევერულად სახმარი, გადამახინჯებული  
და შინაარს გამოცლილი, ან და ისეთი, რომელიც  
ძლიერ მძლავრად ყოფილა ხალხში გამჯდარი და ვე-  
ლარ აღმოუფხვრია იგი ხალხის სიღრმიდან.

დანარჩენ შემთხვევაში კანონი სდევნიდა ჩვე-  
ულებას, რომელიც მართლაც საერთო სურვილის  
გამომხატველი იყო. •

ჩვეულებათა ხანაში „დანაშაულიც“ ადვილი გან-  
სასაზღვრელი იყო, რადგანაც საერთო სურვილის  
გამოხატულებისა და საერთო ინტერესების დარ-  
ღვევა მართლაც არა სასარგებლოდ ითვლებოდა.  
მთელი საზოგადოებისათვის, და მაშინ ჰქონდათ უფ-  
ლება ეთქვათ: დანაშაული არს ჩვეულებათა დარ-  
ღვევა, რაიცა „დაისჯებისო“; ეს აბსურდის არ იქ-  
ნებოდა. ეხლა კი, როცა ამბობენ, — დანაშაული  
არს კანონის დარღვევა, რაიცა კანონითვე დაისჯე-  
ბისო, აბსურდია...

როგორ შეიძლება ჩვეულების წყაროსაგან გამომდინარებული დანაშაული შევადაროთ კანონისაგან გამომდინარებულს და ერთი და იგივე ცნება გამოვხატოთ ამ სიტვით, როდესაც სულ სხვა და სხვა, ერთი-მეორეს მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ორგანიზაცია უდევს საფუძვლად ჩვეულებასა და კანონს, — თავისუფალთა და თანასწორთა საზოგადოება\*) და სახელმწიფო.

როდესაც ირლევოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავისუფალი ტიპი და ათას გვარ მიზეზთა გამო სდგებოდა უარესი ტიპი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, — სახელმწიფო (ჩვენ აქ ამ უკანასკნელის წარმოშობას არ გამოვუდგებით), მაშინ ჩნდებოდა ხოლმე ნამდვილი კანონი, შეთხხული ან ერთი მონარქისა, ან ძლიერთა და მდიდართა ამორჩეულ პირთა მიერ, და ეს მათი წინასწარი დადგენილება, ეს კანონი ხდებოდა აუცილებელი და სავალდებულო საზოგადოების ყველა წევრთათვის, რომელნიც დამონებულ იყვნენ გაბატონებულთა

\*) ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსოუგათ, რომ ყოველივე საზოგადოება, საღაც ჩვეულება არსებობს, მართლა „თავისუფალ და თანასწორ“ წევრთაგან შედგება. ჩვენ გვაინტერესებს თვით წესი როგანიზაციისა, ტიპები საზოგადოებრივობისა, და ამ მხრით ცნობილია, რომ იქ, საღაც ჩვეულებითი უფლებანი არსებობს, ე. ი. საღაც უფლების შემუშავება თვით ცხოვრების პრაკტიკიდან გა. მოღის, ინდივიდები შედარებით თავისუფალნი და თხასწორნი არიან, წინააღმდეგ სახალმწიფო ორგანიზაციისა, საღაც ერთის ან რა-

მიერ. სხვანი კი ამ კანონს გარეშე იდგნენ, კანონი მათ არ აწვა ქედზედ მთელი თავისი სიმძიმით, რადგანაც იგი მათი საკუთარი იარაღი იყო, მათივე ხმლით ცხოვრებაში გაყვანილი. ეხლაც ინგლი. სში მეფე გარეშე ყოველივე კანონისა და სამჯავროისა სდგას, და ეს პირდაპირ არის ჩაწერილი პირელ მუხლად ინგლისის „უფლებაში“.

სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მრავალფეროვან მონობაზედ იყო დამყარებული, ყოველთვის წინ უძლოდა ძელ თავისუფალ ორგანიზაციითა უფლების მოსპობას, წინ უძლოდა აგრეთვე თავის კანონს, რომელიც შემდეგ გამოპატავდა ხოლმე ახლად მოვლინებულ. არგანიზაციის მონურ სულს და ათავებდა მის მიერ დაწყებულ საქმეს, ძელ ორგანიზაციათა და ჩვეულებათა განადგურებას.

მონობა წინ უძლოდა რომისა და ბიზანტიის უფლებას. თანამედროვე სახელმწიფოს—მთელი ძველი საზოგადოებრივობის მოსპობით— აღმოცენების შემ-

მოდენიმეთა ფარგლების სურვილია გამეფებული. თუ კი მრავალი შხრით არ ასებობს ნამდვილი თავისუფლება და თანასწორობა პირველი ფიპის ორგანიზაციაში, ეს სხვა პირობათაგან არის გამოწვეული: იყი არ ვითარდება, როგორც ფუნქცია თვით საზოგადოებრივ ორგანიზაციის განსაზღვრულ ფიპისა, როგორც ეს ხდება აუცილებლდა სახელმწიფოში. — მთელი სურათი საზოგადოებრივ მდგომარეობისა განა შარტო მისი ორგანიზაციის ფიპისაგან არის დამოკიდებული!

დეგ შემუშავდენ თანამედროვე „უფლებანი“, შეზავებულნი რომის ძველ მონურ უფლებისა და თანამედროვე ძალ-მომრეობისა და ძარცვა-გლეჯის „უფლებისაგან“.

უფლება ძარცვისა და გლეჯისა, უფლება მონათ ყიდვისა და გაყიდვისა, წამებისა და მოკვლისა, უფლება საკუთრებისა, რომელიც ხმლით იყო წარმეული ხალხის ხელიდან, უფლება მთელი საზოგადოებრივი ჟიმდიღრის ერთის მიერ მითვისებისა, უფლება განუსაზღვრელი და უსირცხვილო ექსპლოატაციისა, უფლება იარაღის ტარებისა და ომებით ასიათასობით კაცის კვლისა—ყოველივე ეს კანონის სახელით,—ერთის სიტყვით უფლება-კი არა, ადასნაირი უუსაშინელესი დანაშაულობანი დაისახა სახელმწიფომ თავის ფუნქციად, და როგორ შეიძლებოდა ამის შემდეგ დანაშაული განესაზღვრათ როგორც საზოგადო ინტერესთა უმღლახველი მოქმედება აღამიანისა : — მაშინ თვით ბატონი და მმართველნი გამოდიოდნენ დამნაშავეებად ; — მათაც განსაზღვრეს დანაშაული, როგორც მოქმედება აღამიანისა კანონის მიერ დასჯილი !

კანონი-კი სწორედ თვით მათ დანაშაულთა განზრახვის გამოხატულება და ფორმულაა ! აი სად არის მისი უუსაზიზლრესი ძირი.

მაგალითად, ერთ აღამიანს ეკუთვნის მთელი მაზრა და მას უფლება აქვს შიმშილით ამოსწყვიტოს მთელი ხალხი, ან გაძარცვოს იგი, ან სულ აპყა-

როს და გადაასახლოს!... აი რას გვეუბნება, მაგალითად, დღევანდელი საკუთრების უფლება! კანონით დამკვიდრებულ წესიერების წინააღმდეგ აჯანყებულები უნდა გავსწყვიტოთ იარალით,---აი რას გვეუბნება თანამედროვე „წესიერების უფლება“! დამნაშავეები მშივრები არიან, და არა დამამშეველნი,—აი რას გვეუბნება თანამედროვე სამართალი! ჩვენ-კი ვიცით, რომ ჯერ ეს საკუთრების უფლება გაჩნდა, ჯერ ხალხი გაყვლითქვეს და მოუსპეს თავისი შემონაქმედი, ჯერ ძალ-მომრეობითი ორგანიზაცია გაჩნდა, დაემყარა იგი ძალ-მომრეობისა და ძარცვა-გლეჯის დაწესებულებათა მთელ დაუსრულებელ წყებაზედ, ჯერ ეს უწესო „წესიერება“ გაჩნდა, — და მნილოდ მერმე გამოიხატა მათი სული იმ კანონსა და სამართალში, რომელსაც ძალით გვახვევენ თავზედ და რომელთა სახელით გვანადგურებენ, გვხოცავენ და დამნაშავეებსაც-კი გვეძახიან! ადამიანის სისახტიკე და აბსურდული კადნიერება ამაზედ შორს ვეღარ წავა!

კიდევ და კიდევ განვიმეორებთ, კანონი მოგანილია მათ მიერ, ვინც ბატონობა ჩაიგდო ხელში ძალ-მომრეობით, ვინც ძარცვა-გლეჯის ორგანიზაცია მოაწყო და მონობის ბეჭედი დაასვა მას, ვინც მუდამ დამნაშავე იყო, — თავიანთ სიმდიდრისა და ბატონობის განსამტკიცებლად და გამოსახატავად.

და ამიტომაც ყოველთვის, ყველგან კანონს სჭი-

რდება თავისი. ძალ-დამატებულებანი. ამ უკანასკნელთა გამომხატველი მხეცები კაცთა შორის, ყველა ეს ანტისოციალური დაწესებულებანი ოუარებელ აღამიანთა უიარალო და შეიარაღებულ ბრძოს წარმოადგენენ და სხვას არაფერს: მათი რჩენა, მათი უძირო მუცლის ავსება, მათი უზარ-მაზარი გველის მადის დაკმაყოფილება დღეს სავალდებულო გამხდარა მთელ მწარმოებელ საზოგადოებისათვის, გადაშენებისაკენ მიჰყავს იგი და რა გასაკვირველია, როდესაც რევოლუცია პირველ წამშივე უარ-ჰყოფს ხოლმე მათ და გალომებული სცდილობს შემოიცალოს ეს პარაზიტები, განიწმინდოს და განიკურნოს ამ ანტისოციალურ ბრძოსაგან. რა გასაკვირველია უგრეთვე, როდესაც გამგელებული რეაქცია მსწრაფლად აღადგენს ხოლმე რევოლიუციის-მიერ დანგრეულ დაწესებულებათ სისხლით მორწყულ საზოგადოებაში და ხალხის დაკვერებულ სისხლის საძირკველზედ ხელ-ახლა აწენებს მათ, აშენებს თავის გამარჯვებას.

მაგრამ აბა თვით ამ ვაჭბატონებს ჰქითხეთ, რა როლი მიუძღვისთ მათ საზოგადოებაში? --- ჰმ! ისინი რომ არ იყვნენ, საზოგადოება დაიღუპებოდა; საკუთრება, თავისუფლება, წესიერება, სიცოცხლის გარანულ-კი განქრებოდა, რომ მუდამ არ იყვნენ ზემოხსენებული დაწესებულებანი დარაჯებად გაჩერებულნი საზოგადოების დასაცველად.

აი მათი ვითომც-და მიზანი, აი მათი პრეტენზია.

ადვილია ამ სიცრუის ნათელ-ყოფა. გ.)

## II

მთავრობის პრეტენზია და ვითომც მიზანი, როგორც არა ესთქვით, — დაცვაა აღამიანის სიცოცხლისა „დამნაშავეთაგან“, დაცვაა საკუთრებისა, წესიერებისა, ასე გასინჯეთ თავისუფლებისაც-კი, — კანონებით.

მაგრამ სწორედ გაბატონებულ კლასსთა ინტერესების დაცვის განზრახვათა ფორმულაა კანონი, რომელიც ძალით გადის ცხოვრებაში, და სწორედ ამითი წინააღმდეგება იგი თვით საზოგადოებრივობის მიზანთა და მისწრაფებათა, და ხდება ანტისოციალურ მოვლენად.

იგი არა თუ ვერ აღწევს ვერავითარ ნამდვილ საზოგადოებრივ მიზანს, არამედ თვით ამ მიზანთა წინააღმდეგია, როდესაც თვით ხალხსა სურს ამ მიზანთა მიღწევა, და ამით იწვევს საშინელს წინააღმდეგობას ხალხის მხრივ, ხდება „დანაშაულობის“ წყაროდ.

 კანონი აღამიანის სიცოცხლის გარანტია არ არის.

უმეტესი ნაწილი დანაშაულთა სულ სხვა მიზეზთაგან: არის გამოწვეული, ვიდრე იგინი გამომდინარებენ აღამიანის ბუნებიდან, რომელიც კანონს მართლა ცუდი ჰგონია, — და სჯის ამ დანაშაულს,

როგორც „საზოგადოებისათვის ცუდსა და მავნებელ მოვლენას“.

კაცის კვლათა მიზეზი არ არის ადამიანის ცუდი ბუნება, არამედ თვით ეს ცუდი ბუნებაა შემუშავებული ყველა იმ ცუდ პირობათა მიერ, რომელთაც კანონი განამტკიცებს. და ამგვარად თვით კანონი ხდება წყაროდ დანაშაულთა. კაცი კაცას ჰქონავს ან იმიტომ, რომ რაიმე მატერიალური ინტერესი აქვს, ან შერისძიება ამოქმედებს, ან და ავადმტყურფია.

მოსპეც კერძო საკუთრება და დაამყარეთ კომისიის ტიური საზოგადოება, სადაც ადამიანი მუშაობდეს თავის მომზადებულებისად და იკმაყოფილებდეს ყველა თავის მომზადებათა, მოსპეც ცუდი აღზრდა ადამიანისა, ჩააყენეთ იგი კარგ ზნეობრივ პირობებში და სწვ., და დანაშაულიც მოისპობა. კანონი კი ზემოხსენებულ ცუდ პირობათა მფარველია და არა მომსპობი, და ამიტომაც ეხლაც კი დანაშაულთა რიცხვი ზოზრდება ან მცირდება არა იმის მიხედვით, რა ზოგებს იღებს კანონი დანაშაულთა წინააღმდეგ, არა მედ იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება პირობები, — რამდენათაც ეს შესაძლებელია თანამედროვე საზოგადოებში, — ადამიანის აღზღდისა და მატერიალურ კეთილდღეობისა. ზოგიერთ შემთხვევაში კი, — თუ ყველა დანარჩენი პირობები უცვლელნი რჩებიან, — კანონთა რიცხვის ზრდის პროპორციულ იზრდება დანაშაულთა რიცხვი !

კანონი დანაშაულობის მოვლენის მიზეზთ კი არ ებრძვის, არამედ ამ მოვლენის მსხვერპლთ, — ამიტომაცა იგი/პნტისოციალური მოვლენა.

როგორც კეტლემ დაამტკიცა, დანაშაულთა რიცხვზედ უფრო ამინდსა, მოსავალსა, წლის სხვა და სხვა დროთა და სხვა პირობებს აქვს გავლენა, ვიღრე კანონის სისასტიკეს, — და ამ მხრით კანონი ვეო აღწევს ადამიანის სიცოცხლის დაცვის მიზანს სრულებით, რასაც უკვე ბევრი კრიმინოლოგი აღიარებს ცოტათი გულწრფელად. მატერიალურ ინტენსიურ გამოწვეულ დანაშაულობის წინააღმდეგ კრიმინული მიზანი; სიავისა, შურისძიებისა და სიძულვილის წინააღმდეგ — კარგი აღზრდა და ზნეობა, კარგი აღზრდა აღამიანისა. ბავშობიდან; ივადმყოფობის წინააღმდეგ — კარგი სამკურნალოები და ექიმები, — და არა ჯალათი და საპურობილე, არა უანდარმი და მსაჯულ-აღვოკატი! მაშინ „დანაშაულიც“ მოისპობა.

კანონის პრეტენზია აგრეთვე საკუთრების დაცვაა.

„მაგრამ საკუთრებასაც განსაზღვრა უნდა. საკუთრება მრავალნაირია.

იცავს კანონი მართლაც აღამიანის „საკუთრებას“? — სრულიადაც არა. იგი მხოლოდ საკუთრების ერთ ფორმას იცავს, — კერძო საკუთრებას, ე. ი. //ექსპლუატაციას, ქურდობასა და ავაზაკობას.

მთელი კაცობრიობის სიმდიდრე მისი საკუთრე-

ბაა. რომ განვიხილოთ მხოლოდ ერთი რომელიმე  
საგანი ცოტად თუ ბევრად რთულ პირობებში ნა-  
წარმოები,—იგი მთელი საზოგადოების ნაწარმოებია,  
მთელი მწარმოებელი საზოგადოებისა. საგანი ნაყო-  
ფია მთელი მწარმოებელი საზოგადოების ენერგიის  
ტრიალისა, მას ათანაირ ენერგიის მუშაობასთან  
აქვს საერთო დროსა და სივრცეში, — და ამავე  
დროს იგი საკუთრებაა ერთი აღამიანისა, ან აღა-  
მიანთა ერთი ჯგუფისა, ამასთანავე, სწორედ  
კანონის ძალით იგი საკუთრებაა არა მწარმოებ-  
ლისა. სხვათად რომა ვსოდეთ, — სიმდიდრე კო-  
მუნისტური ნაწარმოებია, იგი კომუნისტური სა-  
კუთრება უნდა იყოს; და ამის მაგივრათ იგი გამ-  
ხდარა ერთის ან ერთი ჯგუფის საკუთრებად; კა-  
ნონი კი ამ საკუთრების აბსურდული ფორმის დამ-  
ცველია, — ძალ-მომრეობით.

ამაშია აგრეთვე მისი ანტისოციალური ძარღვი,  
და როდესაც აღამიანი არღვევს კერძო საკუთრების  
კანონს, ეს უკანასკნელი მას სჯის და ამითი ამრა-  
ვლებს „დამნაშავეებს“, რადგანაც ყოვლად შეუძ-  
ლებელია. მწარმოებელმა, მშრომელმა კაცმა თავისი  
ნაწარმოების ნაწილიც არ მიითვისოს, როდესაც კუ-  
დურეს მატერიალურ მდგომარეობაშია. და მართ-  
ლაც ამ კერძო საკუთრების ინსტიტუტს შეეხება  
უმეტესი ნაწილი კანონთა, და უმეტესი ნაწილი  
დანაშაულთა კერძო საკუთრების კანონის დარღ-  
ვევის ნიადაგზედ ხდება: კაცსა სჯრან იმისათვის რომ

შიან და მიზეზი მისი დამშევის სწორედ ის დაწესებულებანი არიან, ეკონომიურნი და პოლიტიკურნი, რომელთა გამომხატველიც კანონია.

ამ მხრივაც კანონი დანაშაულთა წყაროა. მოსპეც კერძო საქუთრება, — მოისპობა მრავალის უმრავლესი დანაშაულიც საზოგანოებაში.

„წესიერების“ დაცვა? — ეს ხომ სულ მთლად აბსურდია!

კანონიერი წესიერება აღამიანთათვის მრავალნაირი მოძრაობის აღკრძალვაა კანონის ძალით; ეს უკანასკნელი კი კრძალავს აღამიანთა იმ მოძრაობათა, რომელიც თანამედროვე წყობილებას ემუქრება დანგრევით, — ე. ი. უუსაჭიროეს მოძრაობათა, და შემდეგ სდევნის და სჯის აღამიანს ამ უუსაჭიროეს მოძრაობათათვის, — კანონის სიტყვით აგრეთვე „დანაშაულთათვის“.

აი კიდევ რატომ არის კანონი დანაშაულთა წყარო.

წესიერება კანონიერი, მაშასადამე, პოლიციური, წესიერება აღამიანთა გაყუჩებისა; როდესაც ოყავს აძრობენ, წესიერება წამებისა საპყრობილები, როდესაც ნება არა გაქვს ხმა ამოილო, წესიერება, უარ-მყოფი ქუჩაში გამოსვლისა და თავის სათოვადოებრივ გრძნობათა და პროტესტთა გამოხატვისა ავაზაკთა წინააღმდეგ, როდესაც აღამიანთა ერთი ჯგუფი მთელ საზოგადოებას ანადგურებს, — აი კანონიერი წესიერება, რომლის დამცველიც არის კანონი.

1 ის წესიერება კი, ან განზრახვა იმ გვარ წესიერების დამკეიდრებისა, როდესაც აღამიანთა გრძნობანი და ენერგიანი თავისუფლად იქმნებიან შეთანხმებულნი, — განზრახვა კომმუნისტურ წესიერების დამყარებისა, — განხილულია როგორც დანაშაული და დაისჯების კანონის ძალით, ე. ი. ცეცხლითა და მახვილითა, საპურობილითა და სახრჩობელითი.

თავისუფლების დაცვა ?

დიახ, ექსპლოატაციისა, კაცის კვლისა და საპურობილები წამების თავისუფლების დაცვა გაუხდია კანონს მიზნად.

ერთის, გაბატონებულ ჯგუფის, ყოველნაირი თავისუფლება აქს აღიარებული კანონს, — წინააღმდეგი კი, — თავისუფლება ხალხისა — იმოქმედოს დესპოტთა წინააღმდეგ, — განხილულია როგორც „დანაშაული“.

აქაც იგი თვით არის წყარო დანაშაულისა, და მაშასადამე ანტისოციალური მოვლენა.

თვით საფუძველი კანონისა იმგვარი სოციალური ორგანიზაციაა, რომელიც ერთის მეორეზედ ბატონობით, ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციით დახასიათდება; თვით შინაარსი კანონისა, — მონოჭია და ძარცვა გლეჯის განმტკიცებაა; მისი მიზანი მხოლოდ აღამიანის დასჯა და წამებაა, როდესაც აღამიანი არღვევს მის მიერ დადგენილ აღამიანის მოქმედების წესთა, რომელთა დაურღვევლობა აღამიანის მიერ შეუძლებელია; ამიტომ არის კა-

ნონი სოციალური აბსურდი, ანტისოციალური მოვლენა. კანონს არ შეუძლია არ დაპატიჟოს დანაშაული თავისი შინაარსითა და თავისი მოქმედებით.

ორნაირ დანაშაულს წარმოუპას კანონი: ერთს პირდაპირს. რამდენადაც თვით არის ადამიანის მძარცველი და დამმონებელი, მეორეს არა. პირდაპირს, თავის მიერვე განსაზღვრულს, — დანაშაულს, რომელიც განისაზღვრების, როგორც მოქმედება ადამიანისა კანონით დასჯილი. რამდენათაც იგი ადამიანს თავისუფალ მოქმედებას უკრძალავს, უფარგლავს თავისუფალ მოქმედების ასპარეზს და შემდეგ თვითონვე ახრჩობს მას თავის მიერვე დაგებულ ბადეში, — რატომ გაბედე და ჩემს წინა-აღმდეგ იმოქმედეო, თუმცა ძლიერ კარგათ იცის, რომ ადამიანს არ შეუძლია არ იქმედოს სხვანაირად, რადგანაც იგი სრულიად გარემოცულია კანონით, — კანონი აგრეთვე წყაროა დანაშაულისა: თვით შეზღუდვა ადამიანის თავისუფლებისა, მისი ექსპლოატაცია და დაჩაგვრა კანონის მხრივ, — მისი პირდაპირი დანაშაულია საზოგადოების წინაშე. მისი ახლადი დანაშაული. კი ადამიანის წარტა-ცებაა დანაშაულობისაკენ.

დანაშაული არ განისაზღვრება ადამიანის თან-შობილი ხასიათით. ადამიანს, მართალია, მემკვიდრეობით ეცემა მრავალგვარი ცუდი მხარე, ცუდი თვისებანი მისი მშობლების მიერ, მაგრამ ეს ანომა-

ლიები სოციალურ ხასხათის არ არის. იგინი წმინდა ბიოლოგიური მოვლენანი არიან, და მათი მოსპობა კანონით, ძალმომრეობით, საპყრობილით,— ისეთი ბარბაროსობაა, ისეთი ველურობა და აბსურდი, რომ არც ერთ შეცნიერს, უუბურუჟუაზიულეს ცრუმორწმუნოებითაც რომ იყოს იგი განმსჭვალული, თავში არა მოუვა არანორმალურ ადამიანთა განკურნება, არანორმალურ ადამიანთა განკურნება ან შესაძლებელია, ან არ არის შესაძლებელი. თუ შესაძლებელია, — მაშინ მას კარგი მოვლა სჭირდება და არა საპყრობილე. თუ არ არის შესაძლებელი, — მაშინ მას ჩარიცხვენ მოურჩენელ ავადმყოფად და იგი ამ ავადმყოფობის მსხვერპლი შეიქმნება. ერთი და იგივე ითქმის როგორც მემკვიდრეობით გარდმონაცემ სნეულებაზედ, ისე სიცოცხლეში შეძენილზედ. დანაშაული კი სულ სხვაა, — ეს კანონით დასჯილი მოქმედებაა ადამიანის განსაზღვრულ მოქმედებისათვის, — და მაგალითად მემკვიდრეობით გიუმა რა იცის დაბადებამდინ, თუ როგორი კანონებია იმ საზოგადოებაში, რომელშიაც მან უნდა იტრიიალოს? ან სიცოცხლეში ავად-გაჭმელარმა კაცმა რა პასუხის მგებდაობა უნდა გაუწიოს იმ საზოგადოებას, რომლის კანონიც მას სჯის ხშირად, — მაგალითად კაცის კვლისათვის, როდესაც მან უკვე დაჭკარგა გონება და ველარ უწევს. ანგარიშს თავის ვნებათა ლელვას? ან და, — რაც უფრო ხშირად ხდება, — ალზრდამ, ცუდმა პირობებშა ჩადენიეს

კაცს დანაშაული? — მაშინ ხომ თვით კანონია ორ გვარად დამნაშავე: ერთი იმიტომ რომ იგი თვით განაგებს აღზრდასაც და სხვა პირობათაც, მეორე იმიტომ ჭომ თვრის სიმხეცის მსხვერპლს ძალლივით აღრჩობს მისი დაცვის მაგივრად ცუდ პირობათა- გან. ან და რა ვუწოდოთ იმ მოვლენას, როცა ათა- ნაირი აბსურდული კანონი ადამიანს იმისთანა წვ- რილმან რამეებსაც კი უკრძალავს, რომლის არ დარ- ღვევა ყრივლად შეუძლებელია, — მაგალითად ლაპა- რაკი, წერა, კრება და სხვა, — აგრეთვე უუსაჭი- როეს გამოხატულებათ მისი საზოგადოებრივობისას, — ასსოციათა და კავშირთა დაარსებას, დემონსტრა- ციებს, წმიტინგებს, ~~დარღვევას და საჭირო მოქმედებას~~, რო- მელთა არ დარღვევაც აგრეთვე შეუძლებელია. და რად- განაც, განვიმეორებთ, დანაშაული კანონით დას- ჯილი მოქმედებაა, — ავაღმყოფი სახრჩობელაზე მი- დის, გიუი საპურობილები, — საავადმყოფოს მაგივ- რად (დიდი ხანი არ არის, რაც ეს ბარბაროსული ჩვეულება ისპობა დიდი პსიხიატრების ზედ-გავლე- ნით), ცუდათ აღზრდილი და ცუდ პირობებში მყოფი აგრეთვე სახრჩობელაზე და საპურობილები. — აი კანონის პირდაპირი მტარვალობა და პირდა- პირი დანაშაული. — აგრეთვე მოლაპარაკეს საპ- ურობილე და ჯარიმა, მწერალს ციმბირი და ახალი კალედონია, დემონსტრანტებს ცემა ტყება და საპ- ურობილე, იარაღით ხელში თავის დამცველბს — კიდევ და კიდევ საპურობილე, წამება და სახრჩო-

ბელა. — აი კანონის არა პირდაპირი დანაშაული. | კანონი არა თუ ძირია დანაშაულის, არამედ იგი განმრავლებელია მისი. რამდენიც კანონია, იმდენია დანაშაული და დამნაშავეთა კატეგორიები. იგი ორნაირად ანტისოციალური მოვლენაა. X

აიღეთ მრავლის უმრავლესი შაგალითი: კაცის კვლა დიდ დანაშაულად ითვლება კანონის მიერ, და პირველი შეხედვით კაცს ენა არ მოგიბრუნდება ამ მხრით კანონის წინაღმდეგ რამე გაჰქიცედო. მაგრამ მოიგონეთ თვით კანონმდებელთა და მათ მიერ აშენებულ დაწესებულებათა წარმომადგენლების მიერ დახოცილი ხალხის რიცხვი: რაც მეფეებს, ლენერლებს და ჯალათებს ხალხი დაუხოციათ ისტორიის განმავლობაში, იმდენი კაცის კვლა რომ ხდებოდეს თვით საზოგადოებაში, აქამდის კაცობრიობის ნატამალიც აღარ იქმნებოდა. გვეტყვიან, — განა ომები მეფეებზე, გენერლებზე და კანონმდებლობაზე არის დამოკიდებულიო? ჩვენ მივუგებთ, — რამოდენიმედ ღიახაც, და უპირველეს ყოვლისა კი საქმე იმაშია, რომ სწორედ ეს ზემოხსენებულნი პირნი ბრძანდებიან იმ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და გამომხატველნი, რომელთა მოქმედების ფარგალშიაც ხდება ომი, და ისინი არიან ხალხის წინაშე პასუხის მგებელნი. და ყველა ესენი „დამნაშავეები“ არიან იმისთვის რომ კაცი მოჰკლეს, ხალხი ათასობით დახოცეს? არა! — გვირგვინი, ორდენები, პატივი, ყოველივე ამ ქვეყნიური სიკეთე შეუძენი-



ათ ხოლმე მათ ხალხის ხოცვისათვის. გიუს, ავად-  
 მყოფს, ლოთს, ან მშიერს, ან ცუდათ აღზრდილს  
 კი, რომლის დანაშაულში თვით საზოგადოებაა დანა-  
 შაული, — სახრჩობელა! მაგრამ სწორედ აქ გვე-  
 ტყვიან, — დიახ, სახრჩობელა, — რმდგანაც პრინ-  
 ციპი „არა კაც ჰკლა“ არის საზოგადოების ერთი  
 ბურჯთაგანი და კანონიც იცავს მასო. ჯერ ერთი, —  
 როგორ „იცავს“, როდესაც თვით ხოცავს ხალხს  
 ათასობით და ცალკე კაცის კვლას მკვლელის  
 მოკვლით ანაზღაურებს, და მაშასადამე თვით უმ-  
 თავრესად არღვევს ამ პრინციპს, — „არა კაც ჰკლა“;  
 მეორე, — თუმცა დამსჯელობით უფლებაში კაცის  
 კვლის არ პატიება სწორედ ძველ . ჩვეულებისაგან,  
 ძველ საზოგადოებრივ პრინციპისაგან „არა კაც  
 ჰკლა“, (რომელიც ცუდად, ბარბაროსულად გამო-  
 იხატებოდა შურის ძიებაში) გადვიდა, მაგრამ კა-  
 ნონმა არა თუ ვერ განავითარა ეს პრინციპი და  
 ვერ განახორციელა იგი, არამედ შეჭქმნა მრა-  
 ვალგვარი პირობები დანაშაულობისა, და აგრეთვე  
 ძველი პირადი ან საზოგადოებრივი შურის ძიება  
 გადააქცია განსაკუთრებული დაწესებულების ფუნქ-  
 ციად, რომელიც პირობათა მიუხედავად მხოლოდ  
**სჯის** დასჯისათვის, და არა რაიმე სოციალური ინ-  
 სტინკტი ამოძრავებს მას, რადგანაც თვით ეს ორ-  
 განიზაცია არის დამყარებული კაცის კვლაზე და  
 დანაშაულზე. მაშასადამე, დამსჯელობითი უფლე-  
 ბის პრინციპი „არა კაც ჰკლა“ კი არ არის, არა-

მედ, ერთის მხრით ადამიანთა ერთი ჯგუფის პრი-  
ვილეგიის დაცვა კაცის კვლისა, და მხორეს მხრით  
ორგანიზაცია სოციალური შურის ძიებისა. ყველა  
ქვეყნის დამსჯელობითი უფლების სტატიები ნათ-  
ლად გვიმტკიცებენ ამ საშინელ და ბარბაროსულ  
მოვლენის ნამდვილ არსებობას, — ყველგან და ყო-  
ველთვის, სადაც და ორდესაც კი ყოფილა კანონი  
საზოგადოების „მმართველი“:

აიღეთ, მაგალითად, აგრეთვე ქურდობა. ეს, რო-  
გორც ყველამ კარგად ვიცით, დიდ დანაშაულად ითვ-  
ლება: ინგლისში, მაგალითად, ხშირად კიდევაც ახრ-  
ჩობენ ხოლმე კაცს ამისათვის. მაგრამ ჯერ განვ-  
საზღვროთ ქურდობა. ეს ხომ უბრალო რამ არის? —  
სხვისი საკუთრების მითვისება: და ყოველთვის,  
მონობიდამ დაწყებული თანამედროვე კაპიტალიზ-  
მამდის არა მწარმოებელნი მშრომელთა პიროვნებას,  
თავისუფლებასა, შრომასა და ნაწარმოებს, — საკუ-  
თრებას არ ითვისებდენ? მოიგონეთ მონებით ვაჭრობა  
ძველ ანტიკურ საზოგადოებაში, არისტოკრატელისა და  
ციცერონის ფილოსოფია მონობისა, საშუალო საუ-  
კუნოებში მეომართა მიერ პირაპირი მითვისება მი-  
წისა და ზედ მშრომელთა დასახლება და ექსპლოტა-  
ცია, რამაც ბატონ-ყმობა შექმნა; დაუკვირდით თა-  
ნამედროვე კაპიტალისტურ ექსპლოტაციას — და იმ  
კანონებს, რომელნიც ყოველთვის იყვნენ დამ-  
ცველნი ამ ქურდობისა და ავაზაკობისა, — და მაშინ  
მიხვდებით, თუ ვის აქვს „უფლება“ ქურდობის დას-

ჯისა, — კანონს, თუ მათ, ვისაც კანონი თავში ურ-ტყავს ქურდობისათვის, — თუ მწარმოებელს, რო-მელმაც მთელი სიმდიდრე შეჰქმნა მთელი თავსი სი-ცოცხლის განმავლობაში, შეიძლება 50 წ. მუშაობი-თაც, — მუქთა ხორათათვის, — და შემდეგ, ძალა გა-მოლეულმა, ქუჩაში მშივრად დარჩენილმა პურის ნაგ-ლეჯი მოიპარა, რომ გადამკვდარი ბებერი ცოლის-თვის ან ავადმყოფი ბავშისთვის ცარიელი მუცელი გაეძლო!

ვინ არის ქურდი — კანონის კაცი, კაპიტალის-ტი, ან ძველი ბატონი და მონათ მფლობელი, თუ მონა, გლეხი ან თანამედროვე პროლეტარი? თუ ქურდობა სხვისი საკუთრების მითვისებაა, — თვით კანონის განსაზღვრის ძალით ისინი გამოდიან ქურ-დებად, ვისაც კანონი იცავს, ვის სასარგებლოდაც კანონი სჯის, “ქურდებს”, ე. ი. მშიერ მწარმოებ-ლებს! აქაც კანონი საკუთრების პრინციპს კი არ იცავს, არამედ ქურდობისა. და ავაზაკობის პრივილე-გიას ადამიანთა ერთი ჯგუფისათვის.

აიღეთ სხვა მოვლენანი, რომელთათვისაც ადა-მიანებს. სჯიან, და ყოველთვის ერთსა და იგოვე დას-კვნას მიადგებით: კანონი თვით ხდება. დანაშაულის წყაროდ.

რომ არ გავამრავლოთ მაგალითები, აუილოთ ას-სოციაციათა თავისუფლება. რომის კოლეგიებიდამ და სოციალიციებიდამ დაწყებული თანამედროვე ეპო-ქამდე სდევნის სახელმწიფო თავისუფალ მუშათა კავ-

შირებს. თვით „საერო კრებაშ“ დიდი ორევოლუციის. დროს გაიყვანა კანონი 1791 წელს. მუშათა ასხო-  
ციაციების წინააღმდეგ. საფრანგეთში 1884 წელს  
მიიღეს მხოლოდ სინდიკატებმა ლეგალური არსებობის  
უფლება. ინგლისში XIX საუკუნის დასაწყისში  
მუშებს სიკვდილით სჯიდნენ კავშირებისათვის. საშუ-  
ალო საუკუნეთა ისტორიაში ხომ პირველი ადგი-  
ლი უკავია მუშათა კავშირებისა და წრეების დევ-  
ნას. რესეტის ბარბაროსობის ამბავი ყველამ იცის.  
**და ყოველივე ეს კანონის ძალით.** — არ შეიძ-  
ლება სახელმწიფო სახელმწიფოში, გაუმარჯოს სა-  
ზოგადო მშეიღობიანობას, — ეს ფრაზებია, რომ-  
ლითაც სხვიმისაც და ეხლაც აუტყუებდენ და ატ-  
ყუებენ ხალხს ბ. ბ. კანონმდებლები. — აგრეთვე აი-  
ღოთ კანონი „მაწანწალობის“ (Vagabondage) წი-  
ნალმდეგ, განსაკუთრებით საფრანგეთში (იხ. ოქტავ  
ტიქსიეს წერილები „რევიუ ბლე“-ში მაგალითად)  
ვორქჰოუზები ინგლისში და სხვ., და დაინახავთ რომ  
კანონი მართლაც პირდაპირი წყაროა დანაშაული-  
სა. — კაცს ლუკმა პური არა აქვს, სამუშაო ვერ  
უშოვია, — ამისათვის იგი დევნილია, მას უფლება  
არა აქვს იაროს ქვეყნად, სოფელ-სოფელ, რომ მან  
ან ითხოვოს, ან სამუშაო ნახოს; — იგი განწირუ-  
ლია, „დამნაშავე“, მას ციხეში უკრავს თავს კანო-  
ნი, მაშინ როდესაც მისგან განმტკიცებული კაპი-  
ტალიზმი მიზეზია მრავალ მშეერთა და მაწანწალა-  
თა არსებობისა. 1

და რამდენი პროცესები, რამდენი წაშება აქვს ადამიანს თავზედ გადახდენილი მსაჯულთა მიერ, ამ კანონის იარაღთა მიერ! და რა არის მსაჯული? არაფერი, გარდა უზნეო არსისა, რომელსაც იმის შეგნებაც არა აქვს, რომ ყოვლად შეუძლებელია ადამიანი დასაჯო იმისთვის, რისთვისაც მთელი წეს-წყობილება უნდა დაისაჯოს, ან მთელი ერთი შთა-მამავლობა, თუ დასჯაზედ მიღვა საქმე. ვინ არ იცის ტოლსტოის *Воскресеніе*, — აი სად არის ნაშ-დვილი სურათი მსაჯულისა. კაცი, რომელიც ავად-მყოფია, რომელიც ცუდად აღზრდილია, რომელიც მშიერია, რომელიც ვინ იცის რა პირობებში გაიზარდა და გაიხრწნა, ან განვითარდა (კანონისათვის ეს სულ ერთია), განისჯების იმისთანა ადამიანთაგან რამდე-ნიმე საათის განმავლობაში, რომელთაც არ იციან არც მისი ხასიათი, არც მისი ბიოგრაფია, არც მი-სი აღზრდის პირობები, არც მისი სულის კვეთება, არც სიყვარული, არც სიძულვილი არ აქვთ მისდა-მი, — არამედ მხოლოდ კანონის მუხლის ძალით, რომელშიდაც ბარბაროსიობისა და აბსურდის მეტი არა სწერია რა. — აი რა არის სამსაჯულო. და ამას სამართალს უწოდებენ.

და მონობის მრავალი ფორმები კაპიტალიზმაშ-დის, — საკუთრება, პრივილეგია ერთი საზოგადოე-ბის, სახემწიფო ტიპის საზოგადოების აღიარებისა, სამსაჯულო და სხვა, — ყოველივე ის, რის წინააღ-მდეგაც წასვლა დანაშაულად მიაჩნია კანონს, — რა

არის, თუ არა სახელმწიფო, ყველა მისი დაწესებულებით, რომელთა სულიც კანონია, და რომლის შედეგიც ომია ყოველთვის, სიკვდილი და განადგურება? ეს უკანასკნელი კი არის სწორედ დიდი სოციალური დანაშაული, რადგანაც, თუკი არსებობს დანაშაული და მისი განსაზღვრა შეიძლება, ეს უნდა იყოს ჩვენი ფიქრით, ყოველივე მოქმედება ადამიანისა ან ადამიანთა ჯგუფთა, რომელნიც ადამიანს უშლიან თავისუფლებას, საზოგადოებრივობას, არღვევენ. პრინციპს ძალთა ეკონომიკისა და ადამიანის ტომი განადგურებისაკენ მიჰყავთ. ამ განსაზღვრით კი თვით გვირგვინოსნები, მისი ლენერლები, მინისტრები, ჯარი და პოლიცია, მსაჯულები, ჯალათები და სხვ., კაპიტალისტები და მემამულეები, მღვდლები და ათასი წვრილი და მსხვილი სახელმწიფო მოხელე, — სულ დამნაშავეები ყოფილან, და მათაც უცადონ მათ ულმობელ მსაჯულს, — რევოლუციას, თუ მართლა დასჯაა დანაშაულის დამახასიათებელი შედეგი. დანაშაული თვით სახელმწიფო, თვით კანონი ყოფილა, — და ნამღვილად, ფაქტურად დღეს ამის უარ-ყოფა არ შეიძლება.

— რომესპერთ კანონი — მოისპობა დანაშაულიც. წინა-ჭმდევ შემთხვევაში — „კოქასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“ :

მაგრამ შეიძლება მკითხონ : მართალია, რომ თანამედროვე კლასსიურ საზოგადოებაში კანონი მონობაა და ძარცვა-გლეჯა - წამების განმტკიცება;

როდესაც კი კლასსები მოისპობა, მაშინ ხომ კანონი მთელ მწარმოებელ საზოგადოებას დაიცავს? მაშ როგორ შეიძლება ასე აბსოლუტურად კანონის უარისყოფა? გარდა ამისა, როგორ შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრება უკანონოდ, ე. ი. თუ საექტო სურვილთა და მოქმედებათა გამომხატველი ნორმები არ არსებობს.

### III.

რა არის კანონი, რად შეიძლება იყოს კანონი არა კლასსიურ საზოგადოებაში? პასუხი ადვილია.

კანონი — კანონია, ყოველთვის, ყოველგვარ საზოგადოებაში: იგი გამოხატულებაა იმ დაწესებულებათა სულისა, რომელნიც შეადგენენ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ტიპის განსაზღვრულ დამახასიათებელ მხარეს. მხოლოდ მიზანი შეიძლება შეიცვალოს ცალკე კანონისა, შეიძლება კანონთა რიცხვი შემცირდეს, ან გაძლიერდეს, მაგრამ ამით მისი შინაარსი არ იცვლება, — კანონი ყოველთვის რჩება სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის გამომხატველ ფორმულად. მაგალითად, თანამედროვე საზოგადოებაში კანონმდებლობის მიზანია უმთავრესად კერძო საკუთრების დაცვა, არა - კლასიურ საზოგადოებაში კი შეიძლება კანონი აღარ შეეხებოდეს კერძო საკუთრებას, რადგანაც კერძო საკუთრება აღარ იქმნება. მაგრამ აღამიანთა შორის ათასნაირი სხვა განწყობილებაა გარდა კერძო-საკუთრების განწყობილებათა. თეორიულად, კანონს შეუძლია გამოჰქმდოს უმ-

კირესი ან უმეტესი \*) ნაწილი ამ განწყობილებათა, — გამოჰქმდოს თავისებურად, ე. ი. ძალით გაიყვანოს ცხოვრებაში არა ნამდვილი განწყობილებანი, რომელთაც ძალით გაყვანა არა სჭირდებათ, რადგანაც ბუნებრივად არსებობენ, — არამედ იმ დაწესებულებათაგან გამოსული ბრძანება მოახვიონ ხარხს თავზედ, რომელნიც აუცილებლივ წინ უნდა უძლოდენ ყოველსავე ახალი ტიპის კანონმდებლობას და რომელნიც საფუძვლად ხდებიან განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ საზოგადოებისა.

მაგალითად, ს. დ.-ების კოლლექტივიზმი სრული ტიპია იმგვარ საზოგადოებრივ ორგანიზაციისა, სადაც თანამედროვე ფორმა კერძო საკუთრებისა ისპობა, მაგრამ ინახება თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთა სულიც უნდა ჩაედგას მომავალ კანონს.

რა არის კოლლექტივიზმი ს. დ.-ებისა ? \*\*)

კოლლექტივიზმი, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, სახელმწიფო კაპიტალიზმი, დამყარებულია შემდეგ პრინციპზედ : თვითოვეულმა უნდა იმუშაოს ან იმდენი, რამდენიცა სურს, ან იმდენი, რასაც ხახელმწიფო გადასწყვეტს, და ჯილდოდ მიიღოს თავისი

\* ) რაიცა ცხოვრებაში არასოდეს არა ხდება.

\*\*) თანამედროვე კოლექტივიზმი ს. დ.- ებისა და შეელი ინტერნაციონალის კოლლექტივიზმი, რომელსაც ემსრობოდა პატენტისა და ესპანელი მუშები (ამათ ახლაც აქვთ ეს სახელი) შედგა საჭარბელოს არის.

შრომის ღირებულება საქონლით, რომელსაც გამოიტანს სახელმწიფო ან სამაზრო მაღაზიებიდან თავის შრომის რაოდენობის კვიტანციის წარდგენის შემდეგ.

ცხადია, ამ პრინციპზე აგებული საზოგადოება ნამდვილი სახელმწიფო ტიპია საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, და ლოლიკურად შეუძლებელია ამგვარ საზოგადოების წარმოდგენა, თუ სახელმწიფო დაწესებულებათა სული არ გამოიხატა კანონებში. მიუშატეთ ამას ათასნაირი სხვა განწყობილებანი, გარდა ეკონომიკურთა, რომელნიც ხალხში არსებობს წენ და იარსებენ ყოველთვის, ყოველ საზოგადოებაში, და რომელთაც სახელმწიფო, არც ერთი სახელმწიფო თავის დღეში არ დასტოებს ბრკყალდაუვლებლადა და კანონის კალაპოტშიაუყენებლად, — და ეს „სოციალისტური“ სახელმწიფო წარმოგი-დგებათ თვალის წინ მცირე ანალიზის შემდეგ, როგორც ფერ შეცვლილი სურათი თანამედროვე სოციალურ წუმპისა, — სურათი თანამედროვე კაპიტალიზმ-სახელმწიფოს განუყოფლობისა და ერთარსებობისა.

წარმოების მოწყობა და სამრეწველო ანტრეპრიზა, მუშათა განაწილება, თუ ეს განაწილება არ მოხდა მოთხოვნისა. და მიწოდების კანონით, როგორც ესა პგონია ვანდერველდს, — დადგენა სამუშაო ქირისა. შრომის ხარისხის მიხედვით სხვა და სხვა მრეწველობის დარგში, ჩეკების ფაბრიკა-

ცია და მათი დასარიგებელი ბიუროები, ათასნაირი ამგვარი მსხვილი და წვრილი საქმე წარმოებაში, — შემდეგ გარანტია ყოველი მშრომელისათვის თავისი შრომის ღირებულების მიღებისა, თვალყურის დევნება, რომ ჩეკები არავინ მოაგროვოს, როგორც კერძო სიმღიდრე, რომ არავინ მოიპაროს სხვისი ურომის გამომხატველი ჩეკები და სხვა, — შემდეგ დამოკიდებულება ცოლისა და ქმრისა, შვილთა და მშობელთა, ალზრდისა და სწავლა-განათლების საქმე, მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალ დარგათა საქმე, კონფლიქტები კერძო პირთა უორის და კერძო პირთა და „საზოგადოების“ შორის, როგორც ამბობენ იურისტები, — ეს კონფლიქტები ყოველთვის იქმნება, განსაკუთრებით იმგვარ საზოგადოებაში, სადაც მმართველობაა თუ გინდ ანგელოზებისაც, — ყოველივე ეს „სახელმწიფო უნდა იდვას თავზედ და მხოლოდ მცირე ასპარეზი უნდა დაუტოვოს სამოქმედოდ თავისუფალ ჯგუფებს.“

წარმოიდგინეთ, როგორი ორგანიზცია უნდა ამგვარ საზოგადოებას, რამდენი ძალ-დამტანებელი დაწესებულება, და, მაშასადამე, რამდენი კანონი, რომელთაც წარმოუდგენელია რომ ყველა დაემორჩილოს, რადგანაც ის კანონი, რომელიც ყველას გულშია აღბეჭდილი, როგორც წმინდათა წმინდა და დაურღვეველი რამ, კანონი არ არის; როგორც, მაგალითად, მუშაობის შემდეგ კამა არავის არ დაუკანონებია, — არამედ ეს უკანასკნელი საზოგადოდ მოთ-

ხოვნილებაა ყოველივე ორგანიზმისა. აგრეთვე იმ-  
გვარი რამ, რაიც **მოთხოვნილებაა** მთელი საზოგა-  
დოებისა და კერძოდ ინდივიდისა, თავის დღეში არ  
დაკანონდება, რადგანაც ეს **მოთხოვნილება** თავის  
თავად სრულდება, ან სცდილობენ შეისრულონ,  
უმეტეს ნაწილად სწორედ კანონის წინააღმდეგ.

კანონი წარმოუდგენელია, თუ მორჩილნი არ  
არიან საზოგადოებაში, ან არა მორჩილნი. იურის-  
ტები მართალს ამბობენ ამიტომ, — ~~კანონის~~ ხა-  
სიათი მისი ~~დაუღუშების~~ ~~დასჯოთ-დახსნიათ~~დებაო.

მაში მორჩილება და ურჩობა და ამ უკანასკნე-  
ლთა მიერ გამოწვეული დასჯა დაახასიათებს კანონს  
მომავალ საზოგადოებაშიაც, რომელიც სახელმწიფ-  
ო გეგმაზედ იქმნება აშენებული, როგორც გვეუტ-  
ნებიან კლასთა მომსპობი ს. დ.-ები! .

მაგრამ კანონის შემდგენელნი — ~~კანონმდებელნი~~  
არიან, — სულ ერთია, კაპიტალისტურ საზოგა-  
დოებაში თუ სახელმწიფო-სოციალისტურში. უმ-  
თავრობო საზოგადოება კი ხომ არა სწავლი ს. დ.-  
ებს? და თუ უმთავრობო სწავლი და უსახელმწიფოც,  
მაშინ ხომ ს. დ.-ები არ იქმნებიან! თუ გინდ ეს  
კანონმდებელნი აირჩიონ საუკეთესო საარჩევნო თეო-  
რიის მიხედვით, საქმე არ იცვლება. კანონმდებელ-  
თა კრება მაშასადამე აუცილებელია. — ეს ერთი  
დაწესებულება თანამედროვე საზოგადოებისა,  
ერთი ჯგუფი მუქთა ხორათა, რომელიც რჩება მომა-  
ვალ საზოგადოებაში. — კანონმდებელი კანონებს

გამოსცემს ყველა ზემოხსენებულ საზოგადო საქმეთა მოსაგვარებლად და განსაწესიერებლად, და რადგანაც ამ კანონთ აღსრულება სპირდება, რომ თავისი შინაარსი უამისოდ სრულიად არ დაჰკარგოს, საჭიროა აღმასრულებელი ძალა, ე. ი. მინისტრები, ათასნაირი აღმინისტრატორი, უანდარმები და ჯაშუშები, შეიძლება მიღიცაუ, თუ კი უკმაყოფილოთა რიცხვი ძლიერ ბევრი იქმნა. — ეს მეორე ჯგუფი მუქთა ხორათა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას ანადგურებს. — კანონის მოწინააღმდეგოთ ხომ გასამართლება და დასჯა უნდა, რომ კანონმა აგრეთვე ძალა არ დაჰკარგოს და შინაარსი. ამისთვის კი საჭიროა მსაჯულ-ადვოკატები, საპურობილები და სხვ. — ეს მესამე ჯგუფი მუქთა ხორათა, რომელიც აგრეთვე თანამედროვე საზოგადოების გამათახსირებელია, — და ასე დაუსრულებლივ, — მთელი დაწესებულებანი თანამედროვე საზოგადოებისა საკანონმდებლო ორგანოდან დაწყებული პოლიციის პრეფექტურამდე და საპურობილემდე, მთელი თავისი ჯოჯოხეთური ბიუროებრატიული სიბნელითა და პოლიციურის ძალმომრეობით, აღსდგებიან არა კლას-სიურ საზოგადოებაში, სადაც კანონი გამოჰხადავს აგრეთვე იმ დაწესებულებათა სულს, რომელთაც სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვსთ, ე. ი. მართვისა და ძალდატანების ორგანიზაციის ხასიათი.

მაგრამ გვეუბნებინ — აქ საქმე უმეტესობის ინტერესთა დაცვაა და არა კერძო პირთა კაპრი-

ზომ. ეს არის ჩვენი მომავალი სახელმწიფოს ფუნქცია და ამიტომ გვინდა მთავრობაც და მისგან შექმნილი კანონიც.

მაგრამ რა არის უმეტესობა და უმცირესობა ?

1) ეს ცნებანი ერთობ და მომეტებულად შედარებითი ცნებანი არიან. მაგალითად, შეიძლება ხალხის უმეტესობა ერთი ათასით იყოს მეტი უმცირესობაზედ, შეიძლება 30,000,000 ადამიანში 15 მილიონი და ნახევარი, ან თუ გინდ 16 მილიონი შეადგენდეს უმეტესობას და დანარჩენი 14-ნახევარი მილიონი ან 14 მილიონი კი უმცირესობას. — რა უნდა ვსთკვათ, მაშასადამე, იმ კანონზედ, რომელიც მთელი თოთხმეტი მილიონის წინააღმდეგია და ვერ აკმაყოფილებს მას ?

გარდა ამისა, წარმოიდგინეთ სიძლიერე იმ ძალადამტანებელ ორგანიზაციისა, რომელსაც კანონი ამ უმცირესობის წინააღმდეგ და უმეტესობის სასარგებლოდ ძალით გაჰყავს ცხოვრებაში ? წარმოიდგინეთ აგრეთვე, რომ ეს 14 მილ. ხალხი სულ შეგნებულია, რაიც უსათუოდ უნდა ვიგულისხმოთ სოციალისტურ სახელმწიფოში, და არ უთმობს არათერს არც კანონს, არს უმეტესობას, მუდამ ჯანყდება კანონის და უმრავლესობის წინააღმდეგ, მუდამ ახდენს რევოლუციას, — და მაშინ გაიგებთ, თუ როგორი ჯარი, როგორი პოლიცია, ძალ-მომრეობა და რეპრესიები დასჭირდება მომავალ

კანონს ამ მრავალ მილიონ შეგნებულ უმცირესობის ასალაგმავად.

2) წარმოვიდგინოთ, რომ მომავალი სახელმწიფოს მომხრენი აღიარებენ უმცირესობა-უმრავლესობის პრინციპს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უმცირესობას აქვს ძლიერ ახლო საზღვარი ნულთან, ე. ი. იგი უდრის მთელი ხალხის მე- $1/1000,000$ -ს ან ორ მემილიონედს, და ასე ძლიერ ცოტას, — უმეტესობის საზღვარი კი მთელი ხალხია. — მაშინ თვით პრინციპი კანონმდებლობისა და სახელმწიფო ორგანიზაციისა ირლვევა, რადგანაც ა) თუ უმეტესობა უდრის მთელს და უმცირესობა ნულს, მაშინ ხალხის ორგანიზაცია ისეთი ყოფილა, რომ ორგანიულად გამოდიან გადაწყვეტილებანი თვით ხალხთა მასიდან, უმთავრობოთ და უწარმომადგენლოდ, რადგანაც შეუძლებელია რამდენმამე წარმომადგენელმა აბსოლიუტურად გამოჰქატოს ყევლა ინდივიდთა ერთი და იგივე აზრი და შისწაფება. — გარდა ამისა თვით ეს ფორმულა აბსურდია, რადგანაც თავისთავად ყოვლად შეუძლებელია 30,000,000 ხალხმა ერთი რამე გადაწყვეტილება გამოიტანოს ყოველთვის ისე, რომ ყველა ერთიმეორის თანხმა იყოს ყველა კითხვებში. მართალია, რომ პკითხოთ, ყოველი კაცი გეტყვისთ, — ჭამა საჭიროა, მაგრამ სწორედ ეს აზრი, თუ გინდ მილიარდ ხალხისა, არ ჩაითვლება კანონად, არ ჩაითვლება კანონად აგრეთვე არც ერთი აზრი ან გადაწყვეტილება ხალხისა, —

თუ ამგვარი „გადაწყვეტილება“ ხალხისა შესაძლებელია, — რომელზედაც ყველა ყოველთვის თანახმაა, ე. ი. როდესაც უმცირესობა უდრის ნულს. ბ) თუ უმეტესობა უდრის თითქმის მთელს და უმცირესობა ძლიერ მცირეა, მაშინ უნდა ვიანგარიშოთ მოძრაობა ამ მცირისა, რომელიც უკან მსვლელობით მიისწრაფის ნულისაკენ, წინმსვლელობით კი მთლის ნახევრისაკენ, რაიცა გამოიწვევს პირველს შემთხვევაში თვით კანონის უარ-ყოფას, ან ვი მიღწონის ხალხის მიერ ერთხმად ყველა სხვა-დასხვა კითხვის გადაწყვეტას, ე. ი. აბსურდს, მეორე შემთხვევაში კი საშინელს დესპოტიურსა და მონურ საზოგადო მოგანიზაციას, კანონზედ დამყარებულს. გ) თუ კუმცირესობა არ ც ძლიერ მცირეა და მთელის ნახევარზედაც შორს არის; მაშინაც პირდაპირი შედეგი ამისა კანონის უარ-ყოფა იქნება, რადგანაც საზოგადოებისათვის ძლიერ უფრო ხელ-საყრელია ამ თუ გინდ მავნებელ მცირე უმცირესობის ყოლა საზოგადოებაში, ან მათი მოვლა ათასნაირი ადამიანური საშუალებით, რადგანაც მომავალში უკეთ ეცოდინებათ მიზეზები ადამიანის სიცუდისა, — ვიდრე მათ დასასჯელად შექმნა ათას-ნაირ მხეცურ და მონურ დაწესებულებათა.

საზოგადოდ, შეგვიძლია განვიხილოთ ცალკე მომენტები უმცირესობის მოძრაობისა ნულიდან მთლის ნახევრამდე და ყოველთვის უნახავთ, რომ ან კანონის უარ-ყოფა გამოდის, ან საშინელი მონობა და დესპოტიზმი, ან საშინელი აბსურდი, რაიცა

ნათლად გვიჩვენებს თვით უმეტესობა-უმცირესობის  
პრინციპის ~~საიასულდეს.~~ *10 time*

3) უმცირესობა-უმეტესობის პრინციპი თვით,  
თავის თავად არის აბსურდი და მავნებელი, რადგა-  
ნაც ადვილი შესაძლებელია ძლიერ ბევრ კითხვა-  
ში, — **და არასოდეს ყველა კითხვაში,** — უმცი-  
რესობა, ან რამდენიმე ერთეული უფრო გონიერი,  
მცოდნე და ჰყავიანი იყოს, ვიდრე უმრავლესობა.  
მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ ეს მართლაც ასე  
ყოფილი ხოლმე. რევოლიუციებსა, მეცნიერებასა,  
გამოგონებათა და ადამიანის მრავალგვარ შემოქმედ-  
ებას ჰყავს თავის მოწამენი, თავისი უმცირესობა,  
დასჯილი უვრავლესობისაგან, ანუ მათ ეგრედ წოდე-  
ბულ „წარმომადგენლოთაგან“. ამათი ცხოვრება—  
ისტორიის საუკეთესო - ფურცლებია, და მომავალ  
საზოგადოებაში რომ უმცირესობა დაიჩაგროს, მა-  
შინ სულ უნდა შეჩერდეს მთელი წინსვლა ადამია-  
ნისა, შეჩერდება რა მისი ინიციატივა და თავისუფა-  
ლი შემოქმედება. \*

4) ჩვენა ვსთქვით, რომ თეორიულად უმცირე-  
სობის საზღვრები შეიძლება იყოს ნული და მთლის  
ნახევარი, პრაქტიკულად კი უმცირესობა ყოველ-  
თვის დიდ მასსას შეადგვნს, რომლის დასამონებლად  
უნდა შეიქმნას ძლიერი დესპოტიური სახელმწიფო.  
და რამდენადაც უფრო შეგნებულია ეს უმცირესო-  
ბა, იმდენად უფრო სასტიკი იქმნება კანონი, თუ

გინდ დღეში ასჯერ შესცვალონ მთავრობის პერსონალი.

ა) შესაძლებელია უმცირესობის ან უმრავლესობის გამონახვა და განსაზღვრა რომელსამე საზოგადოებაში? ჰმ! არ ვიცი როგორ აზროვნობენ ამის შესახებ დემოკრატები, რომელთათვისაც უმრავლესობა თაყვანსაცემ კერპად გადაქცეულა, — ჩემთვის თვით ამგვარის გამოცანის გამოცნობის ცდაც კი აბსურდია. როგორი უმრავლესობა ან უმცირესობა? როგორ პირობებში, როგორ მომენტში, რომელ ჭრთვებში, როგორ გუნებაზედ მყოფ ხალხთა შორის? რომელი ერთი უმცირესობა ან უმეტესობა უნდა ვეძებოთ? როგორ უნდა შევადგინოთ თანსწორობა, ან თუ შევადგინეთ, როგორ უნდა გავარკვიოთ იგი, როდესაც მხოლოდ ერთ თანსწორობას შევადგენთ და მეტს ვერა, — ათასი გამოურკვევილი ოდნობიზ სავსეს, რომელთა შემწეობითაც უნდა გამოვირკვიოთ უმცირესობა, ან უმეტესობა, — ესეც თვით გამოურკვეველი ოდნობა? — დიახ, უმცირესობის ან უმეტესობის ნახვა და განსაზღვრა საზოგადოებაში, — ეს ერთი თანსწორობაა ათასი გამოურკვეველი ოდნობით, ერთი გამოურკვეველი — ეს ოდნობის გამოსარკვევად, — ე. ი. აბსურდი!

მაგრამ დემოკრატები ამას არ დასდევენ. მათ აქვთ ერთი უუტლანებესი და უუაბსურდესი წესი ამ გამოცანის გარკვევისა. ეს არის არჩევნები, რომლის შემდეგაც დეპუტატები არდგენენ საკონმდებ-

ლო კრებას, მიითვისებენ რა ხალხთა შორის უმრავალფეროვანეს განწყობილებათა განწესრიგების პრივილეგიას დიდის პრეტენზიებით, რასაკვირველია.

ამ ამორჩეულთ ჰქვიანთ ხალხის წარმომადგენლები. ვის წინაშე? — როდესაც მეფის წინაშე არიან ხალხის წარმომადგენელნი; ე. ი. სალრმთო უფლების დროს, ამ სახელწოდებას აქვს კიდევ აზრი და შინაარსი. \*) მაგრამ რესპუბლიკაში, ან მომავალ სოციალისტურ სახელმწიფოში? — ისინი წარმომადგენელნი არიან ხალხისა ხალხის წინაშე? — ეს აბსურდია, რადგანაც ხალხს თავის თავის წინაშე წარმეგენა არ შეუძლია: — კანონის წინაშე? — მაგრამ თვით ჰქმნიან ესენი კანონებს და თვით არიან წარმომადგენელნი ურთი-ერთის წინაშე? — ეს კიდევ უარესი პასუხლა, რადგანაც ერთმანეთის წინ წარსადგომად ხალხი არც რესპულიკაში და მეტადრე სოციალისტურ სახელმწიფოში დებუტატებს არ აირჩევს.

არავინ იფიქროს, რომ ეს სიტყვის კოლოს გამობმა იყოს. ამას თავისი აზრი აქვს. მართლაც, სალმრთო უფლების დროს, ინგლისში, მაგალითად, ხალხი მართლა პგზავნიდა თავის წარმომადგენლებს მჟღის წინაშე სხვა და სხვა საქმეთა მოსაგვარებლად, სათხოვნელათ და სხვა. აქედან წარმოსდგა თანამედროვე ინგლისის, მეფისაგან თავისუფალი პარლამენ-

ტი. — მაშინ იყო თვით ხალხზედ უფროსი ძალა, — საღმრთო უფლება: ეს ძალა ჩეალურად არსებობდა და მის წინაშე წარსდგებოდნენ ხოლმე მონა ხალხის წარმომადგენელნი. ეხლა კი, რესპუბლიკებში, ან მომავალ სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც ხალხი სუვერენია, ან იქმნება სუვერენი, რას ნიშნავს ამ სუვერენის წარმომადგენელი? სრულისადმი არაფერს, გარდა ძველი მონობის ახალის ფერით შედებისა, არაფერს გარდა იმისა, რომ ხალხი სრულიადაც არ შეიძლება იყოს სუვერენი არავითარ სახელმწიფოში, არც ბურუუაზიულში და არც სოციალისტურში, თორემ მას წარმომადგენელიც აღარ დასჭირდებოდა...

მაგრამ მაინც დავანებოთ ამას თავი. ვსთქვათ, რომ ხეირიანია ეს სახელ წოდება „წარმომადგენერატორი“. დემოკრატები ხომ ამბობენ, — ეს არის წარმომადგენი ხალხის „ინტერესთა“ მხოლოდო. მაგრამ ვიკითხოთ, შესაძლებელია წარმომადგენელობა ინტერესთა დემოკრატებს რომ ჰყითხოთ, რასაკვირველია შესაძლებელია, — მაშინა ჯარაბაა, როცა არჩევნების დროს ხალხი კენჭს უყიდის. ხოლმე კანდიდატებსა და არჩეული დეპუტატები პარლამენტში მიღიან ამინტერესთა დასაცველად. (ვის წინაშე?) კითხვა კი ასე ტლანქად არა სწყდება, უბრალო არარის არჩევნების შინაარსი, არც ისეთი, როგორც დემოკრატებს ჰქონიათ.

წარმოვიდგინოთ, რომ ხალხის მიერ არჩეულნი

პირნი მართლა არიან წარმომადგენელნი და, გამო-  
მხატველნი ხალხის ნებისა და ინტერესთა. მაშინ გა-  
მდიდის, რომ სუმმა ხალხის შემადგენელ ინდივიდთა  
ნებისა, ინტერესთა და მისწრაფებათა უდრის, ან  
ეთანხმება მათ წარმომადგენელთა ნებას, ინტერე-  
სთა და მისწრაფებათა. მაშინ უნდა წარმოვიდგი-  
ნოთ, რომ რამდენსამე კაცს შეუძლია გაიგოს სუ-  
ლის კვეთება და იდეალი ყოველ თავის ამომჩქვ-  
ლისა, — რიცხვი კი ამ უკანასკნელთა მილიონობრივ  
არის ყოველ სახელმწიფოში, რიცხვი დეპუტატთა  
კი ძლიერ მცირეა, რაღანაც ძლიერ დიდი რიც-  
ხვი აფერხებს ტეხნიკურად კანონმდებლობის საქმეს.  
მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ არჩეული პირი  
ყოვლის მცირება, ყოვლის შემომქმედი და გამომ-  
ხატველნი მთელის საზოგადოების ნიჭისა, მთელი  
მისი პორიზონტები მას გათვალისწინებული აქვს  
წინდაწინ და შესაფერ კანონსა სდებს მომავალ სა-  
მოქმედოდ საზოგადოებისათვის; მაშინ უნდა წარ-  
მოვიდგინოთ, რომ ერთ კაცს შეუძლია თითქმის  
ყველა განწყობილებანი აღამიანთა შლირის გაითვა-  
ლისწინოს, სისტემაში მოიყვანოს და თანახმად ამ  
სისტემისა განაწესრიგოს იმ — და სხვა ბევრი რამ  
ამგვარი აბსურდული რამ არის საჭირო იმისათვის,  
რომ ამორჩეული პირი ნამდვილი წარმომადგენელი  
და გამომხატველი იყოს მთელი სოციალური არ-  
სებისა. მაშინ მთავრობა და ხალხი უნდა შევადა-  
როთ სამკუთხედის საფუძველსა და მის პარალელუ-

რად გაყვანილ ხაზებს. თუმცა ყოველი პარალელური ხაზი საფუძვლისა, გაყვანილი სამკუთხედის შიგნით, ნაკლებია სიგძით საფუძველზედ, მაგრამ როგორც ეს საფუძველი, ისე მისი პარალელური და მაზედ ნაკლები ხაზები შეესაბამებიან იმ კუთხის გრადუსთა რაოდენობას; რომლის წინააღმდეგაც საფუძველი და პარალელური ხაზები არიან გაყვინილნი. ხალხი ვითომც სატუძველია სამკუთხედისა, უუმცირესი პარალელური ხაზი, მაგალითად — ხალხზედ რიცხვით ნაკლები მთავრობა. გრადუსთა რაოდენობა სამკუთხედის უმწვერვალეს კუთხისა, — „ინტერესები“, რომელიც ერთია მთავრობისათვისაც და ხალხისათვისაც!.

საზოგადოებაში კი ასე არ არის. მთავრობა თავის დღეში ხალხს არ შეესაბამება, როგორც მისი ინტერესები ხალხის ინტერესებს არ შეესაბამება. ამიტომაც იგი ვერ გამოჰქმდავს ხალხს. ადამიანები ხაზები არ არიან. მათი გრძნობანი, მათი მისწრაფებანი, მათი მრავალგვარი ინტერესები, მათი იდეალი, მათი აზრი, მათი მთელი არსება იმგვარი სუმმა ერთად, იმგვარი მოძრავი რამ, რომ თვითეულ მათგანს შეუძლია ნაწილი თავის არსებისა გადააბას და შეუერთოს სხვისი არსების აგრეთვე ერთ შეიძლება უმცირეს ნაწილს, და წესი ამ შეერთებისა იცვლება მუდამ, შეიძლება დღეობით, თვეობითა და წლობით, იმისდა მიხედვით, თუ რა ნაწილები უერთდებიან ერთმანეთს ადამიანთა არსებისა, —

შეიძლება აგრეთვე საუკუნოებითაც იცვლებოდეს ზოგიერთი წესები აღამიანთა არსეთა კონტინიაციისა,— მაგრამ მთელი მათი არსების შეერთებისა და საერთო მოქმედების განწესრიგების პრეტენზია თვით ამ აღამიანთა მასსისაგან რამდენიმე ამორჩეულ პირთა მიერ, რომელნიც თავის დღეში ვერ გამოჰხატვენ ამ საერთო ნებათა, სურვილთა და მისწრაფებათა, — ყოვლად შეუძლებელი და აბსურდი რამ არის. ამიტომაც არის, რომ ყოველი მთავრობა მხოლოდ უმცირეს რეცხვს აღამიანთა შორის განწყობილებათა აწესრიგებს კანონით, და ამ უმცირესი როცხვის განწესრიგება კანონით გვიხუთავს სულს, გვართმევს **თავისუფლებას**, ე. ი. გვიფარგლავს მოძრაობის წრესა და გვიკრძალავს მრავალ გვარ მოძრაობას. დღეს შეიძლება ჩვენ შორის განწყობილებათა უმცირესი პროცენტიც არ იყოს სახელწიფოს მიერ ბრჭყალ ჩაკიდებული და ესეც გვეჩვენება მონობად, ამის წინააღმდეგ ვიბრძით, რევოლუციათა ცეცხლში ვვარდებით. დანარჩენი, დიდი უმეტესი ნაწილი განწყობრლებათა კი არსებობს თავისუფლად, ანარქიულად კაცთა შორის. და როგორი მონობა იქმნებოდა, რომ ყველა ჩვენი განწყობილებანი კანონით იყვნენ განსაზღვრულნი! ეს იქმნებოდა იდეალური მონობა.

ამიტომაც არის აგრეთვე, რომ რაც უფრო დესპოტიურია სახელმწიფო, მით უფრო დიდია რიცხვი კანონთა და ბრძანებათა, და აღამიანთა განმა-

თავისუფლებელ ბრძოლაში საუკეთესო დადგენილ კანონთაგანი არიან კანონი, რომელთაც მოსპეს ძველი დაქმოტიური კანონები. საზიზღრობის მოსპობაც დიად შედეგებად მოგვეჩვენება ხოლმე მონობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს!...

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამორჩეულ პირთ მაინც აქვს პრეტენზია ხალხის სულისა და გულის, ხალხის ნებათა და მისწრაფებათა, ხალხის ინტერესთა გამოხატვისა, და სწორედ რადგანაც ეს შეუძლებელია, სწორედ ამიტომ იხატება ეს მათი პრეტენზია ასე ტლანქად, ასე აბსურდულად, — **კანონმდებლობაში**, რომელიც წარმოუდგენელია ძალაუტანებლად.

ამორჩეულნი არ არიან მაშასადამე არც წარმომადგენელნი, არც დამცველნი ხალხის ინტერესთა, არც გამომხატველნი მისი საერთო ნებისა და სურვილისა, — არამედ **კანონმდებლელნი** და სხვა არაფერი!

აქ არის ძირი უმცირესობისა და უმთავრესობის პრინციპის ნამდვილ უნიადაგობისა და პირდაპირ უარ-ყოფისა.

მთელი ხალხის შეკრება ყოველ დღეს, ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია, — მის მაგიერ კანონმდებელი სწყვეტს მრავალ კითხვას და ეს კანონმდებელი კი მისი არც გამომხატველია და არც წარმომადგენელი. არჩეულთა რიცხვი კი ერთად უუმცირესი ნაწილია მთელი ხალხისა, — მაშასადამე, დე-

მოკრატების მიერ უმეტესობის თაყვანის ცემის მიუხედავად, ჩვენა ვხედავთ ხალხის მასსაზედ უუსასტიცეს ბატონობას მცირე უმცირესობის მხრივ.

ხან და ხან ამბობენ, რომ თუ ხალხს არ მოუწონა თავისი არჩეული პირები; გამოსცვლისო, მაგრამ წელიწადში თორმეტჯერაც რომ გამოსცვალს, ამითი საქმეს არა ეშველებარა. საქმე დროში კი არა, პრინციპშია, სისტემაშია.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. კანონდებელთა კრებაში კითხვა ყოველთვის ხმის უმეტესობით სწყდება. მაშასადამე, ხალხზედ ბატონობს კიდევ უფრო მცირე უმცირესობა, ე. ი. დეპუტატთა უმეტესობა, ხანდახან ერთი ხმის უმეტესობაც! და დეპუტატთა პირადი ხასიათი, მათი გუნება კანონის შემუშავების დროს, პირადი ჯიბრი კოლლეგათა შორის, კითხვათა არ ცოდნა, — რადგანაც კანონმდებლობას პრეტენზია აქვს ყოველივე მოაწესრიგოს და ყოვლის მცოდნე და მომწესრიგებელი კაცის ნახვა კი შეუძლებელია მეტადრე დეპუტატობის მსურველთა შორის, — კიდევ სხვა მრავალი პირობა, ისეთნაირ საცოდავ და აბსურდულ სურათს წარმოადგენს თვით სოციალისტურ სახელმწიფოში მომქმედ კანონმდებლობისასაც, რომ არა თუ უმეტესობის ინტერესი და მისწრაფება არ იხატება მათ მიერ დადგენილ კანონებით, არამედ უნიკოთა და უდიერთა დესპოტიზმი განხორციელდება მთელი ხალხის მასსაზედ. (ამიტომაც სოციალისტური სახელმწიფო

არ იქმნება თავისუფალი უუსაშინელეს ჩევოლიუციისაგან.)

მაშ ვინ გაპბედავს და იტყვის, რომ მთავრობას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, შეუძლია გამოხატვა ხალხის უმცირესობის ან უმრავლესობის სურვილისა, ნებისა და მისწრაფებისა? კიდევ ვიტყვით,— რასაც კანონი ჰქატავს, ეს-ძალით თავზედ მოხვეული გადაწყვეტილებაა რამდენიმე პირთა საზოგადოებისათვის, რომელიც მონობაში ვარდება მაშინვე, როგორც თავის ბედ-ილბალს მიანდობს თუ გინდ საუკეთესო ამორჩეულთაც, თუ გინდ სოციალისტურ საზოგადოებაშიაც.

ამგვარად ვერც უმრავლესობა-უმცირესობის პრინციპი უძლებს კრიტიკას. მაზედ დამყარებული კანონი არაფრით არ განირჩევა უბრალო, ძველ და თანამედროვე დესპოტიურ კანონისაგან.

ვერც სოციალისტური სახელმწიფო შორდება მონობასა და დესპოტიზმს, თუ ერთი დაწესებულება მაინც დასტოვა თანამედროვე სახელმწიფო ორგანიზაციისა, რომლის სულიც იქმნება კანონი, და მაშასადამე ძალ-დატანება.

დაანებეთ თავი თუ გინდ კოლლექტივისტურ სახელმწიფო სოციალიზმისაც, სადაც საქირაო შრომა და თითქმის კერძო საკუთრებაც რჩება, მხოლოდ შეცვლილი ფორმით, და ამიტომ იწვევს აუცილებელ სახელმწიფო ორგანიზაციას საზოგადოებაში,— აიღეთ რომელიც გინდათ საზოგადოება, განთავისუფლებუ-

ლი ყოველივე ეკონომიური მონობისაგან; მაგრამ მხოლოდ ერთი, უმცირესი დაწესებულება დასტოვეთ თანამედროვე სახელმწიფოსა, დასტოვეთ მცირე შთანაჩენი სახელმწიფო ორგანიზაციის პრინციპისა, დაუტოვეთ სრულიად უმცირესი ასპარეზიც მმართველობასა და კანონმდებლობას,— და მცირე ანალიზიც კი მიგიყვანსთ იმ დასკვნამდის, რომ კანონი აუცილებლად დესპოტიზმის სულადუნდა გადიქცეს; მუდამ თავს დასტრიალებდეს ბოროტი სულივით ტანჯულ აღამიანს; თქვენ წინ გადიშლება ძლიერ მალე ისევ თანამედროვე მონობის სურათი და იტყვით: სანამ იმისთანა ანტისოციალური მოვლენა, როგორც კანონმდებლობა და მმართველობაა, არ მოისპობა, მანამ დანაშაული და მონობა კაცობრიობის ხვედრი იქნება!..

„ ვინ უნდა გვმართოს? ისევ კაცებმა, მათ უნდა დაგვიწერონ წესნი ჩვენი მოქმედებისა, მათ უნდა გაგვსაჯონ,— მათ, რომელთაც მხოლოდ არჩევით აქვთ ეს უფლება,— ამ აბსურდულ და ტლანქი საშუალებით, — მაშინ როდესაც შეიძლება მათგან განსჯილი და განწესრიგებული მოქმედება აღამიანისა ბევრად მაღლა იდგეს და უფრო ზნეობრივი იყოს, ვიდრე მათი საკუთარი, ბ. ბ. კანონმდებელთა და მსაჯულთა ზნეობა და მოქმედება! ამითი აიხსნება, ვიმეორებთ, ის საშინელი, სასტიკი ბრძოლა, რომელიც არსებობს ხალხთა და მთავრობათა შორის,

როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოება, თუ ამ უკანასკნელს მთავრობა და კანონი მართავს.

მარტო ამ კანონმდებლობისათვის და განსჯისათვის სდგანან ისინი ყოველ დამნაშავეზედ უფრო დაბლა, სხვაფრივაც რომ წმინდანები იყვნენ!

მართალი იყო ბრძენი სოკრატი, როდესაც ეუბნებოდა, აღარ მახვსოვს რომელ ათინელ კეთილშობილს, რომელსაც ქვეყნის მართვა მოესურვებია: შენ რომ შენი ცოლი ვერ შეგიყავებია და შენი მამულისათვის ვერ მოგივლია, ერთი მითხარი, როგორ უნდა უპატრონოს და მოუარო მთელ ქვეყანასაო?

ეხლა კი ბევრსა რცხვენია ბრძნის ამ სიტყვებისა, როგორც შერცხვა ათინელ კეთილშობილს, ოდესისმინა იგინი სოკრატისაგან? არა გვგონია! \*) მაგრამ მკითხავენ,— მაშ რაა საზოგადოებრივობა თუ არა კანონი? — სულ სხვა რამ. საზოგადოებრივობა კანონი არ არის, იგი მისი წინააღმდეგია, არა თუ იგივე ცნება, რაიცა კანონი.

\*) განსაკუთრებით ჩვენში, — ყოველი ეულიკი, რომელსაც ათ შაურს ვერ ანდობს ირ ნაბიჯზედ, ყოველი უნიჭით და უვიცი და ყოველი ენა ბრგვილი მიისწრაფის დეპუტატობისაკენ, ხალხის სამართლად, რაღაც ელირსათ და „დუბი“ იქმნა მოწვეული! — ჭო სიცხვეცილო, სადღა ამის შენი სიწიოლე!.. ქართველ ხალხსაც. რომ ბედი ჭქონია აშისთანა მირაბოების მოძღვნაში, როგორც ჩვენი. „წარმომადგენლებია!“

IV

კანონისა და საზოგადოებრივობის შედარება ყოვლად შეუძლებელია, რადგან იცინი არიან ორი ცნება, რომელთაც არავითარი საერთო საზომი არა აქვთ. საზოგადოებრივობა ხანგრძლივი საზოგადოებრივ ცხოვრების მიერ შემუშავებული წესია მრავალ ინდივიდთა ბუნებრივ დამოკიდებულებათა, ორგანიულ არსთა შორის,— მათ ჩვეულებათა, მათ ენერგიათა შეერთების მრავალ ფეროვანი გამოხატულება,— კანონი კი ერთი გამატონებული კლასის დესპოტიზმის გამომხატველია. საზოგადოებრივობა წარმოუდგენელი მანძილით არის დაშორებული კანონს. პირველის დასაბამის დრო გამოურკვეველია, კანონი კი ისტორიულად ახალი მოვლენაა საზოგადოებრივობასთან შედარებით, ძირი კი მათი წარმოშობისა სრულიად სხვა და სხვაა. პირველის წარმოშობა სრულიად გადის ისტორიის და ადამიანის ცხოვრების ღროდამ, მეორე პირველთან შედარებით სრულიად ახალი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებისა, ისიც არანორმალური ცხოვრებისა.

კანონი მხოლოდ ერთი მომენტია „საზოგადოებრივობისა“, მაგრამ უუსაზისლრესი მომენტი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს რა ნამდვილ საზოგადოებრივობასთან და მისი სრული წინააღმდეგია. ამიტომაც არ შეიძლება აგრეთვე მათი დაპირდაპირება როგორც ნაწილისა და ერთი მთლისა. მათი

დაპირდაპირება ისეთივე აბსურდია, როგორც **სახე-**  
**ლმწიფო** ისა და **საზოგადოებისა**, თუმცა ძლიერ  
ბევრი სცდილობს ეს ორი უკანასკნელი ცნება  
პირდაპირ იდენტიური გახადოს.

პრინციპი კი **საზოგადოებრივობისა** და **კანონისა**  
**სრული** წინააღმდეგნი არიან ერთმანეთის და ერთ-  
მანეთსა პრიცხავენ. თვით **საზოგადოება** არ არის  
მექანიკურად შეერთებული სუმმა პიროვნებათა, რო-  
მელთაც კანონის მუხრუჭი აქვსთ მოჰყერილი და მხო-  
ლოდ მექანიკურად არიან ერთმანეთზედ მიწეპებუ-  
ლნი, იმგვარად, რომ თუ ეს მუხრუჭი მოუშვით,  
მაშინვე დაიშლება ყოველგვარი განწყობილება ამ  
პიროვნებათა შორის, დაიწყება ურთი-ერთის გლეჯა,  
თავპირის მტვრევა და სისხლის სმა. ინგლისელ ფი-  
ლოსოფოსს პობსს ადამიანის ბუნება ძირითადად  
ეგონა რაღაც საძაგელი და ანტისოციალური რამ,  
ადამიანის **საზოგადოება** კი, მისი აზრით შესაძლე-  
ბელი იყო მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელი მასსა  
ხალხისა ერთ დიდ ჯოგს, და ისიც მხეცთა ჯოგს,  
—წარმოადგენდა, მას ზემოდ კი უსათურდ უნდა  
ყოფილიყო ტლანჭი ფიზიკური ძალა, რომელსაც  
უნდა ემართა და განეწესრიგებია მთელი ცხოვრება  
ამ **საშინელ** მხეცთა **საზოგადოებისა**. ეს იყო პობსის  
რწმენა,— დამყარებული უფრო მისი დროის, მე-XVII  
საუკუნის უმეცრებაზედ, ვიდრე მის პირად გამო-  
კვლევაზედ, — და ამითი აიხსნება მისი განუსაზღვრე-  
ლი თაყვანისცემა დესპოტიზმისადმი და მთავრობათა

სისასტიკისადმი, რამაც დიდ მეცნიერ ჰექსლეისაც კი ხელი შეუშალა სიწმოდითა და ფართოდ გაეგო მთელი ღრმა ფილოსოფია დარვინის „არსებობისათვის ბრძოლისა“.

ქლიერ ღრმა, უუძველესი დაყოველთაო მოვლენად საზოგადოებრივობა. თანაც კვლევა-ძებას მისი წარმოშობისას და მისი განვითარებისას შედარებით ახლა შეუდგენ მეცნიერები. სოციოლოგია ჯერ არ არის დამყარებული „საერთო კანონებზედ“, მასდაც ჰყავს თავისი ერუდიტები, მასა ჰყავს, თუ გნებავსთ, გალილეები, კოპერნიკები და შეიძლება კეპლერებიც, ნიუტონი კი ჯერ არ გამოსჩენია,— და ეს არის მიზეზი, რომ დღეს სოციალურ მოვლენებზედ ასე გაბედულად ლაპარაკობს მრავლის უმრავლესი უმეცარი და დილეტანტი. მაგრამ რაც ცნობილია თანამედროვე მეცნიერების მიერ, ისიც სრულიად საკმარისია, რომ უმეცარი ადამიანის გულიდანაც ძლიმითხვრას კანონის კერძის სიყვარული, თუ წარსულისა და აწმუოს ფაქტების ყურადღების მიქცევის სურვილი ექმნება და არ იტყვის ტვინ-გაკაუებული ლოგმატიკოსივით: „*credo quia absurdum*“.

პირველი, უძლიერესი და უუთვალსაჩინოესი დამატებიცებელი საბუთი საზოგადოებრივობისა და კანონის სხვა და სხვაობისა, აგრეთვე უკანონდ ცხოვრიების სრული შესაძლებლობისა, არის ის ფაკტი, რომ ადამიანთა საზოგადოებამ და მასზედ წინადადებრავალ ცხოველთა სიზოგადოებამ კანონი არ იცის.

და, კანონზედ წარმოდგენაც არ ჰქონდა, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება კაცთა  
საზოგადოებაში ისე მარტივიც არ იყო, როგორც  
ეს ბევრ იაფ-ფასიან სოციოლოგებსა ჰგონია. 9. ც  
— საზოგადოება ისეთი უნივერსალური მოვლენაა,  
რომ ლანგესანის სიტყვით, მაგალითად, თვით არა  
ტრანსიული არსნიც არდგენენ მრავალ-გვარ ასამ-  
ციაციებს არსებობისათვის ბრძოლაში. წიტალო კლ-  
დეებიდან დაწყებული თვით გონიერ ადამიანამდე  
ამ ურთი-ერთ ძალთა შეერთების წყალობით არ-  
სებობენ მრავალ-გვარი და მრავალ-ფეროვანი ინდი-  
ვილნი ქვეყანაზედ, ამ ორიგინალური მოაზრის წარ-  
მოდგენით. აგრეთვე თუ გავსინჯავთ სხვა მეცნიერთა  
შეხედულებას, თითქმის ყველანი მივიდენ იმ დას-  
კვნამდის, რომ დაწყებული თვით ზეცის უზარ-მაზარ  
სხეულთა კრებულიდამ პატარა ცხოველის შემადგვ-  
ნელ ცოცხალ უჯრედებამდე და ნივთიერების კიდევ  
უფრო მარტივ ნაწილებამდე; — ყოველივე ასსოცია-  
ციაა ურთი-ერთთან განწყობილებათა მქონე ნაწი-  
ლთა, რომელთაგანც თვითეული დამოუკიდებელია  
მეორისაგან, არ ექვემდებარება მას, როგორც უმც-  
რასი უფროსს. ამგვარად ის ცრუ-რწმენაც, ვითომც  
შზე იყოს მთავარი და გამგე სხვა პლანეტათა — ეს  
რწმუნებაც განკრა და თანამედროვე მეცნიერებაში  
საჭირო აღარ არის ქებათა-ქება ვუგალობოთ უზენაესს  
გეომეტრს, რომელმაც შექმნა იდეალური წესიერება  
და ერთ დიდ ბრწყინვალე სხეულს, მზეს, სხვა უფრო

პატარა სხეულნი დაუმორჩილა. — განვიხილავთ რა სხვა მრავალგვარ სხეულთა, სხვა მრავალგვარ ინდი-  
ვილთა, განსაკუთრებით სიცოცხლის მოვლენას, —  
თვალ-წინ წარმოგვიდგება ერთი დიადი მოვლენა  
ინდივილთა ენერგიების აუცილებელი და თავისუფა-  
ლი შეერთებისა; ეს მოვლენა უნივერსალურია, მას  
არ აქვს აგრეთვე არავითარი წინად განსაზღვრული  
მიზანი; ტელეოლოგიური ელემენტი არ შედის და  
არც შეიძლება შევიდეს ამ უნივერსალური მოვლე-  
ნის ალხესნაში. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გავარკვი-  
თ. წესი, პრინციპი ამ მრავალ-ფეროვან მოვლე-  
ნათა ურთი-ერთთან მსგავსებისა, რომელიც არის  
შემდეგი: ყოველივე მოძრაობა ხდება ნაკლების და-  
ბრკოლებისაკენ, უმეტესი ძალის მიერ; ანუ — მინი-  
მუმი ენერგიის ხარჯვისა და მაქსიმუმი მუშაობისა;  
ანუ ცხოველთა და განსაკუთრებით კაცთა საზოგა-  
დოებათა შესახებ ეს პრინციპი გამოიხატება შემდეგ  
ნაირად: მინიმუმი ინდივიდუალური ენერგიის ხარ-  
ჯვისა და მაქსიმუმი მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-  
ლებისა; ანუ ძალთა ეკონომია, — აი რა უდევს საფუ-  
ძლად ყოველ-ნაირ ასსოციაციას. ადამიანის ძალთა  
ეკონომია კერძოდ, — აი რა არის თვით ეს სენცია  
კაცთა საზოგადოებისა, — აუცილებლობა, რომე-  
ლიც არა შლის საზოგადოებასა და მის მუდმივ მოძ-  
რაობაში მუდმივ ტენდენციას შეადგენს. \*)

\* ) დღევანდელი შეცნიერება იმგვარად არის გაუდენთილი საუ-  
კუნეთა-მიერ შემუშავებული ანტროპომორფიული ფერმინებით, ჩვენ

თვით სახეთა შენახვის აუცილებლობამ წარმოშობა ასსოციაციები ანდივიდთა შორის, თვით ცხოველთა შენახვის აუცილებლობამ წარმოშობა ცხოველთა საზოგადოებანი, — თვით ადამიანის სახის შენახვის აუცილებლობამ წარმოშობა აგრეთვე ადამიანთა საზოგადოება. მისი საფუძველია აგრეთვე ინდივიალუალურ ძალთა კოორდინაცია, მისი ფუნქცია — დაკმაყოფილება ინდივიდთა მოთხოვნილებათა, ხანგძლივი მუშაობით და ვარჯიშობით შესწავლა იმ საშუალებათა, რომელთა შემწეობითაც ადამიანისა და ბუნებისაგან უნდა გამოვიდეს უმეტესი ძალები ადამიანის უმცირესი ძალის დახარჯვით, როგორც ამბობს ლურ ფავრი. საერთო დახმარება და არა საერთო ბრძოლა იყო ძირი საზოგადოების წარმოშობისა ცხოველთა და კაცთა შორის, ამბობს

ისეთნაირად ვართ მიჩვეული ამ ენაზედ ლაპარაკს, რომ ყოვლად შეუძლებელია, რაც ოუ გინდ წმინდა შეცნიერულ ენაზედ ვიღაპარაკოთ, ეს შეფაფიზიკური, ანტროპომორფიული, ფელეოლოგიური ფერმინები არ ვიხმაროთ: ფენდენცია, შეგუება, ეკონომიკა და სხვ., თოთქოს ბუნებას, როგორც აღმიანს (ისიც ჩვენი წარმოდგენით), ჰქონდეს რომელიმე წინაღ-განსაზღვრული მიზარ ან ფენდენცია — ან შეგუებისა, ან ეკონომიკისა. დარკინიზმის კიდევ დიდი ასპარეზი დაუტოვა შეფატიზიკას ბიოლოგიაში. თვით თეორია შეგუებისა და მრავალი სხვა თეორიები შეცნიერულ ბიოლოგიისა შეფაფიზიკური-ხასიათისაა. — მხოლოდ ენერგეთიკის წინსვლას შეუძლია ამ ცნებათა განლენა ბიოლოგიიდან, როგორც შან განსწმინდა თოთქმის უკვე ფიზიოლოგია (იხ. დასტრი: „სიცოცხლე და სიკვდილი“).

კროპოტკინი, და მართლაც ზოოლოგია მრავალის ფაკტებით სრულიად ნათელ ჰყოფს ამ აზრს, რომელიც სხვა სიტყვებით განმეორებაა ზემოხსენებულისა.

ერთი სიტყვით, უამთა სრბოლაში, ათასნაირ ძალთა მოქმედებას შეუქმნია საზოგადოება მრავალ არსთა შორის; ათასნაირ ძალთა მოქმედებას შეუქმნია ცხოველთა და ადამიანთა საზოგადოებანი; მათ ამ საზოგადოებაში შეუმუშავებიათ საზოგადოებრივობა, რომელიც სწორედ გამოიხატება ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიკაში, მათ შეუმუშავებიათ ათასნაირი სოციალური ჩვეულებანი, ისინი შეკავშირებულ არიან ათასნაირ ძალებთან, ათასნაირ პირობებთან; ადამიანი იმყოფება კოსმოსის, შემოფარგლული წრის, ურთიერთის გავლენის ქვეშ, იგი გადაბმულია უუბნელეს წარსულთან მილიონი ჯაჭვებით, აწყოში მას ათასნაირი ძალები სწევენ და ამოძრავებენ, მომავალში მისი მოძრაობა განსაზღვრულ ძალებზედ არის დამოკიდებული. ის და მისი საზოგადოებაც ინტეგრალური ნაწილია მთელი მსოფლიოსი, იგი ფუნქციაა ათასნაირ ცვალებად ოდნობათა, ისე როგორც მისი და მისი საზოგადოების ფუნქციაა ყოველივე ის, რაც მათი მოქმედების გავლენის ქვეშ სახეს იცვლის; იგი აქტიური და პასიური არსია ერთსა და იგივე დროს; ის და მისი საზოგადოება შედეგია ათასნაირ მოვლენათა კომბინაციისა, აგრეთვე მიზეზი ათასნაირ სხვა მოვლენისათვის.

ნათა; ის და მისი საზოგადოება ერთ გამოხატულებათაგანი არიან თვით საუკუნო ცხოვრებისა, — და რა აქვს საერთო კანონს აღამიანის საზოგადოების არსებასთან, — ერთს უუსაზიზლრესსა და უუმოკლესს მომენტს მისს ცხოვრებაში, — კანონს რომელიც შედარებით სულ ცოტა ხანია რაც შხამავს ცხოვრებას, რომელიც კაცის ძალ მომრეობის ნაყოფი იყო და არა ძალთა ეკონომიის პრინციპის შედეგი, — რა აქვს კანონს საერთო საზოგადოებრივობასთან, რომელიც თვით კაცზედ უფრო ძველი მოვლენაა და უნივერსალური?!

ავილოთ, მაგალითად, აღამიანის მოქმედების უპირველესი და უფსაჭიროესი გამოჩენა, — შრომა, წარმოება.

შეკავშირებულ არიან ისტორიულად და ლოლიკურად შრომა, წარმოება და კანონი? — სრულიადაც არა, მათ შორის არავითარი საერთო არა არის-რა.

ჩვენ არც კი ვიცით შრომის წარმოშობის დრო, როგორც არ ვიცით საზოგადოების წარმოშობის დრო. ვიცით მხოლოდ, რომ უკანასკნელი უფრო ძველია პირველზედ, რადგანაც აღამიანმა, უნდა ვიგულისხმოთ აუცილებლად, თავის წინაპარ სოციალურ ცხოვლიდან მიღო ნიჭი საზოგადოებრივობისა; — საწარმოო იარაღთა მოგონება, შრომა, წარმოება, კულტურა კი აღამიანის, ამ ცხოვლის განსაზღვრული სახის შემონაქმედია. მიუხედავად ამისა არ

ვიცით დრო შრომის წარმოშობისა, არ ვიცით არც ერთი კაცის მსგავსი ცხოველი, რომელსაც ჰქონდეს წარმოების ნიჭი, და სამაგიეროთ არ ვიცით არც ერთი ეპოქა, როდესაც ადამიანს არა ჰქონდეს ეს ნიჭი.

წარმოება, შრომა, ბუნების ძალთა სასარგებლოდ გამოყენება, ინდივიდუალურ ენერგიათა შეერთება დათი საწარმოო ხარჯვა,— ყოველივე ეს მრავალ ათას წელთა განმავლობაში ინახავდა ადამიანის სახეს განადგურებისაგან, ნაყოფი იყო მისი საზოგადოებრივობისა, შემონაქმედი მისი სოციალური სულისა, — თვით ბუნების ძალთა ფარგალში ტრიალისა, მოქმედებისა და ამ ძალთა გავლენის მიერ შემუშავებული წესი ადამიანის არსებობისათვის ბრძოლისა.— წარმოება და შრომა საზოგადოებაში სწორედ ინდივიდის ძალთა ეკონომიის პრინციპს იცავდა და მისი უზენაესი გამოხატულება იყო, და ამიტომაც არ არის საკვირველი, რომ პირველ-ყოფილ ბუნებრივ საზოგადოებას კომუნისტური ფორმა ჰქონდა და აქვს ეხლაც მრავალ ველურთა და ბარბაროსთა შორის; კომუნიზმი კი საუკეთესო შესაფერი წრეა ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიის პრინციპის განსახორციებლად, რადგანაც პრინციპი: თვითეულისაგან მის ძალ-ღონეთა მიხედვით — თვითეულს მის მოთხოვნილებათა მიხედვით, — ფორმულა კომუნიზმისა, — სრულიად ეთანხმება პრინციპს: მინიმუნი ძალთა ხარჯვისა, მაქსიმუმი მოთხოვნილებათა და-

კმაყოფილებისა, — ე. ი. ინდივიდუალურ ძალთა  
ეკონომიის ფორმულას.

კანონი კი, როგორც არა ვსოდეთ, სახელმწი-  
ფოსთან ერთად განვითარებული მოვლენაა, შედა-  
რებით გუშინდელი. სახელმწიფო, მისი ფუნქცია  
კანონი და ამ უკანასკნელის აღმასრულებელი სამს-  
ჯავრო ლოდიკურად და ისტორიულად ერთარსება-  
ნი და განუყოფელნი არიან, სრულიად ახალი მოვ-  
ლენანი ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.  
იგინი წარმოსდგნენ, როდესაც კომმუნიზმი დაირ-  
ღვა ათასგვარ მიზეზთა გამო, როდესაც ინდივიდუა-  
ლურ ძალთა კორორდინაცია კი აღარ დაახასიათებდა  
საზოგადოებას, ეს უკანასკნელი კი აღარ ასრულებ-  
და თავის ნორმალურ ფუნქციას — ინდივიდუალურ  
ძალთა ეკონომიის პრინციპის დაცვას, — არამედ  
როდესაც ერთი კლასი მეორეზედ გაბატონდა,  
როდესაც ერთი ჯგუფი ხარჯავდა ენერგიას და თა-  
ვის დღეში ვერ ივსებდა გარეშე წრიდან დახარჯულ  
ენერგიას, მეორე კი მთელი სოციალური ენერგიის  
მუშაობის ნაყოფს ისვავდა, პფლანგავდა, თვით კი  
არა ხარჯავდა საჭირო ენერგიას ყველა პიროვნება-  
თა სასარგებლოდ. — როდესაც, ერთი სიტყვით,  
საზოგადოებას შემოესია მისი განმანადგურებელი  
ანტისოციალური ელემენტები, სახელმწიფომ მოუყა-  
რა თავი ადამიანის წარსულის მთელ ტალასს და  
ამ ტალასის სიბინძურე, სიმყრალე, — დესპოტიზმი  
და მონობა, — გამოპხატა კანონით, რომელიც ცეც-

ხლითა და მახვილით გაჰყავდა ცხოვრებაში ათას-ნაირ ძალ-მომრეობით, დაწესებულებათა შემწეო-ბით, და უსირცხვილოთ აღიარა, რომ მხოლოდ ეს კანონია საზოგადოებრივობა და უამისოდ საზოგა-დოება დაიშლება, ინდივიდები ერთმანეთს დახჭა-მენო! და ეს კიდევ არაფერი, — მეცნიერებიც და ასე გასინჯეთ სოციალისტებიც კი ლაპარაკობენ ასეთს აბსურდსა და ივრცელებენ მყრალ აზრს სა-ხელმწიფოებრივი ცრუმორწმუნოებისას!

რა აქვთ საერთო მაშასადამე მთელი კაცობრიობის ორგანიული განვითარების ნაყოფს, — საზოგადო შრომას, წარმოებას, რაციონალურ საწარმოო ორგა-ნიზაციას -- და კანონს, რომელიც პირდაპირ უარ-ყოფაა საზოგადოებრივობის პრინციპისა, მაშასადამე კომუნიზმისა და წარმოების თავისუფალი და კომუ-ნისტური მოწყობისა, და პირდაპირი ნაყოფია სწო-რედ იმ ძალთა მოქმედებისა აღამიანთა მთელ ცხოვ-რებაში, რომელნიც ხელს უშლიდენ საზოგადოებას, რაც შეიძლება მეტი სიწმინდით აღესრულებინა თა-ვისი ნორმალური ფუნქცია, — იმგვარი ნაყოფი აგრეთვე, რომელიც დროში ძლიერ შეზღუდულია. და ერთ წუთიერ მომენტს წარმოადგენს აღამიანთა განუზომელი წარსულისა და მომავლის ცხოვრება-ში? --- კანონის მოსპობა არა თუ ხელს შეუწყობს წარმოებითი საზოგადოების დაშლას, არამედ პირ-ჭაპირ გზას გასწმენდავს იდეალური საზოგადოების მოწყობისთვის; მისი მოსპობა წარლუნით ეს არ მოე-

ვლინება კაცთა საზოგადოებას, არამედ კაცობრიობისათვის დიდი სადღესასწაულო იქნება ის დღე, როდესაც დაიწვის ყველა კრებულნი ყველა კანონთა, ათასგვარ იდიოტთა და ჭკვიან მხეცთა მიერ დაწერილი და უცვლელად და შეცვლელად გადმოცემული უბედურ შთამომავლობისათვის!

2

ავილოთ სხვა განწყობილებანი ადამიანთა შორის, წარმოებით განწყობილებათა გარდა სხვა ინდივიდუალური განწყობილებანი, განსაკუთრებით იმგვარი ინდივიდუალური განწყობილებანი, რომელთა ფარგალშიაც ძლიერ ხშირად კონფლიქტი ხდება ადამიანთა შორის, და განვიხილოთ, რა დამოკიდებულება აქვს კანონს ამ კონფლიქტთა გადაწყვეტაში, როგორია აქ მისი ხასიათი და ეწინააღმდეგება იგი თუ არა საზოგადოებრივობას!?

პირველ-ყოფილ საზოგადოებაში, როდესაც ერთი წევრი საზოგადოებისა მეორე წევრს რამეს დაუშვებდა, „საზოგადოებას“ აზრათაც არ მოუვიდოდა დასჯა ვნების მომტანისა, დასჯა დასჯისათვის, როგორც ეს ახასიათებს ეხლა თანამედროვე კანონს, მის აღმასრულებელ სამსჯავროს. პირველ-ყოფილ თემებში არსებობდა ჩვეულება შურის ძიებისა, აგრეთვე ჩვეულება თემობრივი შურის ძიებისა. თუ ერთი თემის წევრი მოჰკლავდა მეორე თემის წევრს, მოჰკლულის ნათესავი, ან მახლობელი სამაგიეროს გადაუხდიდა მკვლელს, ან მის ნათესავს. აქ იყო მაშასადამე პირადი ანგარიში ურთიერთისა, და არა მთელი სა-

ზოგადოების მიერ მოწყობილი სასჯელი მანქანა, სამსჯავრო პოლიციითა და ციხეებით: აგრეთვე თუ თემში ვინმე ჩაიდენდა მთელი თემის საწინაღმდეგო საქციელს, ღმას ან გააძევებდენ - თემიდამ, ან და ჩაჰელავდნენ. რასაკვირველია, შურის ძებაცა და ჩაქოლვაც ბარბაროსობა და ველურობაა, ნაგრამ ამ ველურ ჩვეულობასაც აქვს თავისი საფუძველი და გარდა ამისა ის გაცილებით უფრო ნაკლები ანტისოციალური მოვლენაა, დიდრე შემდეგნარმოშობილი ქრისტიანული ეკლესიისა და რომის უფლების კანონები, რომლებითაც სახელმწიფომ სტანჯა და ახლაც სტანჯავს კაცობრიობას. შურის ძება პირადი, რომლისაგანაც შეიძლება კაცობრიობა თავის დღეში ვერ განთავისუფლდეს სხვა და სხვა ფორმით, შეუცდომელი მაინც იყო უმეტეს შემთხვევაში: შურის მაძიებელმა კარგად იცოდა, რასთვისაცა შკლავდა მოწინააღმდეგეს, რისთვის ალეწდა რას ცნოირ-პირს; შას არ ეინტერესებოდა მოწინააღმდეგის დასჯა, გათახსირება, მთელი საზოგადოებრივი ტალახის გადასხმა მის თავზედ და დამცირება, ზნეობრივი მისი ტანჯვა, — მას ეინტერესებოდა მხოლოდ იმ ექვილიბრიუმის აღდგენა, რომელიც დაარღვია ვნების მომტანმა მათ შორის: შენ მე დამაკლე — მე შენ დაგაკლებ, — კბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ, — თანასწორნი ვიყავით და შენ მეტობა მოინდომე ჩემზედ, ჩემი თავისუფლების, ჩემი სიცოცხლის მოსპობა, ჩემი ძალის დაკ-

ლება, — მეც სამაგიეროს გადაგიხდი, რომ ისევ სწორად გამოვიდეთ შემდეგში. ასეთი იყო პსიხოლოგია შურის მაძიებელისა. აგრეთვე თემის მიერ შურის ძიება ჯერ ერთი თემის შიგნით დიდი სოლიდარობის მაჩვენებელია თემის წევრთა შორის, პსიხოლოგია კი მისი შურის ძიებისა იგივეა, როგორიც პირადი შურის ძიება. შენ ჩემ თემს დააკელი — მე. შენსას დავაკლებ, რომ ისევ შემდეგში თანა-სწორნი ვიყვეთ. — შურის ძიება კი მთელი თემისა ერთი თავისი წევრის წინააღმდეგ პირდაპირი სურვილი. იყო თავიდან. მოყიდვებინათ არასასურველი ელემენტი; თემის სურვილი მართლაც საერთო სურვილი იყო, და მიუხედავად მისი ბარბაროსობისა, საზიზლარი სისასტიკისა, მაინც ორგანიულად გამოდიოდა „მთელი ხალხის“ სურვილიდან, თუმცა ბარბაროსობით კანონმა გაცილებით გადააჭარბა ყოველ ამგვარ ველურობას თემთა შორის. მაგრავ რაც უფრო საგულისხმიეროა ამ შემთხვევაში, — ეს ის არის, რომ შურის ძიება შემთხვევითი მოვლენა იყო, კერძო მოვლენა, ყოველ შემთხვევაში მოქმედობდნენ საქმის ვითარების დაგვარად. შურის ძიება დაწესებულება არ იყო მუდმივ მომქმედი, — კანონით დასჯა კი მთელი ინკვიზიციური გამათახსირებული დაწესებულებაა, წინდაწინვე განსაზღვრული, ამისათვის განვეტ არჩეული კაცების მიერ, რომელთაც არც პირადი საქმე აქვსთ დასჯილთან, არც საზოგადო ინტერესებს იყავენ; — ისინი არიან სპეციალისტი

მწამებელნი და დამსჯელნი განურჩევლად საქ-  
მას ცოდნისა და არ ცოდნისა, — არც კი უნახავსთ  
ხან თვალით ადამიანი, — და ამიტომ არის ეს დაწე-  
სებულება ზნეობრივად გამათახსირებელი მოვლენა,  
ამიტომ არიან ჯაშუშები, მსაჯული, უანდარმი, სა-  
პყრობილეს მცველი და სხვანი ყოველთვის ყოვ-  
ლად ზნეობრივად გათახსირებული ადამიანები, მა-  
შინ როდესაც შურის მაძიებელი ყოვლად პატიონა-  
ნი და ზნეობრივი ქმნილებაც შეიძლება რომ იყოს,  
და სხვ. ვე ს —

შემდეგ, როდესაც თემობრივი ორგანიზაცია და-  
ინგრა და მისი ადგილი დაიკირა სოფლის თემმა,  
სოფლის კომმუნამ, ინდივიდუალური კონფლიქტე-  
ბის გადაწყვეტის წესი გაუმჯობესებულ იქმნა. შუ-  
რის ძიების ადგილი სამედიატორო სამართალმა,  
ნაზარალევის ნაზღაურობამ დაიკირა, თემის მიერ ერ-  
თი რომელიმე წევრის ჩაქოლვის ადგილი, — მისი  
თემიდამ გაგდებამ, — და ეს დაწესებულება, ეს  
ჩვეულება გაცილებით უფრო ჰუმანური იყო ძველ  
ბარბაროსულ შურის ძიებაზედაც და მეტადრე შემ-  
დეგ. წარმოშობილ კანონზე, და სამსჯავროზედაც  
უფრო საზოგადოებრივობის თანახმა მოვლენა.

მას თავისი აზრი, ღრმა აზრი ჰქონდა :

“თუ ერთი წევრი საზოგადოებისა მეორეს აზარ-  
ლებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მან დააკლო ერთ  
ინდივიდს საზოგადოებაში ძალ-მომრეობით მისი  
საკუთარი საშუალება ცხოვრებისა, — საშუალება

რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. თუ ერთმა მეორე მოჰკლა, — ეს ნიშნავდა ინდივიდთა ერთი გრუპიდან საწარმოო ენერგიის გამოკლებას მეორის მიერ, და ისე, როგორც შურის ძიების დროს, ექვილიბრიუმის აღდგინებას სცდილობდა მაშინდელი საზოგადოებრივობა ზარალის ნაზღაურობით, ან მოკლული ადამიანის შეფასებით დაზარალებულის სასარგებლოდ, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო განწყობილება ინდივიდთა ჯგუფებისა, როგორი იყო საზოგადოებრივ ძალთა გინწყობილება. სამედიცინო სამართალი კი დღევანდელ კანონთან შედარებით მართლაც და რაციონალური რამ იყო, რადგანაც ყოველ კერძო შემთხვევის დროს, ყოველი ცალკე კონფლიქტის გადასაწყვეტად იკრიბებოდა სამსჯავრო საქმის მცოდნეთა და ნაცნობთაგან, და მათი მიზანი ადამიანის დასჯა კი არ იყო, არამედ უმეტეს შემთხვევაში მოჩინება მოდავეთა, ზარალის აღდგენა საზღაურით, აღდგენა ერთი წუთით დარღვეულ თანასწორობისა. ამიტომაც იყო, რომ მხოლოდ თავისუფალ სოფლის კომმუნაში, და შემდეგ თავისუფალ ქალაქებში იყო შესაძლებელი ამგვარი სამედიატორო დაწესებულებანი, — ყოველი კერძო შემთხვევისათვის, ყოველ უბანში და ხან ყოველ ქუჩაშიაც, — საქმის გარჩევა ამხანაგური და მოსარიგებლად მიმართული, — რადგანაც ნამდვილი წარმოდგენა სამართალზედ იქ შეიძლება, საღაც თანასწორობა და

ამხანაგლბაა, — იქ კი, სადაც ერთი ჯგუფი აღა-  
მიანთა მეორეს იმონებს, დიდი გიგანტი მრაზრეც  
ვერ გამოირკვევს და გაითვალისწინებს სამართალს,  
როგორც მაგალითად არისტოტელმა ვერ გაითვა-  
ლისწინა იგი და მონობას ამართლებდა სამართლის  
სახელით, — როგორც თანამედროვე ფილოსოფო-  
სები და მორალისტები იმტვრევენ თავს და ვერ გაუ-  
კვლევიათ, რა არის სამართალი. —

ეს უკანასკნელი სულ უბრალო ჩამ არის, თუ  
შისს საფუძვლად დავსახავთ თანასწორობას, ე. ი.  
თუ ინდივიდები თანასწორ პირობებში ვითარდები-  
ან საზოგადოებაში, რომელიც სკრილობს საერთო  
ძალით დაკმაყოფილოს მოთხოვნილებანი ყოველი-  
ვე ინდივიდისა. თუ საზოგადოების პრინციპი ინდი-  
ვიდუალურ ძალთა ეკონომიკა, ე. ი. — მინიმუმი  
ინდივიდუალურ ძალთა ხარჯვისა და მაქსიმუმი მის  
მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, რომელიც გან-  
ხორციელდება მხოლოდ ამ ინდივიდუალურ ძალთა  
კოორდინაციით, — როდესაც მაქსიმუმი ინდი-  
ვიდუალურ ძალთა მხოლოდ გარეგან ბუნებასთან  
ბძოლაზედ იხარჯება, და არ იფლანგება თვით  
საზოგადოების შიგნით ბრძოლაზედ, ინდივიდთა  
შორის ურთიერთის წინააღმდეგ ბრძოლაში, —  
რაშინ სამართალი წარმოგვიდგება როგორც სურვი-  
ლი, ცდა, და თვისება ყოველი ინდივიდისა — არ  
გაფლანგოს არავითარ შემთხვევაში არც თავისი  
ენერგია, არც საზოგადოების სხვა წევრა ენერ-

გია, არ დაარღვიოს ზემოხსენებული პრინციპი საზოგადოებრივობისა, არამედ განავითაროს იგი და გააუმჯობესოს ის წრე, სადაც მოქმედებენ შეერთებული ინდივიდუალური ენერგიანი, — მაშინ სამართალი წარმოგვიდგება აგრეთვე როგორც ფუნქცია. საზოგადოებრივობისა, რომელიც იცვლება იმის და მიხედვით, თუ როგორ იცვლება თვით საზოგადოებრივობა სხვა და სხვა ძალთა გავლენით.

ინდივიდი მთელი თავისი მოთხოვნილებებით, — აი რა არის პირველი, მარტივი ელემენტი საზოგადოებისა ; ინდივიდი და ათასნაირი განწყობილებანი განსაზღვრულ საზოგადოებაში მყოფ ინდივიდთა შორის, — აი რა უნდა იკვლიოს სოციოლოგმა, მორალისტმა და ფილოსოფოსმა, რომელთაც უნდათ მართლა განსაზღვრონ ცნებანი ; — ინდივიდი და მისი მოთხოვნილებანი, რომელნიც მუდამ იცვლებიან, რამდენათაც ინდივიდი წარმოადგენს თავის საკუთარს და გარემოცულ ენერგიის თავისუფალ თამაშს, — ინდივიდი და მისი მოთხოვნილებანი, აუცილებლობა მისი ცხოვრებისა და აუცილებელი წესი მისგან შემუშავებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, — ინდივიდი, როგორც ფუნქცია ყველა იმ ცვალებად ოდნობათა, რომელთაგან ეს ფუნქცია არის დამოკიდებული, გზა ამ გავლილ ცვლილებათა, წესი ამ მსვლელობისა და სხვა, — აი რა არის საგანი სოციოლოგისა, აი როგორ უნდა დაისვას

სოციოლოგიური კითხვები; — რომ მრავალი, უბრალო, — პირველი შეხედვით, — მაგრამ თრული — ანალიზის შემდეგ, — ცნებანი გამორკვეულ იქმნან, როგორც მაგალითად სამართალზნეობა, თავისუფლება და სხვა. ბევრი თანამედროვე სოციოლოგი კი, იმის მაგიერ რომ ცოცხალ არსებულ ოდნობაზედ დაიწყოს ოპერაცია; — ინდივიდზედ, — პირდა-პირ იწყებს საზოგადოებით, ე. ი. თვით ინდივიდთა შორის განწყობილებით. ეს იმასა ჰგავს, ასტრონომმა რომ მზის სისტემაზედ დაიწყოს მსჯელობა ისე, რომ არც მზე, არც პლანეტები, არც მათი განწყობილება არ იცოდეს. — საერთო ინტერესი, საზოგადოება და მისი ინტერესები, უმრავლესობა და უმცირესობა, წინააღმდევება საზოგადოებისა და ინდივიდისა, და სხვ., — აი როგორ ოდნობებზედ იწყებენ. იგინი ოპერაციებს თავდაპირელად; ეს არის მათი გამოსავალი წერტილი. და იციან, რას უდრის ყოველივე ეს? არა. — ისინი გვეუბნებიან, — ყოველივე ამას ვეძებთო, მაგრამ, თუ ეძებენ, მაშ რად ხმარობენ ამ ცნებათ, როგორც მათ მსჯელობათა გამოსავალ წერტილს, რად იწყებენ სწორედ ამ ცნებებით ყოველ ანალიზს? ესენი ხომ მთელი უურთულესი ცნებანი არიან, მაშასადამე თანსწორობანი მრავალი გამოურკვეველი ოდნობით. და რას იტყოდით მათემატიკოსზედ, რომელიც დასწერდა მრავალ ამგვარ თანსწორობათა: ისე, რომ ეს თანსწორობანი არ იქმნებოდენ შედგენილნი თავი-

სი აუცილებელი ელემენტებისაგან,—ისე რომ მას არ დასჭირებოდა არავითარი წინასწარი მსჯელობა, — ისე, რომ ამ მარტივ ელემენტთა შედარების შედეგი არ ყოფილიყო მთელი თანსწორობა, ეს რთული თანსწორობა,—და შემდეგ კი ამ მათემათიკოსს რომ და-ედო წინ ეს თანსწორობანი და დაეწყო მათზედ ოპე-რაცია?.. (რის საძებნელად?) დიახ! ეს უუაბსურდესი რამ იქნებოდა მათემატიკაში ეს არშეიძლება, რად-გან ყოველივე თანსწორობა შედეგია წინასწარ მსჯე-ლობისა, მარტივ ოდნობათა ურთიერთის ყოველ-მხრივ შედარებათა. მაგრამ სოციოლოგია მათემატი-კასავით არ არის განვითარებული. მასში ყოველის-ფერი ნება დართულია, და ძლიერ ბევრმა სოციო-ლოგმა გვასწავლა, — როგორ არ უნდა დაისვას კით-ხვები. როდესაც აბსურდულად, შეუძლებლად ის-მის კითხვები, ფოლადის ლოლიკაც რომ იხმაროთ, მაინც აბსურდული, შეუძლებელი შედეგები მოჰყვე-ბა თქვენს მსჯელობას...

რა აქვს კანონს ყოველივე ზემოხსენებულთან საერთო, — კანონს, რომელსაც თავის დღეში არა ჰქონია მიზნად არც მორიგება მაჩხუბართა, არც აღდგენა დარღვეული საზოგადოებრივი პრინციპისა, არც სამართალი, არც დაცვა თანასწორობისა. წინააღ-მდეგ, იგი ფუნქციაა სახელმწიფოსი, კანონმდებლო-ბისა, სამსჯავროისა, რომელნიც წარმოსდგენ ადა-მიანთა ერთი ჯგუფის მიერ მეორეს დამონვებიდამ, — თანასწორობის, საზოგადოებრივი პრინციპის სწო-

რედ დარღვევით. თანამედროვე კანონი ნაყოფია ძველ საურთი-ერთო დახმარების დაწესებულებათა დანგრევისა, როდესაც სახელმწიფომ სამედიატორო სამართალი ძველ სოფლისა და ქალაქის კომმუნებში, გილდიებსა და ძმობებში მოუსვენარ მეამბოხე ელემენტად ჩასთვალა; კანონი შედეგია ხმლისა, რომის მონური უფლებისა და ინკვიზიციის ჯვარის კავშირისა, მოვლენილი მხოლოდ ადამიანის დაჯისათვის,— მხოლოდ **იმიტომ**, რომ ასე სწერია იმავე კანონში. კანონის ესსენცია „დერუიმორდიზმია“, და ეს დერუიმორდული ფილოსოფია უფლებისა მოდის და გვეუბნება — კანონი ინდივიდუალურ კონფლიკტთა გადასაწყვეტად უნდა არსებობდეს საზოგადოებაში, — მაშინ როდესაც სწორედ კანონია წყარო ყოველგვარ „ინდივიდუალურ“ კონფლიქტებისა, — ხალხისა და კანონმდებლის შორის, „დამნაშავისა“ და პოლიცია-ჯაშუშ-მსაჯულის შორის, — პლევესა და საზონოვის შორის, ანჯიოლიონისა და კანოვანის შორის, ტიერსა და კომმუნის შორის, \*) — და ასე დაუსრულებლივ, — მას შემდეგ, რაც კანონმა ინკვიზიციის ჯვარი და შანთი აიღო ერთ ხელში, რომის უფლების რვეული ტვინზედ

\*) მეოთხველო, უცნაურად ხომ არ გეწვენება რომ ხალხი, კანონმდებელი, დამნაშავე და მსაჯული, ანჯიოლიონო, საზონოვი, ტიერი დი კომმუნა არეულია ერთაღ? — ეს არევ დარევა არ არის. ეს სხვა და სხვა ფერი გამოხატულება „ინდივიდუალურ კონფლიქტთა“.

დაიკერა, და მახვილით მეორე ხელში, შავი ყორანი იყიდ და დაჯდა საზოგადოებას გულზედ და საჭირო იყრიც ურანტალით ეხლაც გულს უკაწრავს მას და უწამლავს ყურთას-სმენას. სოციოლოგიურ კითხვათა ჩვენის ფიქრით უხეიროდ ტამყენებელნი კი სულ სხვა. რამეს გვარწმუნებენ, — სრულიად წინააღმდეგს. ვნახავთ შემდეგ, — ვინ სტყუის.

რამდენიც კანონია, სწორედ იმდენია წყარო ინდივიდუალურ კონფლიქტებისა. მოისპობა კანონი, — მოისპობა ათასნაირი იდივიდუალური კონფლიქტიც, არამც თუ მათი გადაწყვეტა შეუძლებელი იქმნება უკანონოდ.

— ავილოთ სხვა დარგნი აღამიანის ცხოვრებისა, მეცნიერება, ხელოვნება, სხვა და სხვა ჩვეულებანი, ვნებანი აღამიანისა, წარმოდგენანი აღამიანისა ცუდსა და კარგზედ, — ავილოთ სარწმუნოება და ზნეობა, — და განვიხილოთ, — აქვს რამე თუ არა საერთო კანონს ერთი მხრითა, და მეცნიერებასა, ხელოვნებასა, სარწმუნოებას და ზნეობას მეორე. მხრით. მეცნიერებისა და ხელოვნების წარმოშობა აგრეთვე სულ სხვა არის, ვიღრე კანონისა. აიღეთ რომელიც გინდათ დარგი მეცნიერებისა, გამოგონებისა და ხელოვნებისა, განიხილეთ მათი გრძელი ისტორია და მაშინ გაიგებთ, რომ იგინი პირდაპირი ნაყოფნი არიან თვით აღამიანის ბუნებასთან განწყობილებისა, თვით აღამიანის მოქმედებისა და მასზედ ბუნების გავლენისა. აღამიანის

დაკვირვებამ და ცდაშ არ შექმნა მთელი მეცნიერებამ და მთელი ფილოსოფია ძეველად, და შემდეგ აღამიანის მუდმივმა მოქმედებამა და ბუნების ფარგალში ტრიალმა, ბუნებასთან ბრძოლამ არ შექმნა მთელი ტეხნიკა, — ის შთანაჩენი საწარმოო იარაღთა, რომელთაგანაც ბოლოს თანამედროვე გიგანტური საწარმოო ძალები განავითარა კაცობრიობამ? განიხილეთ აგრეთვე ისტორია ხელოვნებისა, — და არ გადიშლება თქვენ თვალის წინ ის თვალ-წარმტაცი სურათი, თუ როგორ განვითარდა ხელოვნება უბრალო ველურის მიერ სილაზედ ხაზის სმიდან რაფაელამდე, უბრალო კერპის ქანდაკებიდან ფილისამდე, უბრალო ლრიალიდამ უორუ ბიზემდე? რა ჰქონდა საერთო ყოველივე ამას კანონმდებლის სურვილთან, ან კანონთან? გალილეები, კეპლერები, ნიუტონები, ვატტები და სტეფენსონები, ვაგნერები და რაფაელები, მთელი მოძრაობა გონებრივი, მთელი მეცნიერება და ხელოვნება უანა კანონმდებელთა წინააღმდეგ არ განვითარდენ? სოკრატს განა საწამლავი არ დაალევინეს, ჯიორდანო ბრუნო არ დასწევეს, გალილეის განა თვალები არ დასთხარეს? განა საუკეთესო მწერლები და ასე გასინჯეთ გამომგონლებიც შიმშილით არ იხოცებოდენ, დევნილ არ იყვნენ მთავრობისაგან და მისი დამქაშებისაგან? და ეხლაც განა ოფიციალური მეცნიერება არა სდევნის ყოველთვის ახალ მიმდინარეობას მეცნიერებაში? ეკულესია, მთავრობა და აკადემიები განა სულთა

მხუთავი სიკვდილებივით არ ადგიან თავს ყოველივე ახალ აზრს, ყოველივე ახალ გამოგონებას, ყოველივე ახალ აღმოჩენას? განა მუდმივი ბრძოლა არ არის ოფიციალურ ძალისა, — კანონის შორის,— და მეცნიერებისა და ხელოვნების. შორის ყოველთვისა და ყველგან? მხოლოდ დრეპერის წიგნების წაკითხვაა საკმარისი, სხვა რომ არა იყოს რა, ევროპის გონებრივ მოძრაობის შესახებ, რომ კაცმა გაიგოს, რომ სწორედ ადამიანის თავისუფალ შემოქმედებას, ადამიანის აზრის თავისუფალ კვლევა-ძიებასა და მიმდინარეობას არა აქვს არავითარი საერთო კანონთან, არამედ იგინი ერთი ერთმანეთის გამომრიცხველნი და მტერნი იყვნენ, არიან და იქმნებიან ყოველთვის. შეიძლება ყოველივე დააკანონო, — ადამიანის ადამიანთან განწყობილება,— ქონებრივი და სხვა ათასნაირი, — მაგრამ რეგლამენტაცია ადამიანის აზრისა — ყოვლად შეუძლებელი რამაა, აბსურდი და თანაც იმგვარი უსირცხვო რამ ტლანქი დესპოტიზმი, რომ ისტორიის უამთავითარებაში ამ აბსურდის წინააღმდეგ ბრძოლას ვე-ებერთელა ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში; ამ ბრძოლაში დალუპული არა ერთი ტალანტი და გენიოსი.

„მიეცით ნიჭია გზა ფართო“ — სთქვა პოეტმა. მეცნიერება და ხელოვნება ანარხიული იყო ყოველთვის, დასაბამიდამ, — და იქმნება კიდევ; ეხლაც ძვირად ნახავთ იმისთანა სერიოზულ მეცნი-

ერს, რომ თავისი აზრით, თავისი მეცნიერული აზრით და მეთოდით ანარხისტულად არ მსჯელობდეს, ანარხისტი არ იყოს მეცნიერებაში. ეს კარგად შენიშნა მძლავრმა, ლრმად და შორს მჭვრეტელმა იტალიელმა ფილოსოფოსმა ჯიოვანნი ჰოვიომ და სთქვა: lo pensiero è anarchico, egli è diretto verso l'Anarchia! — აზრი ანარხისტულია, იგი მიმართულია ანარხისაკენ! — კანონი პარველად მეცნიერებამ უარჲყო!

მაგონებდა ერთი სერიოზული ავსტრიელი პროფესიონალის (იურისტის) სიტყვები: სახელმწიფოს ეხლაც უხდება ხოლმე მეცნიერებისა და ხელოვნების ბევრ დარგთა გაძლოლა, რაღვანაც კერძო პირთაოვის იგინი „ხელ-საყრელი“ არ არიანო. მომავალ საზოგადოებაში კი ეს აუცილებელი იქმნებაო! — როგორას ცდება პატივ-ცემული განსვენებული პროფესიონალი! — სახელმწიფოს თავის სასარგებლოდ უნდა მოიხმაროს მეცნიერება, — მას წმინდა მეცნიერება არ აინტერესებს. მას პრივილეგიად უნდა გაიხადოს ტეხნიკა, რომ რეაქციის დროს აღმდგარ მონათა წინააღმდეგ ზარბაზნები იხმაროს. მას ბავშვების მონბაში ალსალზრდელად უნდა სკოლა, რომ მონანი შემდეგ კარგად იმსახუროს. მას უნივერსიტეტები თავიანთ ბიუროკრატთა საკეთებელ ქარხნებათ გადაუქცევია, — და სწორედ ამიტომა სდევს ისეთი მკვდარი, უსიცოხულო ფერი თანამედროვე უნივერსიტეტებს, თანამედროვე ოფიციალურ მეც-

ნიერებას. მეცნიერებას უნდა თავი დაახწიოს  
ოფიციალურ აკადემიებს და განთავისუფლდეს, „გა-  
ანარხისტებისტებს“, — ეს არის შისი იდეალი, ეს იყო, არის  
და იქმნება მუდმივი მისი მისწრაფება. **მეცნიერება**  
უველასათვის, მეცნიერება პრაქტიკულად გამო-  
უნებული ისე, რომ ადამიანის ჭრითა ეკონო-  
მის პრინციპი განხორციელდეს, და არა მეცნი-  
ერება, — პრივილეგია რამოდენიმე უტვინოთა და  
სიმდიდრეში ჩამხრივალთა, არა მეცნიერება ზარბაზ-  
ნებისა და ტყვიის მფრქვეველთა მკეთებელი, ხალ-  
ხის გასანადგურებლად და საბარბაროსოდ! — აი  
რა არის იდეალი თვით მეცნიერებისაც და თვით დიდ  
მძცნიერთაც. უველასათვის, ვისაც ნიჭი ულვივის გა-  
მოკვლევისა, ღრმა ცდისა, აღმოჩენისა, აზროვნებისა,  
— უველასაოვის მეცნიერებით დატებობა, უველასა-  
თვის შემოქმედების ასპარეზი, თავისუფალი და შეუზ-  
ღუდველი, — კომბინაცია ამ ნიჭთა, რომელიც ბუ-  
ნების საიდუმლოებათა სილრმეს უფრო დიადად გა-  
დაგვიშლის თვალ წინ, — და არა მეცნიერება მარტო  
მღიდართათვის (რომელთა შორის შეიძლება ნახე-  
ვარი კრეტინი იყოს, იმავე დროს კი ხალხთა მას-  
სა რჩება უსწავლელი, სილარიბეში სულთ მობრ-  
ძავი, მაშინ როდესაც იგი დაუშრეტელი წყაროა  
ბუნებით ბრძენ და შემოქმედების ნიჭით აღჭურვი-  
ლებითა), — აი იდეალი ანარხიული საზოგადოე-  
ბის მეცნიერებისა. მეცნიერების შესწავლა მას  
უნდა შეეძლოს, ვისაც თავი აქვს მოწყობილი მეც-

ნიერებისათვის, და არა იმას, ვისაც ფულით აქვს  
ჯიბე სავსე. თანამედროვე კანონი კი უკანასკნელის  
მოშხრეა. მომავალი კანონის როლი კი, თუ მან  
მეცნიერებასაც მოჰკიდა ხელი, კიდევ უარესი იქმნება  
აღბად, რადგანაც იგი, მაგალითად კოლექტივისტურ  
საზოგადოებაში, სიმდიდრე-სილარიბის მოწმობას  
ხომ აღარა სთხოვს ხალხს უნივერსიტეტის კარებში!  
მაშ უანდარმი ლაბორატორიაში, ჯაშუში ლიტერა-  
ტურის კაბინეტში, რომ „საზოგადო ინტერესების“  
წინააღმდეგ არავინ დასწეროს რამე, ჯალათი სკულ-  
პტორის, თუ მან „საზოგადო ზნეობა“ შელახა და  
სხვა, ან ოფიციალური აგენტი ნიუტინების ობსერ-  
ვატორიაში, რომ აჩვარიში გაუსწოროს ხოლმე ასტ-  
რონომიულ გამოკვლევათა დროს?! თუ რას მოაგვა-  
რებს სხვას მომავალი კოლექტივიზმის კანონი მეც-  
ნიერებაში? ჭარბი — 7

რა უნდა ითქვას ხელოვნებაზედ, რომელიც უფრო ფაქტიზია, უფრო ნაზია კიდევ, ვიდრე მეცნიერება? სად გინახავთ რომელიმე დარგი ხელოვნებისა, სახელმწიფოს ხელში რომ მართლა ხარობდეს? სახელმწიფო, კანონი და ხელოვნება, — ეს იმას ნიშნავს — ვირო რომ ვარდების გამშენებლად დააყენო! წინააღმდეგ, — ხელოვნება თავის დღეში არა ხარობს იქ, სადაც დესპოტიზმისა და კანონის ტახტია დადგმული, მაშინ როდესაც შეიძლება კიდევ მეცნიერებამ და გამოგონებამ რაიმე ნაყოფი გამოიიღოს!

მომავალ საზოგადოებაში კი ორა უნდა ჰქონას  
კანონმა ხელოვნების - მხრივ? უანდარმა კიანური  
დაიკავოს, ჯაშუშები კომპოზიტორებად გადაიქცენ,  
მთავრობის მიერ დანიშნული აგენტები მსახიობებად,  
სკულპტორებად და მხატვრებად, — თუ სახელმწიფომ  
ცეცხლი უნდა ჩაუდვას მხოლოდ გულში ყველა  
ამათ? ვმ! ცეცხლი თვით იდეაშია, თვით ხალხის  
გონებისა და მოქმედების წყაროდან აღმოზიდავს ცეც-  
ხლს არტისტი, და ამ ცეცხლს იგი მთავრობისა და  
კანონის გულში ვერ ნახავს, ვერასოდეს, ორგორც  
არ უნახავს აქამდის. მაში დახმარებაზედ იქმნება ლაპა-  
რაკობს მენვერი სახელმწიფოს მხრივ? ეს კი სულ უ-  
ზრო რამ არის, — სიტყვის ბანზედ აგდება; პროფე-  
სორს არ შეშვენის ამგვარი არგუმენტებით ამტკი-  
ცოს კანონის და სახელმწიფოს საჭიროება მეცნიერე-  
ბა - ხელოვნებისათვისაც კი: კომუნისტურ საზ-  
ოგადოებაში თვით მეცნიერები, თვით ხუროთ მოძ-  
ლვრები და არტისტები, ყოველი დარგისა და ყო-  
ველი ხელოვნებისა, თვით აიშენებენ თავის გე-  
მოზედ თავის უნივერსიტეტებს, თავის აკადემიებს,  
ლაბარატორიებს, თვით მოაშზადებენ. მუსიკალურ  
ინსტრუმენტებსა და სამეცნიერო საზომ იარაღებს,  
რადგანაც აღზრდა ინტეგრალური, — არტისტული,  
ხელოვანური და მეცნიერული ექმნებათ. მაშინ აღარ  
იქმნება „კითხვა — „ხელ საყრელია“ თუ არა ესე თუ ის  
სამეცნიერო ანუ სახელოვნო დარგი? მაშინ მეცნი-  
ერება გონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილე-

ბლად იქმნება, ბუნებასთან საბრძოლველად, ხელოვნება კი გემოთა დასატკბობად და განსავითარებლად. კითხვა მოვფებაწაფების მშინაობის.

მიეცით ნიჭია გზა ფართო — აი ერთად ერთი „კანონი“ მეცნიერებისა და ხელოვნებისა. სხვა კანონი მას არ უნდა, — და საზოგადოდ კანონისა და მეცნიერება - ხელოვნების შესახებ რომ ვლაპარაკობთ; არც კი შეიძლება ღრმა ანალიზით ვაჩვენოთ მათი დამოკიდებულობის სიმრტედე, ისე შორი შორს სდგანან ისინი ურთი-ერთზედ ფავიანთი არსებითა და ერთი-მეორისათვის საჭიროების მხრით. ისტორიულად კი იგინი საშინელი მტერნი იყვნენ ერთმანეთისა. კანონის დამარცხება — მეცნიერებისა და ხელოვნების აღყვავება იქმნება.

. სარწმუნოება? — ამას კიდევ უფრო ნაკლები გვშირი აქვს. თავისი შინაარსით კანონთან, და როდესაც მათ შორის მორიგება და კავშირი მოხდება ხოლო — კაცობრიობისთვის შავი სისხლის წვიმების დრო დგება ყოველთვის. რა აქვს ერთის ან რამდენისამე ძალ-მომრეობით დადგენილ კანონს საერთო აღამიანის წმინდათა-წმინდასთან, სარწმუნოებასთან, როდესაც აღამიანს სწამს, და ისე სწამს, რომ მსჯელობის ელემენტს არც კი ურევს ამ გრძნობაში, თუ ეს გრძნობა მართლა გულწრფელი? სარწმუნოება წარმოიშვა აღამიანის უმეცრებისაგან და შიშისაგან, სარწმუნოებრივი მითოლოგია, ჩვეულებანი და ზნენი, — სხვა და სხვა სოციალურ

განწყობილებათაგან, — კანონებზედ გაცილებით  
ადრე, — კანონი კი, ვიმეორებო, ერთი ადამიანის  
შეირჩება დამონებილამ არის წარმომდგარი,  
შეიძლება თვით სარწმუნოების დიდი ზედ-გავლენი-  
თაც კი, მაგრამ მათი დრსება მაინც სულ სხვა და  
სხვაა. პირველი კაცის გულშია, — მეორე უა-  
დარმის ხმალში, ჯალათის სახრჩობელაზედ და საპ-  
ყრობილეში.

ორგვარი შეიძლება იყოს კანონსა და სარწმუ-  
ნოებას შორის განწყობილება: ან კანონი მისი  
მოყავშირეა, — ან მისი წინააღმდეგი. ერთიც და  
მეორეც დიდი უბედურებაა კაცობრიობისათვის. ..

პირველ შემთხვევაში ინკვიზიცია და წამება  
იდგამს ფეხს, დევნა მეტნიერებისა და ხელოვნებისა,  
დევნა ყოველი ახალი აზრისა და შემთხვედებისა,  
— ამას ამტკიცებს მთელი ისტორია გაბატონებუ-  
ლი ეკკლესიისა. თვით ხასიათი სარწმუნოებისა ბუნე-  
ბით მსჯელობის წინააღმდეგია, — მას მიტომ აქვს  
ისეთი სასტიკი და გამრყვნელი შთანაჩენი თვით  
ძირში, --- და როდესაც სახელმწიფოსთან კავშირის  
წყალობით იგი გაიფურჩქნება ხოლმე, მიითვისებს  
სახელმწიფოსა და გაბატონებულ კლასსთა პრივილე-  
გიებს, თვით ხდება მდევნელი, ბავშების ტვინთა  
გამალაყებელი სკოლებში, მძარცველი, გარყვნილე-  
ბისა და უზნეობის მატარებელი. კონსტანტინეს  
შემდეგ ქრისტიანობის ისტორია მისი გარყვნის ის-  
ტორიაა. ინკვიზიციის დროს მისმა გარყვნილებამა და

ვერაგობამ უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია, ეხლა  
კი ის დიდ ანტისციალურ ელემენტად გამხდარა, <sup>1</sup>  
მესამე თავად იმ საზოგადო ვეშაპისა, რომელ-  
საც ეროდება კაპიტალიზმის-სახელმწიფო-ეკკლესია.  
დღეს მისს თავიდან მოშორებას მთელი „მოწი-  
ნავე საზოგადოებაც“ კი თხოულობს, ისე გადამე-  
ტა თავის გარყვნილებაში ეკკლესიამ, და ბევრგან  
უნდათ გაარღვიონ კავშირი სახელმწიფოს და ეკკლე-  
სიას შუა, შეკრული საუკუნეთა განმავლობაში.

მეორე შემთხვევაში, — როდესაც კანონია ეკლე-  
სიის წინააღმდეგი, იგივე უბედურება ხდება სოცი-  
ალურ ცხოვრებაში : მოიგონეთ რომაელთა მიერ  
დევნა ქრისტიანობისა, მოიგონეთ მაჭმადიანთა მიერ  
დევნა სომხებისა, მოიგონეთ ურიათა მთელი საუ-  
კუნოების მარტიროლოგია და თქვენ თვალ წინ  
გარდიშლება იგივე სურათი, საშინელი სურათი  
ტანჯვისა და წვალებისა, იგივე სურათი წამებათა,  
საზოგადო და გველურ-მომშემველ დაწესებულებათა  
მიერ მიყენებული ადამიანთადამი.

მესამე შემთხვევა, — რომ სარწმუნოება იყოს  
კანონის წინააღმდეგი და მდევნელი — წარმოუდვე-  
ნელია, რაღანაც ძლიერს, მოწყობილ სახელმწიფო-  
ში კანონის არსებობა ნიშნავს ორგანიზაციის  
რომელიც ყოვლის ზემოდა სდგას სოციალურ შენო-  
ბაში. თუ ეკკლესიამ იმისთანა სიძლიერე გამოიჩინა  
რომ მოსპონ სახელმწიფო ორგანიზაციის საერთ ძალი-  
სა და თვით გაბატონდა, — ეს იმას ნიშნავს, რომ

თვით გახდა იგი სახელმწიფოდ, — და უუსაშინელეს თეოკრატიულ სახელმწიფოდ. თუმცა ისტორიაში არ ვიცით, რა ერთი მაგალითი, რომ სახელმწიფო ორგანიზაცია წმინდად ყოფილიყოს შემდგარი ღვთის მინისტრებისაგან, რადგანაც მეომრები იყვნენ ძირითად ელემენტები სახელმწიფოთა შედგენისა, და შემდეგ იკავშირებდენ ხოლმე სამღვდელოებას თავიანთი ანტისოციალური ფუნქციის აღსასრულდებლად.

მაშასადამე, კანონის მოსპობა მოსპობს ერთის მხრივ ეკულესის ბატონობასაც, როგორც შეკავშირებული ძალისას, მეორეს მხრით მოსპობს აგრეთვე კანონის მიერ სარწმუნოებათა დევნას; — ერთიც და მეორეც დიდი სოციალური რევოლუციისაკენ დიდი ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს. მომავალ საზოგადოებაში კი თავისუფალი რწმენა აღკრძალული არ იქმნება კანონით: ამ შემთხვევაში კანონი, როგორც არა ვსთქვით, იგივე ანომალიებს გამოიწვევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორ ეხლა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია სამღვდელობაშ მაინც ისევ ისარგებლოს არსებული დაწესებულებებით და ისევ ჩაჰუნს ცხვირი მთავრობის საქმეებში, რადგანაც რელიგიოზურ რწმენათა წარმომადგენელნი ისე ჩქარა არ მოისპობიან სოციალური რევოლუციის შემდეგ, და მათი რწმენის აღკრძალვა კი არ შეიძლება, არ შეიძლება აგრეთვე მათთვის უფლებათა წართმევა. თუ კი სოციალის-

ტურმა კანონმა ალკირძალა რწმენა, — მაშინ ხომ  
იგი მართლა ნამდვილ დესპოტიურ . სახელმწიფოდ  
გადაიქცა! კაუცკი, მაგალითად, ეკკლესიის და სახელ-  
მწიფოს განშორებას ჰქადაგებს სოციალური რე-  
ვოლუციის შემდეგ... რასაც ეხლა საფრანგეთის  
ბურჟუაზია ანხორციელებს. მაგრამ ეს იმას არა  
ნიშნავს, რომ სამღვდელოებას წაერთვა ყოველივე  
უფლება მოქალაქისა, და კარგად ვიცით რას ნიშ-  
ნავს ეს უფლება მოქალაქისა: ეს არის უფლე-  
ბა, — მიიღო მონაწილეობა კანონმდებლობაში,  
რომელმაც უნდა განაგოს მთელი ხალხის ცხოვ-  
რება. სამღვდელოებას რა უშლის შევიდეს საკანონ-  
მდებლო კრებაში, თუ თვით კანონი არსებობს ?  
ამიტომაც სრული მოსპობა კანონმდებლობისა და  
კანონისა იქმნება აგრეთვე დიდი მუჯლუგუნი ეკკლე-  
სიისათვის და კლერიკალიზმისათვის, — და მხოლოდ  
/სრული მოსპობა. — V.

გარდა ამისა, მომავალ საზოგადოებაში თვით  
შეცნიერება, ინტეგრალური აღზრდა ყველა ადამი-  
ანთა, ბავშების შეცნიერულად განვითარება, მათი  
ჰორიზონტების გაფართოება, — ყველა ეს მოქ-  
ალავს დოგმას, მოსპობს სამღვდელოებასა და დაცუ-  
ლიერებს ეკკლესიებს, რომლებიც მალე საჯარო  
კრების სახლებად გადაიქცევიან. / ცეცხლი და მა-  
ხვილი კი არც საერთო კანონისაგან და არც საეკკლე-  
სიოსაგან არა არის რა, გარდა სიმხეცისა და გარყ-  
ვნილებისა.

კანონს, მაშასადამე, არც რელიგიოზურ რწმენა-  
თა წარმოშობასთან აქვს არავითარი საერთო. იგი-  
ნი ერთი-მეორეზედ დაშორებული არიან შინაარ-  
სით, და მათ დაწესებულებათა შორის განწყობილება  
იმნაირია, რო მათი კავშირი ინკვიზიციას ჰპა-  
დებს, მათი მტრობა კი აგრეთვე აუცილებლად ინ-  
კვიზიციას. როგორც ანტისოციალური მოვლენანი,  
ერთნიც უნდა მოისპონ და მყორენიც.

### განვიხილოთ ეხლა ზნეობა.

როგორ უმტვრევიათ თავი ფილოსოფოსებსა და  
მორალისტებს ამ ცნების გამოსარკვევად, როგორც  
თანასწორობაზედ, თავისუფლებაზედა და სხვა ამგ-  
ვარ ცნებაზედ, და ვერ გამოურკვევიათ სწორედ  
იმ მიზეზით, რომელნიც ზევით მოვიხსენიეთ : მათ  
უპირველესი ელემენტი ავიწყდებათ, რომ დაისახონ  
გამოსავალ წერტილად, — ინდივიდი, ერთად ერ-  
თი ოდნობა, რომელზედაც უნდა მოახდინონ სო-  
ციოლოგიის მათემატიკოსებმა ოპერაცია, რადგანაც  
ინდივიდი ის ცვალებადი ოდნობაა, რომელიც იცვ-  
ლება, როგორც ფუნქცია ათასგვარ ცვალებად ოდ-  
ნობათა, — რომელიც ერთად ერთია საინტერესო  
ჩვენთვის უკანასკნელ ანგარიშში.

ზნეობა ადამიანის თანშობილი თვისება არ არის,  
ან და იგი შეიძლება იყოს თანშობილი თვისება  
ადამიანისა, რამდენადაც ადამიანს შეიძლება სოცია-  
ლური ინსტინქტები მემკვიდრეობით ეცემოდეს მრა-

ვალ წარსულ შთამომავლობათაგან ადამიანის ცხოვ-  
რების მთელ განმავლობაში:

თავის თავად ზნეობა იმ განწყობილებათა ჯგუფ-  
ზეა დამოკიდებული, რომელნიც არსებობენ დაუსა-  
ბამო დროიდან კაცთა შორის. ზნეობა შემუშავე-  
ბულია სოციალურ ჩვეულებათა მიერ, ეს უკანასკ-  
ნელნი კი, როგორც უკვე ბევრჯელა ვსთქვით, კა-  
ნონს გარეშე სდგანან ლოდიკურადაც და ისტო-  
რიულადაც, ასე რომ მათ არავითარი კავშირი არა  
აქვსთ კანონთან.

ყოვლად შეუძლებელია ზნეობა გამოხატულ იქმ-  
ნას კანონის მიერ, რადგანც მაშინ უნდა შესაძლებ-  
ლად-ვყოთ, რომ კანონს შეუძლია მთელ სოცია-  
ლურ ჩვეულებათა და ადამიანის წარსულისა და  
აწმყოს თავის მოყრა და გამოხატვა: ამგვარი კანო-  
ნი კი აბსურდია, როგორც შეუძლებელი,— და უსარ-  
გებლო და უაზრო, თუ იგი შესაძლებელია.

ზნეობა არ შეიძლება განვითარდეს გარეშე  
სოციალური წრისა, გარეშე ადამიანთა შორის  
ჭანწყობილებისა, გარეშე ადამიანთა და ბუნების  
შორის განწყობილებისა, გარეშე მათი ურთი-ერთ-  
ზედ მოქმედებისა. ზნეობა ფუნქციაა აგრეთვე ადამი-  
ანის სოციალური ცხოვრების წესისა და ყველა იმ  
პირობათა, რომელთა ზედ-გავლენითაც იცვლება  
ადამიანის ცხოვრების წესი და მისი ბუნება.

ეგოიზმი და ალტრუიზმი, ცუდი და კარგი, სამარ-

თლიანი და უსამართლო, — ყოველივე ისენი იმგვარი ცნებანი არიან, რომელნიც პირდაპირ მიგვითოთებენ აღამიანის სოციალურ ჩვეულებაზედ, აღამიანის საზოგადოებრივობაზე. — აღამიანთა საზოგადოება, ნორმალურის ფუნქციის მქონე, უმაღლეს საზოგადოებრივობაზედ უნდა იყოს დამყარებული, ე. იგი ძალთა ეკონომიკა უნდა იყოს პრინციპი ამ საზოგადოებისა. და თუ ამგვარად შევხედავთ საზოგადოებას, მაშინ ზნეობაც წარმოგვიდგება თვალის წინ, როგორც ყოველნაირი მოქმედება აღამიანისა, რომელიც არა შლის ძალთა ეკონომიკის პრინციპს, არამედ სცდილობს განავითაროს იგი, და ინდივიდი სრულიად უზრუნველ ჰყოს ყოველი მხრით, განსაზღვრულ საზოგადოებაში. კარგი კაცი, უკანასკნელი ანგარიშით, იმასა ჰქვიან, რომელიც ნაკლებ ტანჯვას მიაყენებს მოყვასს, ნაკლებ ძალას წართმევს, ნაკლებად დასჩაგრავს, — და მეტ ძალას მოუმატებს, მეტად დააკმაყოფილებს, მეტად განაფართოვებს მისი მოქმედების ასპარეზსა და მისს ნიჭს. ცუდი კაცი — წინააღმდეგი მოვლენაა. კარგი ის არის საზოგადოებაში, — რაც ნაკლები ძალით ინდივიდებს მეტად დააკმაყოფილებს, ცუდი-კი, — რაც დიდი ძალის ფლანგვით ინდივიდებს ანადგურებს და. შლის ძალთა ეკონომიკის პრინციპს. ეგვევით ქმის უსამართლობაზედ, სამართლიანობაზედა და სხვ... კაცი არ შეიძლება არც ცუდი, არც კარგი, არც უსამართლო, არც სამართლიანი, არც ეგოის-

ტი, არც ალტრუისტი, — „დაბადებით“; \*) — იგი  
ნაყოფია განსაზღვრულ ძალთა მოქმედებისა მის  
წარსულში და აწმუნში, და ამ წრიდან ვერ გამო-  
ვა. შეიძლება ბუნებით რბილი კაცი უუსაშინელე-  
სი „დამნაშავე“ გამოდგეს ამა თუ იმ პირობათა  
ზედ-გავლენით, — და წინააღმდეგ. შეიძლება სამარ-  
თლიანობის მოსურნემ უსამართლობა ჩაიდინოს,  
შეიძლება ეგოისტი ალტრუისტი იყოს, სწორედ თავის  
ეგოისტური ბუნების დასაქმაყოფილებლადაც, —  
და წინააღმდეგ, და სხვ.. როგორიც არის საზო-  
გადოებაში ინდივიდუალურ ძალთა განწყობილ-  
ება, — იმგვარია ადამიანის მოქმედება, იგი მას  
ვერსად წაუვა. და თუ დღეს ვამბობთ, მაგალითად,  
რომ მუშათა კლასის სამართლიანად სთხოულობს  
რეფორმებს, იბრძვის სოციალური რევოლიუციისათ-  
ვის, — ეს სწორედ მიტომ, რომ შასშია ტენდენცია  
დაარსოს ნამდვილი საზოგადოება, ინდივიდუალურ  
ძალთა ეკონომიის პრინციპები, — ბურჟუაზიას კი  
ჰსურს დაიცვას ძველი რეზიმი; აგრეთვე ამ უკა-  
ნასკნელსაც სამართლიანი პგონია თავისი მისწრა-  
ფებანი, რადგანაც, — თავისი კლასის საკეთილ-  
დღეოდ რომ იცავს იგი ამავე პრინციპს, — პგონია ეს  
იგივე მთელი კაცობრიობისათვის არისო. ორთავე  
კლასს აქვს შემუშავებული თავიანთი სოციალური

\*) ჩვენ აქ სიგირის მაგალითები არ გვაქვს სახეში. შხოლლდ  
ვიცყვით, რომ მათთვის ერთი საშუალებაა, — ექიმი და საავადმყო-  
ფო, და არა საპურობილე.

ჩვეულებანი, თავიანთი წარმოდგენანი ზნეობაზედ, და მათი მისწრაფებანიც ამ წარმოდგენებით. განისაზღვრებიან.

აქედამ ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ არის რაღაც ბურუუზიული მორალი და რაღაც პროლეტარული. მორალი ერთია, — საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ შემუშავებული მორალი, რომელიც მუდამ უჩურჩულებს საზოგადოებრივ სხეულებს, როგორც მთელ რამეთ, — მოაწყონ ინდივიდის ცხოვრება ძალთა ეკონომიკის პრინციპზედ, — მაგრამ იგი იცვლება, როგორც ფუნქცია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანებისა და გვეჩვენება ჩვენ, როგორც მრავალფეროვანი სახის მქონე...

რა აქვს კანონს მაშასადამე საერთო ზნეობას თან? არათერი. პირველის ხასიათი ჩვენ ვიცით, მეორე კი როგორც ვხედავთ, დაუსაბამო დროიდან შემუშავებული წესია ინდივიდთა შორის განწყობრებათა, რომელიც იცვლება საზოგადოებაში ინდივიდუალურ ძალთა კომბინაციის ხასიათის ცვალებადობის მიხედვით: უთანასწორობა საზოგადოებაში, მაგალითად, ზნეობას მრავალ-ფეროვან ხასიათს აძლევს სოციალურ ჯგუფთა მიხედვით, — არისტოტელი მონობას ამართლებდა. — კომმუნისტურ, ანარხიულ, თანასწორთა საზოგადოებაში კი ზნეობა მუდმივი, ყოველ მხრივი დაცვა იქმნება ინდივიდისა და მისწრაფება ყველა. მის მოთხოვნილებათა და-

კმაყოფილებისათვის ; თანამედროვე და მომავალი კოლექტივისტური კანონი კი, როგორც წინააღმდეგი ინდივიდისა, მაშასადამე სახელმწიფო დაწესებულებანი არიან და იქმნებიან დაწესებულებანი უზნეობისა. აიღეთ, სხვა არა იყოს-რა, სამსჯავროს ფუნქცია, — დასჯა, რომელიც ნამდვილი უზნეობაა, რადგანაც არ არის იმისთანა დამნაშავე, რომ არ გასწორდებოდეს, — არ არის თანშობილი დანაშაულობა, და დამნაშავის მოკვლა პირდაპირი გამოკლებაა აღამიანისა საზოგადოებიდამ იმ აღამიანთა მიერ, — მსაჯულთა მიერ, — რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვსთ დამნაშავესთან და ტყვილა ეჩხირებიან სხვის მოქმედებათა განსჯაში, მაშინ როდესაც თვით შეიძლება უარესი „დამნაშავენიც იყვნენ“. საპყრობილე-კი პირდაპირ უზნეობის დაწესებულებაა, რადგანაც მხოლოდ თავისუფლების დროს შეუძლია აღამიანს ზნეობრივი ცხოვრება, — იქონიებს რა განწყობილებას სხვა მრავალ აღამიანებთან, — (გარეშე ამ განწყობილებათა ზნეობა არ არსებობს), — დამწყვდეული კი მოცილებულია „ზნეობას“, უარესად ფუჭდება მასზედ უფრო „დამნაშავეთა“ ზედ-გავლენით.

მომავალ საზოგადოებაში კი, როცა საზოგადოება ნამდვილ ძალთა ეკონომიაზედ იქმნება დამყარებული, ზნეობაც ამ გვარი საზოგადოების ფუნქცია იქმნება. ინტეგრალური აღზრდა და თავისუ-

ფალი ურომა განვითარებს ადამიანში სხვაგვარ, უმაღლეს სოციალურ ჩვეულებათა, რომელნიც მც-მართულ იქმნებიან ინდივიდის ყოველი მხრის გა-ნვითარებისაკენ თავისუფალ საზოგადოებაში.

კანონის მოსპობა, როგორც ხელის შემშლელ მოვლენისა ამგვარ საზოგადოების დამყარებისათვის, პირველი ნაბიჯი იქმნება ზნეობის განვითარებისა-, საკენ, — არა თუ კანონი და ზნეობა ერთია და ზნე-ობა შეუძლებელია უკანონოდ.

და ასე, დაუსრულებლად შეგვიძლია განვაგ-რძოთ ანალიზი, და იმ დასკვნამდის მივალთ, რომ არა თუ შესაძლებელია უკანონოდ ცხოვრება, არამედ საჭიროა, აუცილებელი.

## V

კანონის უსარგებლობისა, მავნებლობისა და ანტი-სოციალური ხასიათის დამამტკიცებელი და მაჩვენებელი მეორედ და უმთავრესად აგრეთვე ის/ არის, რომ მონობის ღროსაც ჰქონია კაცობრიოუ- ბას მუდმივი ტენდენცია კანონის ~~მოსპობასა,~~ სა- ხელმწიფო ორგანიზაციის წინააღმდეგ, — მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო მონობას, ერთი კლასის მიერ მეორეს დაჩაგვრას ჰქონდა ტახტი აღმართუ- ლი საზოგადოებაში.

ხანგრძლივი ისტორია ადამიანთა თავისუფალ ორგანიზაციათა ბრძოლისა მრავალ ანტისოცია-

ლურ ძალთა წინააღმდეგ ნათლად გვიჩვენებს ადა-  
მიანის ამ მისწრაფებას.

აიღეთ საშინელი ბრძოლანი ძველ საზოგადო-  
ებებში, — როგორი საშინელი სისახტიკით დასტა-  
კებია ხოლმე ახალი საზოგადოებრივი აღლორძინე-  
ბული ძალა ძველ ძალას, ძველ ორგანიზაციას,  
ძველ დოგმებს, ძველ ზნეობრივ ღირებულებათა.

უუძველეს საზოგადოებებშიაც ყოფილან დიდი  
რევოლუციები, რომელთა მიზანი ყოფილა მონო-  
ბისგან განთავისუფლება და ახალი, თავისუფალი  
საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა. მხოლოდ  
დაწვრილებითი დოკუმენტები არ არსებობს თანა-  
მედროვე ერუდიტებისა და ისტორიულ კრიტიკოსე-  
ბისათვის, რომ ნათელ ჰყონ ეს ფაქტები.

ძველ ხრონიკერებსა და ისტორიკოსებს უფრო  
ომებისა და მეფეების ისტორია აინტერესებდა, ვიდ-  
რე შინაგანი მისწრაფებანი ადამიანთა, და ამიტომ  
ისტორიის საგანი მაშინდელ დროში მხოლოდ სამ-  
ხედრო ავანტიურა იყო და ზეპირ გარდმოცემებ-  
შიდაც იგი აჭარბებდა. ეს საკვირველი არ არის.  
ადამიანი მას უფრო აქცევს ყურადღებას, რაც შე-  
დარებით იშვიათი მოვლენაა, ვიდრე მუღმივ მოვ-  
ლენათა, რაიცა ჩვეულებრივად მიმდინარეობს.  
მშვიდობიანი ცხოვრება და ნელი პროცესი საზო-  
გადოებრივ ახალ ძალთა წარმოშობისა და განვი-  
თარებისა ვერ იპყრობდა ადამიანის დაკვირვებას  
ისე, როგორც ომი თავისი საშინელების, და ამი-

ტომ ძველი ისტორიკოსებიც უფრო ამ უკანასკნელს აქცევდენ ყურადღებას, ვიდრე ნელ პროცესს საზოგადოების განვითარებას.

და როდესაც ახალი ძალის გაზრდა გამოიწვევდა ხოლმე ძველ ძალასთან „შეტაკებას, როდესაც ეს შეტაკება მართლაც მიიღებდა ხოლმე ნამდვილ სამოქალაქო ომის ხასიათს, მხოლოდ მაშინ აღნიშნავდენ ისტორიკოსები ან ამ ომის ამბავს, ან აღწერდენ „დამშვიდების“ ისტორიას. უმეტეს შემთხვევაში კი სრულებითაც არ მოიხსენიებდენ ხოლმე, ან თუ მოიხსენიებდენ, — გაკვრით. ამასავე მოწმობს, მაგალითად, შესანიშნავი ისტორიკოსი მას-ჰერო, ეგვიპტის ისტორიის ზედ-მიწევნით მცოდნე.

საბერძნეთის ისტორიაში უკვე მეტი საბუთებია ამ ტენდენციის დამამტკიცებელი. ის საშინელი ბრძოლა, რომელსაც მონები ეწეოდენ ბატონთა წინააღმდეგ, რომ უარ-ეყოთ მათი კანონი, ის ბრძოლა აგრეთვე, რომელიც თვით მოქალაქეთა შხრით ხდებოდა მტარვალთა წინააღმდეგ, ის დევნა, რომელიც განიცადეს მრავალმა თავისუფალმა ორგანიზაციებმა საბერძნეთის საზოგადოებაში გაბატონებული კანონის მიერ, — ეს იყო **მოძრაობა** საბერძნეთის საზოგადოებისა, ეს მუდმივი ტენდენცია თავისუფლებისაკენ ასულდგმულებდა მას, სანამ მონობისა და დესპოტიური სახელმწიფოს გამარჯვებამ, — კანონის გამარჯვებამ სიკვდილის

მორევში არ შთანთქა დიდებული; ნიჭითა და გშვენიერებით აღსავსე ტომი ელლინთა.

რომის ისტორიასაც წითელ ზოლად ევლება ეს ტენდენცია. მოიგონეთ საშინელი ბრძოლა პლებისია და პატრიციატისა, ბრძოლა მონათა და მოქალაქეთა უორის, — საშინელი ბძოლა, რომელიც სპარტაკის დამარცხებით გათავდა, — დევნა სენატისა და იმპერიის მხრივ თავისუფალ მუშათა და ხელოსანთა ორგანიზაციებისა, მოიგონეთ მთელი რომის უფლება, მთელი რომის კანონი, — როგორი სისასტიკითა და სიმკაცრით ეპყრობოდა იგი ყოველივე დამოუკიდებელ ძალას, თავისუფალ ორგანიზაციას, თავისუფალ საზოგადოებრივ შემოქმედებას რომის საზოგადოებაში. ომითა და მონობით გამდიდრებულმა რომის ბურუუზიამ და არისტოკრატიამ შექმნეს თავიანთი საშინელი უფლება, საშინელი კანონი, რომელიც „კანონიერად“ სთვლიდა ყოველივე საშინელებას, — მთელ პროვინციათა ერთი კაცისთვის კუთვნილებას და შიმშილით ამოწყვეტას, მთელ კულტუროსან ქვეყანათა ამოულეტასა და გაძარცვას, შიგნით თავისუფალ მუშათა და ხელოსანთა თავისუფალ ორგანიზაციათა დევნას და დამონებას; არსებული მონობის წინააღმდეგ აჯანყებას კი იგი სთვლიდა დიდ უბედურებად (ვისთვის?), დიდ საზოგადოებრივ დანაშაულად და სისხლის მორევში აღრჩობდა იგი ყოველგვარ

ცდას ადამიანისას განთავისუფლებულიყო აუტანელი მონობისაგან.

რომის კანონი აუტანელი მონური კანონი იყო. მონობის მთელი სასიზღარი ფილოსოფია მის „უფლებაში“ გამოიხატა და ამ უფლების წინააღმდეგ ბრძოლი საუკეთესო ფურცლებს შეადგენს რომის ისტორიისას. სპარტაკი და გრაკები უკვდავი რევოლიუციონერები არიან.

რომში მზადდებოდა უდიდესი რევოლიუცია, რომელიც მთლად მოსპობდა რომის უფლებასა და კანონს, რომ ათასნაირ სხვა პირობებს არ მოესწროთ ურევოლიუციოდ მისი დაღუპვა. უკვე აღლორძინებული იყო რომის ისტორიის ბოლოში ახალი ელემენტები საზოგადოებისა, უკვე კანონისა და სხვა მონურ დაწესებულებათა უარ-ყოფის სული თავს დასტრიალებდა მონურ, გიგანტურ, რომს, — მზად იყო რევოლიუციის ზღვა წაელეკა ძველი, აშმორებული წუმპე მონობისა და შეექმნა ახალი საზოგადოებრივობა, რომ = ბარბაროსების შემოსევას სულ სხვა ნაირად არ შეებრუნებინა ~~ამის~~ ბედი.

რომი მოკვდა ისე, რომ ვერ შეასრულა დიდი რევოლიუცია, იგი მოჰკლეს აგრეთვე გერმანიის ბარბაროსებმა. მას არ დასცალდა განეცადა დასდი უარ-ყოფა კანონისა, — რევოლიუცია, — თუმცა ეს ტენდენცია მუდამ იყო, და პლების და პატრიციას ბრძოლიდან დაწყებული გრაკებამდის და სპარ-

ტაქამდის აკოცხლებდა, უნაარსს აძლევდა მის  
ახოვრებას.

როდესაც ფეოდალური მონობა დაწვა უზარ-  
მაზარ ლოდგვით ევროპის გულსა და მართლაც ნამ-  
დვილი ბარბაროსობის დაწესებულებანი გაჩნდენ  
მთელი ევროპის სივრცეზედ, საუკუნეთა განმავლო-  
ბაში იზნიქებოდა ხალხი ბატონ-ყმობისა და ომების  
მძიმე უღელ ქვეშ,—მაშინაც დაიწყო ხალხურმა და-  
ლამ შეკრება, დაიწყო ახალი შემოქმედება ხალხისა,  
ახალი, თავისუფალი ორგანიზაციები, რომელთაც  
აგრეთვე განიცადეს საშინელი დევნა მეფეთაგან და  
თავადთაგან, უემდევ კი ქრისტიან ეკკლესიისაგანაც.  
როდესაც კი ეს ახალი ძალები საზოგადოებისა გაი-  
ზარნდენ, მომწიფედნენ ისე, რომ ბრძოლა შეეძლოთ  
ფეოდალურ უფლებასთან, ფეოდალურ კანონთან,—  
საშინელმა რევოლუციის ქარიშხალმა დაჰქროლა  
მთელ ევროპას. ქალაქები და სოფლები განთავისუფ-  
ლდენ მეფეთაგან და ეპისკოპოსთაგან, თავადთაგან  
და იმპერატორთაგან, და მე X—XIII საუკუნეებში  
შეჰქმნეს ის დიდი და განმაცვითრებელი კულტურა,  
რომელზედაც არა ერთხელ გვქონია საუბარი. აქაც  
ის ტენდენცია გამოჩნდა ხალხისა,— მუდმივი სრბო-  
ლა კანონის უარ-ყოფისადმი. — როდესაც მე-XIII  
საუკუნის ბოლოში დაირღვა თავისუფალი ქალაქი  
ბევრგვარ შინაგან და გარეგან მიზეზთა გამო, — მწარ-  
ნოებელმა ხალხმა მაინც ნახა გამოსავალი გზა და  
თავისი საკუთარი თავისუფალი ორგანიზაციებით

უშველა თავს.—ეს იყო ქალაქების კომპანიონაჟი,  
თავისუფალი ორგანიზაციები მუშათა, ომელნიც  
მუდამ დევნილნი იყვნენ მეფის, სამღვდელოებისა და  
პარლამენტების მიერ, მუდამ სცხოვრობდენ გარეშე  
ყოველივე სახელმწიფო სანქციისა, გარეშე სახელ-  
მწიფო ორგანიზაციისა, და ებრძოდნენ როგორც  
სახელმწიფოს, ე. ი. პოლიტიკურ მონაბას, ისე  
კორპორაციებს,—ბურუუაზიას,—ე. ი. ეკონომიკურ  
მონაბას. გაფიცვები, საყოველთაო გაფიცვა, აჯან-  
ყებანი ქალაქის მუშათა და მათ წინააღმდეგ ჯარისა  
და პოლიციის მძინვარება,—ყოველივე ეს თანა-  
მედროვე მუშათა მოძრაობის დამახასიათებელი არ  
არის,—ყველა ეს ძველი მოვლენაა, იმ მუდმივი ტენ-  
დენციის შედეგი, რომელიც ამოძრავებს ადამინს  
და წარიტაცებს მას მუდამ ანარქიის იდეალისაკენ.

როდესაც სახელმწიფო შთელი თავისი სიმკაც-  
რით, თავისი ორგანიზაციის სიძლიერითა და რომის  
უფლებისა და ქრისტიანე ეკკლესიის დახმარებით ისევ  
აღლორძინდა და მოედვა ევროპას მე XV საუკუნის  
ბოლოში, ამ ტენდენციამ ისევ იჩინა თავი. საშინე-  
ლია რევოლუციებმა იფეთქა ყველგან, და ის ძლიე-  
რი გონებრივი და ნივთიერი მოძრაობა, რომელსაც  
ჩვენ ჩეფორმაციის ეპოქას ვეძახით,—სხვა არა არის  
რა, გარდა ერთი მომენტისა ამ საერთო ისტორიულ  
სრბოლაში მუდამ დასახული ანარქიული იდიალი-  
საკენ. დიდი უარ-ყოფა კერძო საკუთრებისა, სახელ-  
მწიფო თავისი ანარქიული მოგმატთა და

სხვ., — აი იყო ნამდვილი დამახისიათებელი მხარე მე XVI საუკუნის დიდ რევოლუციათა, განსაკუთრებით ანაბაპტისტებისა და თომას მიუნცურის მოძღვრებისა, რომელმაც თავი შესწირა თავის ბრწყინვალე იდეალს. სისხლის მორევი იყო შედეგი ამ დიდ რევოლუციათა, — სახელმწიფომ, კანონმა სძლია საზოგადოებრივობას და რევოლუციას, — და თანამედროვე კაპიტალიზმისა და გაუმჯობესებული ბიუროკრატიული ცენტრალიზმის საძირკვლები უკვე ჩაიყარა.

და ის საშინელი, თავ-განწირული ბრძოლა, რომელსაც მუშათა კლასსები ეწევა კანონისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ ამ უკანასკნელ 300 წლის განმავლობაში, — ჰოლლანდიის რევოლუცია, ინგლისის დიდი რევოლუცია, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელმაც მთელი ევროპა შეანძრია, მთელი. სოციალიზმი მე-XIX საუკინისა, ეხლანდელი დიდი რუსეთის რევოლუცია, — რა არის ყველა ეს, თუ არა ისევ ის გამოჩენა იმ ძველი, მუდმივი ტენდენციისა კაცთა საზოგადოებაში, — განთავისუფლდეს ადამიანი შემბოჭველი სახელმწიფო მონობისაგან, ყველა მისი კანონებისაგან, და დაიმკვიდროს ნამდვილი თავისუფლება, — ეკონომიური და ჰოლიტიკური თავისუფლება, — მოაწყოს საზოგადოებრივი ცხოვრება ისე, რომ ინდივიდი მართლა წარმოადგენდეს ნამდვილ თავისუფლების განხორციელებას და მომქმედ, უეგნებულ არსებას.

დიახ, არსებობს ეს ტენდენცია უხსოვარი დროი-დან საზოგადოებაში. ის დაწესებულებანი, რომელნიც თავისუფლად სდგებოდნენ თავდაპირველად, — კლა-შები, თემები, სოფლის კომმუნები, — თავის დღეში არა ხმარობდნენ სახელმწიფოს აბსურდულ ძალ-მო-მრეობას ადამიანთა წინააღმდეგ, და როდესაც ათა-სგვარ მიზეზთა გამო ეს თავისუფალი ორგანიზაცი-ები იშლებოდნენ, — ადამიანები თავ-განწირულად ებრძოდნენ ამ განმანადგურებელ ძალებს, და ან ისევ იბრუნებდენ. ძველ თავის დაწესებულებათ მონობი-საგან განწმენდილსა და განშვენიერებულს, როგო-რც მაგალითად საშუალო საუკუნის ქალაქები, — ან და ახალ ორგანიზაციებს არდევნდენ მონობის გარეშე, მუდამ დევნილნი ამ უკანასკნელის მიერ, რომ იქ მაინც შეეფარებინათ თავი დროებით, მოე-კრიბათ ძალა, და შემდეგ აეფეთქებინათ მთელი გახრწნილი საზოგადოება საყოველთავო კანონის უარ-ყოფით, საყოველთაო რევოლიუციით. ისტო-რია დაუშრეტელი წყაროა ამგვარ მაგალითებისა. იგი თვით ამ მაგალითაგან შესდგება უმთავრესად. აიღეთ იტალიელი ისტორიკოსები: მურატორი, ჯინ კაპპონი, ლეო და ბოტტა, ჯუზეპპე ფერრარი, სის-მონდი და სხვანი, წაიკითხეთ მათი მოთხრობანდ და ნათლად დაინახავთ იტალიის ხალხის სულის კვეთებას საუკუნეთა განმავლობაში, მის ვუდმივ ტენ-დენციას და ცდას კანონის უარ-ყოფისადმი. აიღეთ ოგიუსტენ ტიერრი, ლიუშერი, ლევასსერი და მრა-

გალი ისტორიკოსი საფრანგეთისა, განსაკუთრებით  
გადაათვალიყრეთ საფრანგეთის კომუნათა ისტო-  
რია, რომელიც ოღწერეს ოგიუსტენ ტიერჩიმა და  
სასმონდიმ, გაიცანით თვით შინაარსი დიდი რევო-  
ლუციისა და უკანასკნელი საშინელი დრამა საფ-  
რანგეთის მუშათა ცხოვრებისა,—პარიზის კომუნა,  
—და დარწმუნდებით, რაში გამოიხატება ეს ტენ-  
დენცია. აიღეთ აგრეთვე სხვა ქვეყნები, და იგივე  
ბრძოლის სურათი წარმოგიდგებათ თვალის წინ  
ჯველგან და ყოველთვის, როდესაც კი კანონი ჰქ-  
ლავდა სჭიროვადოებრივობის ორგანიზაციას.

აიღეთ ის თავისუფალი ცხოვრება, მუდამ დევ-  
ნილი სახელმწიფო ორგანიზაციათა მიერ,—სოფლის  
ოემები, გილდიები, გერმანიის ჰანზა, თვით ათასჯერ  
ნახსენები თავისუფალი ქალაქები საშუალო საუკუ-  
ნეთა, აგრეთვე მრავლის უმრავლესი მუშათა და გლეხთა  
ორგანიზაციები, ისევ განახლებულნი მათი ხან-მოკლე  
თავისუფლებისმოკვლის შემდეგ სახელმწიფოსაგან და  
კანონისაგან,—ყველგან და ყოველთვის, საბერძნეთიდან  
ბოკიდებული ჩვენ დრომდე, —განიხილეთ ისტორია  
მათი ბრძოლისა, მათი დამარცხებისა, ისტორია მათი  
შემოქმედებისა და შევიღობიანი ცხოვრებისა, ისტორია  
ლიდ რევოლიუციათა, სადაც ისინი იყვნენ უმთავრეს  
ბომქმედ ელემენტებად,— და მაშინ გაიგებთ, თუ რა  
არის ეს ტენდენცია, მაშინ გაიგებთ რომ ყოველთვის  
ეს უკანასკნელი დიდ რევოლიუციად იქცევა ხოლმე,  
რომელიც საყოველთაო უარ-ყოფაა კანონისა, სა-

ხელმწიფოისა, ქურძო საკუთრებისა, ყველა ძველ ღი-  
რებულებათა, — და შემქმნელი ახალთა, — შემქმნელი  
თავისუფლებისა და მშვენიერების სულის ჩამდგმელი  
ადამიანის ცხოვრებაში. რევოლუცია — დიდი  
მტერია კანონისა, როგორც საზომადოებრივოს  
აღმადგენელი შოძრაობა ადამიანთა საზოგადოე-  
ბისა.

იძლეთ თანამედროვე სოციალიზმი, — თანამე-  
დროვე ტენდენცია მუშათა კლასთა სრული,  
ინტეგრალური განთავისუფლებისადმი : რამდენი გო-  
ნებრივი ენერგიაა დახარჯული მეცნიერულად დაე-  
მტკიცებინათ ეს ტენდენცია, კრიტიკის ცეცხლით  
დაეწვათ ძველი ღირებულებანი, შეექმნათ ნათლად  
და მკაფიოდ გამოხატული მთელი ფილოსოფიურ-  
მეცნიერული მოვლიო შეხედულება სოცია-  
ლიზმისა, გამჭებატათ მეცნიერული ფორმულებით  
მთელი ტენდენცია სოციალიზმისაკენ, დაეხატათ  
იდეალი მომავალი საზოგადოებისა და სხვ.; რამდე-  
ნი ორგანიზაციებია შემდგარი ( ჩვენ არ ვამბობთ  
იმ მრავალგვარ და მრავალ რიცხვოვან არა-სოცია-  
ლისტურ საზოგადოებებზედ, რომელნიც არსებო-  
ბენ კანონსა და სახელმწიფოს გარეშე და. დალუპ-  
ვის მაგიერ ხარობენ, რაიცა პირდაპირ, თვალსაჩი-  
ნოდ ამტკიცებს საზოგადოებრივობისა და კანონის  
არა თუ სხვა და სხვაობას; არამედ უმეტეს ნაწი-  
ლად პირდაპირ წინააღმდეგობას) მუშათა, გარკვეუ-  
ლი იდეალით, ბრძოლისათვის განმზადებული, უკ-  
ვე ბურუუაზისა და სახელმწიფოს გარეშე და პი-

რის-პირ მდგარი, — ჩამდენი ცდა დახარჯული რევოლიუციის მზადებისათვის, რომ ბოლოს დიდმა რევოლიუციამ წაჰლევკოს ძველი, მყრალი საზოგადოება და ახალი, თავისუფალი საზოგადოება დააარსოს სოლიდარობაზედა და თავისუფალ, ნება-ყოფლობით პრინციპზედ.

თვითონეული პატარა საზოგადოებაც კი, კანონის გარეშე მდგარი, — არა სოციალისტურიცი-კი, — თვითონეული მუშათა ორგანიზაცია, თვითონეული გამოხატულება მუშათა სოლიდარობისა, თვითონეული ბრძოლა კანონის წინააღმდეგ, თვითონეული საზოგადოებრივი მოვლენა, მიმართული კანონის წინააღმდეგ, — ნათლად გვანახვებს, — თუ თვალნი გვაქვს, — კაცობრიობის ჭელო ჭიომავალს. მთელი თანამედროვე ცხოვრება, აზრი და მოქმედება ემზადება სწორედ იმ დიდი რევოლიუციისათვის, რომელმაც უნდა მოსპოს კაპიტალიზმი, სახელმწიფო და კანონი. — ამაშია დედა-ძარღვი მთელი, თანამედროვე საზოგადოებრივი აღელვებისა. ამით დაიწყო რუსეთის დიდი რევოლიუციაც, — და კიდევ გამოიდიან და გაიძახიან : „უკანონოდ“ ცხოვრება არ შეიძლება! ეს დაკვირვებისა და ცნებათა გაგების უნიკობას ამტკიცებს, თუ გნებავთ, მაგრამ ჩვენის ფიქრით, ძლიერ ბევრთათვის უფრო ზოგიერთ ცნებათა გამოურკვევლობასა და განუსაზღვრელობასაც...

თვით თანამედროვე ცხოვრებაში ჩნდება შთანა-

ჩენი ანარქიისა, — ეს არის უარ-ყოფა სახელმწიფოსა და კანონისა, რომელიც თანამეროვე ადამიანს უკვე თავს აბეზრებს, — და მის განაზებულ-სულსა, გულსა და გონებას აღარ შეუძლია სახელმწიფო მათრახი აიტანოს: მას სწყურია თავისუფალი ორგანიზაცია, სადაც ინდივიდი სუვერენია, სრული თავისუფალი, — ეს კი უარყოფაა კანონისა. მუშათა მრავალი მასსა უკვე ორგანიზაციებად არის შემტგარი გარეშე კანონისა და სახელმწიფოსა, იგი ეშურება ყველა საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებრივებას და საწარმოო კომმუნის მოწყობას უჯანდარმოდ და უკაპიტალისტოდ, ისე რომ, — თვითო ინდივიდს ჰქონდეს სრული თავისუფლება, სრული ინიციატივა, აგრეთვე მის ყველა მოთხოვნილებათა და კმაყოფილების შეძლება ნაკლების შრომით, — ეს კი კომმუნიზმია, მაშასადამე უარ-ყოფა კანონისა, რომელიც კერძო საკუთრებასა და ეკონომიურ მონბას განამტკიცებს. ყველგან, ცხოვრების რომელ დარგშიდაც არ უნდა ჩაიხედოთ, — ყველგან უარ-ყოფაა ძველისა და მისწრაფება ახლისადმი: მეცნიერებაში აღარ არის თაყვანის ცემა „კანონთა,“ საერთო კანონთა, რომელიც განაგებს ყოველისთვეს. მეცნიერება გაანარქისტდა: იგი ეძებს მოვლენათა უბრალო ახსნას, მათ ერთმანეთში განწყობილებას, მათ განწყობილებას კაცთან, ამ უკანასკნელის მიერ მათ ნამდვილ შეგნებასა და მოხმარებას. ხელოვნებაში

და ლიტერატურაში თახალი სული შევიდა, სული  
მედიდური და თავისუფალი, მომავალი თავისუფა-  
ლი შემოქმედებისა, სული ინდივიდუალიზმისა, რო-  
მელიც ადამიანის განსპეციაკებულ ზნეობას მსგავს  
ზნეობრივ არსთ შეუერთებს თავისუფლად და წარი-  
ტაცებს საერთო იდეალისაკენ. წარმოებაში მუდმი-  
ვი ბრძოლის ზახილია და უკვე ხმალ-ამოწვდილი  
მიისწრაფიან მუშები დაანგრიონ საუკუნო პრივილე-  
გიები მუქთა-ხორათა და შექმნან კომმუნისტური  
წარმოების საშუალებით იმისთანა პირობები, სადაც  
მურომელი მეცნიერებითა; ხელოვნებითა და თავი-  
სუფალი შრომით გახდება ნამდვილი ოვეისუფალი  
ადამიანი, კმაყოფილი და მუდამ წინ მსრბოლი ბუნე-  
ბის საიდუმლო წიალთა შინა, მის თვალ-უწვდენელ  
ასპარეზედ. უკვე ზნეობრივი რევოლიუცია მოხ-  
და, — მზადდება დიადი, საშინელი განმაწმენდე-  
ლი ნივთიერი რევოლიუცია, — სოციილური რევო-  
ლიუცია, რომელიც ახალ განწყობილებებს დაუ-  
დებს საფუძვლად საზოგადოებას, — იმგვარ საფუძ-  
ველს, რომელზედაც თავის დღეში ვერ აღმოცენ-  
დებიან ვერც კაპიტალიზმი, ვერც სახელმწიფო თავი-  
სი კანონით, ვერც სარწმუნოებრივი დოგმატები-  
ტაჰკრა დიდებულმა საათმა, როდესაც საზოგადოებ-  
რივობამ, თავისუფალმა ორგანიზაციამ უნდა გაარ-  
ღვიოს კანონისა და ძალმომრეობის ყრუ, მავნებე-  
ლი, სულის დამხშობი, უაზრო და შემხუთველი  
კედელი, — როდესაც სიტყვა „კანონი“, უნდა ამოი-

შალოს ადამიანთა ლექსიკონიდამ სრულიად, რო-  
დესაც საზოგადოებამ **უკანონოდ** უნდა იცხოვოს,  
თავის მისწრაფებისამებრ, — როდესაც **მეცნიერება-შიაც** კი უნდა განქრეს სიტყვა „კანონი“.

## VI

ჩვენ ვეცადეთ, რამდენადაც შეგვეძლო, დაგვე-  
მტკიცებინა კანონის ბაზბაროსული წარმოშობა,  
მისი უნიօდაგობა და უმიზნობა თანამედროვე სა-  
ზოგადოებაში, მისი უზნეობა და ულოდიკობა ყო-  
ველ გვარ საზოგადოებაში, აგრეთვე მისი უსარ-  
გებლობა ადამიანის ცხოვრების მრავალ-გვარ და-  
რგთა მოსაწყობად და მოსაწესრიგებლად; — ჩვენ  
ვეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ / არც ადამიანის  
საზოგადოებრივობას, არც წარმოებას, არც ინდი-  
ვიდუალურ კონფლიქტთა გადაწყვეტის საჭიროე-  
ბას, არც მეცნიერებას, ხელოვნებასა და სარწმუ-  
ნებას, — არავითარ ნამდვილ საზოგადოებრივ  
მოვლენას არა აქვს არავითარი . კავშირი კანონის  
აუცილებლობასთან, — არამედ ყოველივე ეს პირდა-  
დაპირი მებრძოლი, წინააღმდეგი და გამომრიცხვე-  
ლია კანონისა. ჩვენ ვამტკიცებდით აგრეთვე, რომ  
თვით თანამედროვე კაცობრიობაში არსებობს ტენ-  
დენცია კანონის უარ-ყოფისა და ეს ტენდენცია  
ბოლოს და ბოლოს სინამდვილეთ გადაიქცევა, რო-  
დესაც ანარხია და კომუნიზმი დაედება საფუძვლად  
ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებას, და როდე-

საც . თვით ადამიანის აზრი, თვით მეცნიერებაც კი განთავისუფლდება იმგვარ ცნებათაგან, როგორიც არის **კანონი.**

ჩვენ გვრწამს ეს იდეალი, ეს დიადი მომავალი კაცობრიობისა, როდესაც იგი იცხოვრებს სრულიად თავისუფლად, ანარხიულად, **უკანონოდ.** შორს მკვრეტელი ბაკუნინი ამბობდა კიდევ : **თანამედროვე ცხოვრების ანალიზშა და წარსულის ისტორიაშ დამარტმუნა კაცობრიობის დიად მომავალში:** მე უკვე ვხედავ საყოველთაო ხაოსისა და დანგრევის ღრუბლებს იქით — **უკანონოდ, თავისუფლად, ანარხიულად მცხოვრებ კაცობრიობასაც.**

ჩვენ ვხედავთ, როგორც ბაკუნინი, ამგვარ კაცობრიობას მომავალში, — ეს არის ჩვენი მაჭოქმედებელი იდეალი, — და საფუძველიც, ღრმა საფუძველიც გვაქვს, ეს იდეალი ვიწამოთ და მისკენ მივეშურებოდეთ მთელი ჩვენი ძალ-ლონით, მთელი ჩვენი შემოქმედებითა და სულის კვეთებით.

ამიტომაცა ვართ ასეთი სასტიკი მდევნელნი კანონისა, ამ ძველის-უძველეს ცნებისა, რომელიც უნდა ამოვფხიკოთ საუკუნოდ კაცობრიობის ისტორიის დაპალი ფიცრიდამ, მოქსპოთ ეს აშშორებული და უზნეო ღირებულება და ადამიანის თავში მისი ადგილი დავაჭრიოთ თავისუფლებას, კომუნიზმს, — ანაოხიას. მას შემდეგ ჩაც კანონი, პირდაპირი შედეგი სახელმწიფო ორგანიზაციისა, საზოგადოებას „მართავს“, ადამიანებს არწმუნებენ,

რომ იგი უზენაესი გამოხატულებაა საზოგადოებრივობისა, — სრულიად უსინიდისოდ, ათასნაირი სოფიზმებით, ყველგან და ყოველთვის, ასე გასინჯეთ მეცნიეცების სახელითაც კი, — მაშინ როდესაც სწორედ ამ უკანასკნელმა აღმოაჩინა რომ იგი წარმოშობილია სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, ბარბაროსობისაგან, ადამიანის მიერ ადამიანის დამონებისაგან. — იგი შედეგია მონობისა და ადამიანის ძალთა ფლანგვისა, და არაფერი საერთო არა აქვს საზოგადოებრივობასთან, რომელიც თავისუფლებაა და ადამიანის ძალთა ეკონომია. კანონი სახელმწიფოს გარეშე არ ასებობს, სახელმწიფო კი პირდაპირი ნაშენია: ძალმომრეობაზედ, იგი დახასიათდება ძალ-დამტანებელ დეწესებულებებით, იგი აგრეთვე ერთი განსაზღვრული ტიპია საზღადოებისა, ისტორიულად შექმნილი და გარდამავალი, — და მაშასადამე კანონის აუცილებლობის დამტკიცება სახელმწიფოს ერთად ერთ საზოგადო ფორმად აღიარებას ნიშნავს, რაიცა პირდაპირი, აბსურდია და სრული უგიცობა სოციალური კევლიურის შინაარსისა და ისტორიისა. ეს პირველი საბუთია კანონის მავნებლობისა, ანტისოციალობისა და აგრეთვე მისი განქრობისა კაცობრიობის მომავალ ცხოვრებაში...

— მას შემდეგ ადამიანებს არწმუნებენ, რომ კანონი ყოველ საზოგადოებაში დამცველია საზოგადო მშვიდობიანობისა, საკუთრებისა, წესიერებისა,

თავისუფლებისა, ადამიანთა შორის თანასწორობისა  
და სხვა, — მაშინ როდესაც ისტორიას არ ახსოვს  
არც ერთი საზოგადოება, კანონზედ დამყარებული,  
რომ იგი არ ყოფილიყოს პირდაპირ დამყარებული  
ძარცვა გლეჯაზედ საკუთრების მაგივრად, უწესო-  
ებაზედ წესიერების მაგივრად; მონობაზედ თავისუ-  
ფლებისა და თანასწორობის მაგივრად, დანაშაულ-  
ზედ მშეიღობიანობისა და კუთმოყვეარეობის მაგივ-  
რად. თანამედროვე საზოგადოებაში "ეს კაცობრი-  
ობისა შიმშილით კვდება, — ამის დამცველია კა-  
ნონი და არა „საკუთრებისა“, ჩომლის კომმუნი-  
ტური ფორმაც არის ერთად ერთი რაციონალურია;  
თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში რაც და-  
ნაშაული ხდება, სულ ამ კერძო საკუთრების კანო-  
ნისა და სხვა არა ტორმალურ, კანონის მიერ გან-  
მტკიცებულ პირობებიდამ გამოდის; კანონი თვით  
ხდება დანაშაულის წყაროდ, — არა თუ იგი მებ-  
რძოლია დანაშაულობისა, კაცის კვლისა და წა-  
შების წინააღმდეგ. აგრეთვე თავისუფლება და სხ.  
პირდაპირ უარ-ყოფილია კანონის მიერ: — პოლი-  
ცია და ჯარი, ათასი გარეუნილი ბიუროკრატი და  
მოხელე უარ-ჰყოფენ მას და უშლიან მთელ მი-  
ლიონობით. ხალხის თავისუფლებას; — არა თუ კა-  
ნონი დამცველია თავისუფლებისა და დამაკაცოფი-  
ლებელი სხვა აუცილებელ საჭირო მოთხოვნილე-  
ბათა თანამედროვე საზოგადოებაში. მთელი ძველი  
და თანამედროვე კანონი გამოხატულებაა მთელი

ძველი და თანამედროვე ცხოვრების მონობისა, და ძველი და თანამედროვე კანონის სარგებლობა და აზრიანობა მაშინ დამტკიცება, რომ ამ ძველი და თანამედროვე ცხოვრების სისაძაგლის დამტკიცება იყოს შესაძლებელი, როგორც რაღაც შშვენიერისა და სასურველისა. ეს უკანასკნელი კი აბსურდია, და მაშასადამე აბსურდია ძველი და თანამედროვე კანონის სარგებლიანობაცა და საჭიროებაც.

ეს მეორე საერთო ორგუმენტია კანონის წინა-აღმდეგ, — განსაზღვრულ ეპოქებში, განსაკუთრებით თანამედროვე ხანაში, მისი ყოვლად უსარგებლობა, მავნებლობა და დანაშაულის წყაროდ გარდაქცევა.

აიღოთ რომელიც გინდათ საზოგადოება, თუ გინდ მომავალი კოლექტივიზმიც და დასტოეთ ქრთი რომელიმე დაწესებულებათაგანი თანამედროვე საზოგადოებისა, — დასტოეთ ნატამალი სახელმწიფო ორგანიზაციისა და კანონის ცნება, — და ნელ-ნელა აღსდგება მაშინვე მთელი თანამედროვე მონობა, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს საზოგადოებრივობასთან. საზოგადო ინტერესებს, საზოგადო იდეალთა, საზოგადო მისწრაფებათა კანონ-მდებლობა ვერ გამოხატავს, — ეს შეუძლებელი და აბსურდია, — იგი ვერ დაიცავს უმრავლესობის ინტერესებს, რადგანაც შეუძლებელია ერთ დიდ საზოგადოებაში განსაზღვრული საერთო უმრავლე-

სობისა და უმცირესობის ნახვა, — ისეთი მრავალფეროვანია კაცთა შორის განწყობილებანი, ათასნაირია კითხვები, რომელიც ცხოვრებას აღელვებს, — ისეთი რამ აბსურდული, უშინაარსოდა უსამართლო რამ არის თვით „უმრავლესობა და უმეტესობა“ და განსაკუთრებით მასზედ მთელ მონურ დაწესებულებათა აშენება! — ეს კიდევ ერთი მძლავრი არგუმენტია კანონის წინააღმდეგ. *Х უ: გ.*

აგრეთვე აიღეთ ადამიანთა განწყობილების მრავალნაირი დარგი. წარმოება, როგორც არა ვსთქვით, უფრო ძველი მოვლენაა, ვიდრე კანონი. ეს უკანასკნელი ყოველთვის იყო მისი მტერი, ეკსპლოატატორი მწარმოებელ კლასთა და მათი მდევნელი დაცვის მაგივრად. მარტო მე XIX საუკუნის მუშათა ისტორია ამტკიცებს ამას, სხვა არა იყოს რა. წარმოება იმისთანა ფართო, უნივერსალური მოვლენაა ადამიანთა ცხოვრებაში, ისეთი საერთო რამ საზოგადოების ყველა ტიპთათვის, მის წარმოშობაში ისეთი რთული და მრავალფეროვანი ძალები იღებდენ მონაწილეობას, რომ სრულიად გარეშე სდგას იგი კანონის შინაარსისა და ხასიათისა, — და ეს უკანასკნელი ისეთი სუსტი, მავნებელი და საკოდავი მოვლენაა პირველთან შედარებით, რომ მისი, ე. ი. კანონის მოსპობა, მხოლოდ ერთ გვარად დაეტყობა წარმოებას: წარმოება განთავისუფლდება და საზოგადოებრივობა გაიზრდება, განიწმინდება მხოლოდ მონობის მიერ მოგროვილი ტალახისაგან.

— აიღეთ ინდივიდიალური კომფლიქტების გადაწყვეტა — აქაც დაინახავთ, რომ როდესაც კანონები არ არსებობდნენ, ბარბაროსთა შორისაც კი ეს პროცესი უფრო ჭკვიანად და ადამიანურად ხდებოდა, — ყველა წესს ინდივიალური კომფლიქტის გადაწყვეტისას ჰქონდა თავისი აზრი, შინაარსი, ლორიკა, — კანონს კი ერთია რამ აქვს მხოლოდ დასჯა, — უაზროდ, ულოლიკოდ, მხელურად, — და აქედამ წარმოსდგება, რომ ვერც ერთ იურისტს დღეს რაციონალურად ვერ განუსაზღვრავს — რა არის დანაშაული. — აიღეთ აგრეთვე მეცნიერება, ხელოვნება, სარწმუნოება, — აქაც კანონს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია არც მათ წარმოშობაში, არც მათ განვითარებაში. — წინააღმდეგ, იგი მათი მტერი იყო, მდევნელი. როდესაც კი, კერძოდ, სარწმუნოებას შეუკავშირდებოდა ხოლმე კანონი ინკვიზიციისა და სახელმწიფო დესპოტიზმის კიდევ უფრო მძიმე ლოდი აწვებოდა ხოლმე კაციობრიობას ტანჯულ გულზედ.

ეს კიდევ ერთი დიდი არგუმენტია კანონის წინააღმდეგ, რომ იგი ერთი საზოგადოი, წარმავალი, მოკლე მომენტია ადამიანთა საზოგადოების განსაზღვრული, გარდამავალი და უუსაზიზლრები ტიპისა, — სახელმწიფოსი, — და არაფერი საერთო არა აქვს იმ ძველის უძველეს, ლრმა და უნივერსალურ განწყობილებებთან ადამიანთა შორის, რომელთა კრებულიც შეადგენს მთელ საზოგადოებრივობას,

ადამიანთა ცხოვრების თფით შინაარსსა და საფუძვლებს.

ბოლოს, — აიღეთ მთელი ისტორია კაცობრიანებისა, — აიღეთ მისი ის ნაწილი, როდესაც ადამიანები უკანონოდ სცხოვრობდენ, აიღეთ მისი ის ნაწილი, როდესაც სახელმწიფო დესპოტიზმი და კერძო საკუთრება სტანჯავდა და ანადგურებდა ადამიანებს, და დარწმუნდებით, რომ პრინციპი საზოგადოებრივობისა, — ნაკლები შრომა და მეტი დაკმაყოფილება მოთხოვნილებათა, განსაზღვრულ პირობებში, — სწორედ უკანონო საზოგადოებაში ხორციელდებოდა, (რასაც ვირცელია დაახლოვებით), სწორედ კომმუნიზმის და ანარხისის ფარგლებში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო კაცობრიობის ცხოვრების პირველ ხანებში. — იმ საზოგადოებაში კი, საღაც საზელმწიფო ორგანიზაცია და კანონი იყენენ გამეფებულნი, — მუდმივი ბრძოლა ბრსებობდა თავისუფალ, მწარმოებელთა ორგანიზაციებისა, რომელნიც სდგებოდნენ ანტისოციალურ ელემენტთა წინააღმდეგ, სახელმწიფოსა და კერძო საკუთრების წინააღმდეგ, — მუდმივი ბრძოლა კანონმდებელთა და კანონის-მიერ დამონებულთა შორის.. თქვენ ნახავთ აგრეთვე მუდმივ ტენდენციას კანონის დათრგუნვისა და თავისუფალ ორგანიზაციათა შედგენისას; — ეს ტენდენცია ბოლოს და ბოლოს იხატებოდა ხოლმე საყოველთაო კანონის უარ-ყოფაში, — რევოლუციაში, — და ის მომენტები ადამიანთა ცხო-

ვრებისა, როდესაც რევოლუციასა და ანარხისა გაუმარჯნია ხოლმე, ყოფილა ყოველთვის საფუძველი პროგრესისა; უღრმესი და უმაღლესი შემოქმედებისა, — დამარცხების მომენტები კი სიკვდილი და განადგურება, დაცემა და გახრწნა მთელ ცივილიზაციათა კანონისა და სახელმწიფოს მიერ. — თანამედროვე ცხოვრება დიდი რევოლუციისაკენ, საყოველთაო კანონის უარ-ყოფისაკენ, ანარხისაკენ და კომმუნიზმისაკენ მიიჩნიათვის აგრეთვე, — და უმაღლესი საზოგადოებრივობის, უმაღლესი სოლიდარობის სახელით. აზრი, მეცნიერება, ხელოვნება, თვით მწარმეობელთა მოქმედება და წინ-სრბოლი აგრეთვე ძლიერის ნაბიჯით მიღის ამ დიადი იდეალისაკენ. სოციალური რევოლუციის აჩრდილი შავი ღრუბელივით განართხულა თანამედროვე საზოგადოების ცაზედ; მისი საშინელი კექა-ქუხილი განმანადგურებელი წარლვნით მოვალინება მთელ თანამედროვე სოციალურ დამპალ შენობას; ძრწიან ძველის დამცველნი და აორკეცებენ შრომას დიადნი მომავლინებელნი წარლვნისა, — ჯიოვანნი ბოვიოს წინასწარმეტყველება სრულდება, — ადამიანის ცხოვრება ანარხისაკენ არის მიმართულიო!

და ის საშინელი ზათქი და ზრიალი სოციალური რევოლუციისა, რომელიც წაპლეკავს მონობასა და მის უუსაზიზლრეს ფორმულას — კანონს, — გულს უსახავს მთელ  $\frac{1}{15}$ -ს კაცობრიონ-

ბისას .წარლენის შემდეგ მოწმენდილ ცაზედ ანარ-  
ხის ცისარტყელის გარდაკვრის იმედს ; ამ .წარლე-  
ნას ელოდება მოუთმენლად იგი და აჩქარებს მას, მის-  
კენ მიეშურება მთელი თავისი გონებით, აზრით,  
მუშაობით, მთელი ფავისი .ტანჯული არსებით, —  
და ეს, თუ გნებავთ, ყველაზედ უფრო მშვენიერი,  
ღიადი, ძლიერი და შეურყეველი არგუმენტია კა-  
ნონის წინააღმდეგ, რომლის ულელიც ეხლა მთელ  
მოაზრე და მწარმოებელ კაცობრიობას სასირცხოდ  
მიაჩნია.

მე-XX საუკუნის ინდივიდი, რომელსაც სწყუ-  
რია ინტეგრალური /განვითარება და მედიდურად  
ჩლწვის შეჰქმნას თავისი მომავალი სიღიადს აუკი-  
ლებელი პირობა, — საუკეთესო არგუმენტია კანონის  
წინააღმდეგ.

და როდესაც მოისპობა მთელი თანამედროვე  
საზოგადოების საფუძველი, როდესაც საზოგადოებას  
ნამდვილი თანასწორობა, ნამდვილი თავისუფლება  
დაედება საფუძვლად, როდესაც თავისუფალი, კო-  
მიუნისტიური წარმოება იქმნება ერთად-ერთი წესი  
უმთავრეს მოთხოვნილებათა და კაულოფილებისა, —  
მაშინ მოისპობა კანონიც, მოისპობა დანაშაულიც,  
მოისპობა ყველა ის პირობები, რომელიც თანამედ-  
როვე საზოგადოებაში აუკილებელ ჰყოფს ერთსაც  
და მეორესაც.

ეს არის კაცობრიობის ოდეალი. ეს არის წევნი,  
ანარხისტების ოდეალიც, და ჩვენ ყოველთვის ვს-

ცდილობთ ნათელ ვყრით ეს იდეალი, შევაგნებინოთ  
რაც შეიძლება მკაფიოდ და ნათლად მუშა ხალხს  
დიდი მომავალი კაცობრიობისა, შევიდეთ ჩვენ თვი-  
თონ, როგორც ოდნობანი, როგორც მომქმედნი  
ელემენტი იმ საერთო შეუჩერებელ სრბოლაში,  
რომელიც კაცობრიობას ანარხისაკენ, უკანონობი-  
საკენ წარიტაცებს.

რადგანაც აღამიანის სახულებრივობის დიდ-  
სა და საყველთაო გამოხატულებათ არა აქვთ  
არავითარი საერთო კანონთან, ამ უკანასკნე-  
ლის მოსპობით ეს გამოხატულებანი არა თუ მოის-  
პობიან, არამედ განცხლელდებიან და აღამიანს  
მართლაც ნამდვილ გვირგვინად გახდიან ბუნებითი  
შემოქმედებისა. .თავისუფალი კომმუნიზმი, სადაც  
ძალთა დულნომის პრინციპი — მინიმუმი შრომის  
ხარჯვისა და მაქსიმუმი მოთხოვნილებათა დაკვაუ-  
ფილებისა, — ნამდვილად და სავსებით განხდარციე-  
ლდება: თავისუფალი შეთანხმება კაცთა შორის  
ყოველ ცალკე შემთხვევაში; მრავალი თავისუფალი  
კავშირები თვითონეულ მწარმოებელ კომმუნაში, მრა-  
ვალი კავშირები ამ კომმუნათა; თავისუფალი წარ-  
მოება ნაკლები შრომითა და მეცნიერების სრული  
და უხვი დახმარებით; თავისუფალი აღზრდა ნამდვი-  
ლი შეცნიერისა, არტისტი-მწარმოებლისა, ხელოვ-  
ნების. ცეცხლით აღვზნებული ზნეობრივი არსისა,  
თავმოყვარე და სხვათა მოსიყვარულე არსისა იმა-  
ვე დროს; დატრიალება მთელ ბუნებისა და კაცის

ენერგიათა საყოველთაო სასარგებლოდ, — ბი-  
რა იქმნება მომავალი საზოგადოება, მომავალი  
ანარტია, რომელიც არა ჰგავს თანამედროვე დაჩაგ-  
რულ და უვიც საზოგადოებას, რომელსაც სახელ-  
მწიფო და კანონი „ჰპატრონობს“ კაპიტალიზმის  
სასარგებლოდ, რამოდენიმე გასივებულ ბურჟუათა  
უძირო მუცლის აღსავსებად.

მაშინ კანონი კიდევ უფრო შეუძლებელი და  
აბსურდი, ულოლიკო იქმნება, — წინააღმდეგ მენეგერის  
აზრისა, ხალხთა მასაში მაინც გაჩნდება ტენდენ-  
ცია კანონისა და სახელმწიფოს შექმნის, თუ გინდ  
რომ კიდეც განხორციელდეს თავდაპირველად ანა-  
რხიული. წყობილებათ, — თუ გრძებავთ იმიტომაც,  
რომ მაშინ საზოგადოებრივი განწყობილებანი უფრო  
გართულდებიან, და ამ განწყობილებათა სირთულე  
კი პირდაპირ პროპრიეტონალურად ეხება კანონის  
სიაბსურდესა და ულოლიკობას, რაღანაც, — რაც  
შეტი და მრავალფეროვანია განწყობილებანი აღა-  
მიანთა უორის, მით უფრო ძნელია ამ განწყობილე-  
ბათა შეკრება, ერთ ფოკუსში მათი თავის მოყრა  
რამოდენიმე პირთა მიერ, — გენერალებიც რომ იყვნენ  
ეს უკანასკნელნი, — მათგან რამოდენიმე წესის გამო-  
ყვანა და ყველასათვის, მილიონთათვის სავალდებუ-  
ლოდ დადება ამ წესისა, — დასჭირდა და წამების მუ-  
ქარით.

- მაშინ თვით სიტყვა კანონი ამოიშლება აღა-  
მიანთა ლექსიკონიდამ, თვით მეცნიერებაშიაც-კი.

ეხლაც ნამდვილ მეცნიერებაში სიტყვა კანონს მხოლოდ ჩვეულებით ხმარობდნ. და ის „მეცნიერები,“ რომელთაც ბუნების კანონი მართლაც რაღაც ზევიდან დადგენილი პგონიათ, რომელიც **მართავს ბუნებასა და სხვ.**, — სრულიად მოცილებულნი არიან ბუნების „კანონის“ ნამდვილ შეგნებას.

ყოველივე ბუნების კანონი პირობითია. თუ ესა და ეს მოვლენანი ამა და ამ ნაირად მოხვდნენ ერთ-მანეთს — განსაზღვრული მოვლენა მოხდება. — ამ რა არის შინაარა: ბუნების კანონისა, — და ეს ხასიათი, თუ კარგათ ჩაუკვირდებით მას, სრულიად აცლის მას იმ მისტიკურ, უზენაეს ხასიათს, რომელსაც მას პირველი მეცნიერები აწერდენ და ახლაც აწერენ ბევრნი, ზოგნი მისი შეუგნებლობით და ზოგნიც ჩვეულებით. ბუნების კანონი სხვა არა არის: რა, გარდა ერთისაერთო ფაქტისა, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიუღია სხვა და სხვა ძალთა, სხვა და სხვა მოვლენათა განსაზღვრულ განწყობილებას, და შემჩნევა ამ ფაქტის, შეგნება ამ ფაქტისა და მისი აღხსნა, — აი ის, რასაც ჩვენ „აღმოჩენას“ ვუწოდებთ. ბუნების კანონი **ჩვენ მიერ შეგნებაა მოვლენათა ხასიათისა**: და მათ შორის **არსებულ განწყობილებათა**, იგი შეგროვილი გამოცდილებაა აღამიანისა, საერთო ფაქტი, ჩვენ მიერ შენიშნული. — მეცნიერება აღამიანისაა, — როგორც სთქვა შესანიშნავმა ფრანგმა მეცნიერმა ლედანტეკმა, — და მომავალი სიზოგადოების ინდივიდი სწორედ მითი იქმნება თავისუფალი და დიადი, რომ ეს

კანონი მის ხელში ძვრება, და არა „კანონი“ ფატალურად და ეშმაკეულად დასჩაგრავს მას. მომავალი ადამიანი თვით შევა მთელი თავისი ენერგიით იმ საერთო თანხმოობაში, სადაც შედიან ათასი ძალები განსაზღვრული მოვლენის წარმოსაშობად, — ისე, როგორც ყოველთვის შედიოდა იგი, მაგრამ აქამდის ნაკლებად, ნაკლები. შეგნებით, მომავალში კი მთლიად, სრულიად, მთელი თავისი განვითარებული ძალებით. საესებით შეგნება ბუნების კანონთა, სავსებით მოხმარება ბუნების ენერგიათა ამ კანონთა. შეგნებით, — აი ჩვენი იდეალი. მეტი ბუნების ენერგია. ინდივიდის ხელში, რომელიც თავის საკუთარ ენერგიათა განსავითარებლად მოიხმარს მას, — აი ჩვენი ფორმულა პროგრესისა, რომლის სრული გამოყენება მომავალში შეიძლება მხოლოდ, როდესაც ინდივიდი იტყვის: ბუნების კანონის აღმოჩენა! იგი ჩემ-მიერ შეგნებაა ბუნების მოვლენათა, მათ შორის განწყობილებათა, იგი წესია ჩემ-მიერ ენერგიის შოვნისა და ტრიალისა, იგი წესია ჩემი შეგნებულად ბუნებაში ტრიალისა! ბუნების კანონი! — იგი ჩემთვის კანონი-კი არა, — იარაღია, იარაღი ჩემი დაუსრულები განვითარებისა...

მაშინ მოისპობა სიტყვა „კანონიც“ საუკუნოდ.

... პროგრესის ამ ფორმულიდამ ბევრი საინტერესო დასკვნა შეიძლება რომ გამოვიდეს, მაგრამ ეს სულ სხვა საგანს შეადგენს, და შემდეგ ვისაუბროთ:

როთ, მკითხველო, როდესაც დრო, ხალისი, და  
უკეთესი პირობა გვექმნება ჩვენი გულის ნადების  
გაზიარებისა ჩვენ მოძმეთათვის...

15 ₪

ვასი ვა კაპეიკი

ისკიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში

საწყობი: საფამბა „იდეალი“, ნიკოლოზის ქუჩა, № 6 სახლი  
მილოვანის.